

მაია ჩეჩელაშვილი

ქვემო ქართლის ეკონომიკის სტრუქტურა და მისი
ტრანსფორმაცია საბაზრო ურთიერთობათა
პირობებში

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო

----- 2010 წ.

© საავტორო უფლება „მაია ჩეჩელაშვილი“ 2010 წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

“ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი”

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მათა ჩეჩელაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: ” ქვემო ქართლის ეკონომიკის სტრუქტურა და მისი ტრანსფორმაცია საბაზრო ურთიერთობათა პირობებში” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი: _____

ხელმძღვანელი: _____

რეცენზენტი: _____

რეცენზენტი: _____

რეცენზენტი: _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ავტორი: მაია ჩეჩელაშვილი
დასახელება: ქვემო ქართლის ეკონომიკის სტრუქტურა და მისი ტრანსფორმაცია საბაზრო ურთიერთობათა პირობებში
ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ-სოციალური
აკადემიური ხარისხი: დოქტორი
სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ჩეჩელაშვილი მაიას მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომი თემაზე: ქვემო ქართლის ეკონომიკის სტრუქტურა და მისი ტრანსფორმაცია საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მთლიანობაში მოიცავს: სატიტულო გვერდს, ხელმოწერების გვერდს, საავტორო უფლებების გვერდს, რეზიუმეს (ორ ენაზე), შინაარსს, ცხრილების ნუსხას, ნახაზების ნუსხას, ძირითად ტექსტს, შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, სამ თავს, რვა ქვეთავს, დასკვნებს და გამოყენებულ ლიტერატურას, რომელიც კომპიუტერზე ამობეჭდილ 176 გვერდზეა გადმოცემული.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში ჩამოყალიბებულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის ობიექტი და საგანი, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა, კვლევის თეორიული და საინფორმაციო ბაზა, დაკონკრეტებულია კვლევის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განიხილება რეგიონის ეკონომიკის განვითარების თავისებურებანი და რეგიონული პოლიტიკა რომელშიც შესწავლილია შემდეგი საკითხები: რეგიონის ადგილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, რეგიონისა და რეგიონალიზმის პრობლემები, ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელთა სისტემა, შესწავლის და ანალიზის თავისებურებები.

აღნიშნულია, რომ ქვემო ქართლის ეკონომიკური სისტემა სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში იმყოფება და სახელმწიფო ცდილობს საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფილი მექანიზმი ჩამოაყალიბოს, რომელიც რეგიონის ეკონომიკის განვითარებისათვის სათანადო გარემოს შექმნაზე და მხარის ეკონომიკური თუ სხვა რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებაზე იქნება დაფუძნებული. ქვეყნის ამა-თუ-იმ რეგიონის გეგმაზომიერი განვითარება, მისი რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ზრუნვა მის ეკოლოგიაზე და რესურსების რაციონალურ ხარჯვაზე ზრუნვის მნიშვნელობა – ყველაფერი ეს სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს. გარდამავალ პერიოდში რეგიონული პოლიტიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ქვეყნისა და საზოგადოების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების დაბალანსების მიზნით სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრისა და განხორციელების სისტემა. მან უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოს სტაბილურობა, ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა.

რეგიონული განვითარების ინტეგრაციული ხასიათი თავად განსაზღვრავს იმის აუცილებლობას, რომ გამოყენებულ იქნას მეცნიერების დარგში ჩამოყალიბებული მიდგომები და მათი შეჯერებით განისაზღვროს მიდგომათა მთლიანობითი სისტემა, რომელიც შექმნის შესაძლებლობას – ობიექტურად გადაწყდეს რეგიონის განვითარების პრობლემები.

ერთი რამ ცხადია: სახელმწიფოს ტერიტორიული ერთეულების ინტეგრირებისა და ეროვნული მეურნეობის განვითარების ეკონომიკური მიზანშეწონილობის რეალურად გაცნობიერებით უნდა მოიძებნოს ის საერთო დებულებები, რომელნიც ხელს შეუწყობენ ცენტრისა და რეგიონის ინტერესების დაბალანსებას. ამოსავალ საწყისად აქ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ რეგიონი ასრულებს ე.წ. “ხიდის” ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მაკროეკონომიკური და სოციალური პროცესები გადის მიკროდონეზე. ნიშანდობლივია, რომ ეს პროცესი ვითარდება ორმხრივი მოძრაობის პრინციპით – მაკროდან მიკროსაკენ და პირიქით. მათი ურთიერთგანმაპირობებელი ზეგავლენის ხარისხი ახლაც მაღალია და შემდგომში, ცხადია, კიდევ უფრო გაიზრდება. ამასთან, რეგიონი, გარკვეულწილად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეზოდონესაც წარმოადგენს; შესაბამისად, მისთვის დამახასიათებელ ფუნქციასაც ასრულებს, რაც გამოიხატება არა მხოლოდ “ზევიდან” და “ქვევიდან” მიღებული ინფორმაციული ნაკადების შეჯერებაში, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესების დაჩქარებაში რეალური მონაწილეობის მიღებაში და ამ დაჩქარების კატალიზატორის როლის შესრულებაში. ეს განპირობებულია რეგიონის განსაკუთრებული როლით, რომელიც ფორმით, ფაქტობრივად, კომპლექსია (ქვეყნის ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილში განვითარების ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა პირობების ერთიანობაა), მაგრამ მთელის (ანუ ქვეყნის ტერიტორიის) მხოლოდ ნაწილია. შინაარსით კი იგი უმთავრესად ადგილობრივი პირობების ზეგავლენით ყალიბდება.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ეხება რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურის ფორმირებასა და სრულყოფას, სადაც შემდეგი საკითხებია განხილული: რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურაწარმომქმნელი ფაქტორები, მათი გამოყენება რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურის ოპტიმიზაციისათვის და გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

საბაზრო ურთიერთობების დღევანდელ პირობებში წარმოების ინტენსიფიკაცია უახლეს ტექნოლოგიებთან მჭიდრო კავშირში მოიაზრება, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ტექნოლოგიური პროგრესის მიერ შემოთავაზებული მიღწევების წარმოებაში დანერგვა მოითხოვს. ამ მოთხოვნამ სიმწვავე 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შემდეგ შეიძინა, როცა თითქმის მთლიანად გაპარტახდა სახალხო მეურნეობის უკვე არსებული მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ცალკეული რეგიონის ეკონომიკური საზღვრის დადგენის დროს მხედველობაში მიიღება ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების არა მხოლოდ გეოგრაფიული საზღვრები. რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე ტექნიკური და ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ყოველმხრივ ვლინდება მეურნეობის კონცენტრაციის, სპეციალიზაციის და კომპლექსურობის ფორმის მეშვეობით.

ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი დიფერენცირების გადამწყვეტი ფაქტორი პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის სხვაობაა. ცალკეულ რეგიონებსაც, ეკონომიკური მაჩვენებლების დიფერენციაციის ფაქტორია კონკრეტული

რაიონის ეკონომიკის ფაქტობრივი მდგომარეობა. ამიტომაც დღის წესრიგშია, ტექნიკურ პროგრესთან ერთად, საწარმოების ფაქტორის როლის გათვალისწინებაც.

სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელების პროცესში არსებობს წარმოების მკვეთრი დაცემის საშიშროება (ის აშკარად არსებობს საქართველოში), რასაც მასობრივი უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობის გამწვავება მოაქვს. ამიტომაც, ასეთი რეგიონებისათვის აუცილებელია საგადასახადო შეღავათების, კრედიტის შემოდება ადგილობრივი ორგანოების უფლებების ზრდა, მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავება. იმ საწარმოებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას შენარჩუნებული, საჭიროა გამოეყოს კრედიტები მხარდაჭერისა და სოციალური მიმართულების პროდუქციის გამომწვებაზე ორიენტაციის შესაცვლელად.

სადისერტაციო ნაშრომის **მესამე თავში**, რომელიც ეძღვნება **ქვემო ქართლის ეკონომიკურ განვითარებასა და სტრუქტურის სრულყოფას გარდამავალ პერიოდში**, შემდეგი საკითხებია განხილული: ქვემო ქართლის ეკონომიკური განვითარება თანამედროვე ეტაპზე, მისი ეკონომიკის სტრუქტურაში მომხდარი ძვრები გარდამავალ პერიოდში და ქვემო ქართლის ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში აღმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის კურსის რეალიზაცია რთული სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციების პროცესების ერთობლიობად წარმოგვიდგება. მისი მიზანია ეკონომიკური ფუნქციონირების ეფექტიანობის გადიდება, ეკონომიკური სუბიექტების სამეწარმეო თავისუფლებისა და აქტიურობის უზრუნველყოფა, რამაც, საბოლოო ანგარიშით, უნდა მიგვიყვანოს ხალხის კეთილდღეობის გადიდებამდე და საზოგადოებაში „ახალ მდიდრებსა“ და „ახალ ღარიბებს“ შორის უზარმაზარი სხვაობების აღმოფხვრამდე.

ამ მიზნების განხორციელება დაკავშირებულია ღრმა გარდაქმნებთან ეკონომიკურსა და სოციალურ სფეროებში, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია საბაზრო სისტემის საფუძვლების ჩამოყალიბება – საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია, საბანკო-საფინანსო, საგადასახადო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო სისტემის გარდაქმნა, ანტიინფლაციური და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელება, ახალი სტრუქტურული და საინოვაციო პოლიტიკა, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმირება, თვისებრივად ახლებურ საფუძველზე განხორციელებული სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება ახალ საკანონმდებლო საფუძველზე.

სადისერტაციო ნაშრომის **დასკვნაში** ჩამოყალიბებულია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის წინადადებები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის გარდაქმნისა და სრულყოფის შესწავლის საკითხებს.

დისერტაციის **ძირითადი დებულებები** გამოქვეყნებულია ოთხ ნაშრომში, რომლებიც სრულად ასახავენ სადისერტაციო ნაშრომის ძირითად საკითხებს.

SUMMARY

REZUME

Shown by Maia Chechelashvili the thesis for a doctor's degree on competition of the academic doctor's degree «Economic Structure of Kvemo Kartli and its Transformation in the Conditions of Market Economy» consists from: the title page, sheet with signatures, pages of copyrights, the resume in two languages, maintenances, the list of tables and drawings, the basic text which consists from: introductions, the review of the literature, three heads, eight paragraphs, the conclusion and the list of the used literature.

Under the authority of dissertational work the purposes and research problems, objects and objects of research, its informative and теоритическая base are designated актульность themes, scientific novelty of work and its practical value are concretised.

In dissertation chapter 1 features of development of region and the regional policy are considered, following questions are studied: a region place in in social and economic development of the country, a region and regionalism problem, system of indicators of regional development, особенности its studying and the analysis.

It is noticed that economic system Kvemo of Kartli is in процессе system transformation, and the state undertakes measures on creation of a perfect market mechanism which would promote creation of environment and is maximum to an effective utilisation of available material resources of region.

Systematic development of this or that region of the country, rational use of its resource potential, care of its ecology and rational use of available resources – all it should является a subject of special attention of a regional policy of the state.

It is possible to present the regional policy to a transition period, as system of strategy and tactics for сбалансирования national and regional interests. It should provide territorial unity of the country and its stability, integrated approach of economic, cultural and ecological development of territories making it.

Integration character of regional development itself defines necessity of use of scientific methods and creation of harmonous uniform system, to которая would give the chance to solve objectively problems of development of region.

Undoubtedly one: integration territorial единиц the states and comprehension of necessity of their economic development need to be found such those general provisions which will promote equation of interests of the centre and region. Here it is possible to consider as a starting point that position that the region carries out "a bridge" role on which the macroeconomic state macroeconomic and social processes pass to microlevel.

It's very important that this process develops on the basis of two-way traffic – from макро to microlevel and on the contrary. Their degree взаимопределяющего values is high and will raise and henceforth.

At the same time, the region in certain degree represents also mesolevel of social and economic development; соответственно for it performance of this function is characteristic. It is expressed only in the ratio to the information received with "top" and with "bottom", but also in acceleration of processes of social and economic development. He plays it a catalyst role. And it is caused by a special role of region

which represents also a complex social, economic and an environment and, at the same time is a country part.

In the second part of the dissertation formation and perfection of structure of economy of region are considered, in it following questions are considered: the factors defining structure of region, their use for improvement and optimisation of structure of economy, a technique of definition of efficiency of their use.

In modern conditions of market relations, the manufacture intensification is considered in close cooperation with the newest technologies. Especial interest represents introduction to manufacture of the new technologies offered by scientific and technical progress. This tendency has taken on special significance in 90-s' years of last century when the powerful material base of a national economy has been destroyed. At an establishment of economic borders of separate region it is taken into consideration not only geographic location. Influence technical and business factors on formation of economic structure of region is shown by means of concentration, specialisation and integrated approach of forms.

At definition of economic indicators of region by the important factor of differentiation the indicator of expenses for production is. Actual distinction between these indicators also is a differentiation basis between developments of regions. Therefore along with technical progress a role of factors of manufacture возрастает.

In the course of realisation of structural transformations there is a risk of falling of manufacture (in Georgia it has especially brightly come to light) that brings mass unemployment and social intensity. Therefore it is necessary to enter tax privileges for regions and to raise a role of local management, to develop social protection programs. Allocation of soft loans for maintenance of production of a social orientation is necessary.

In the third chapter of the dissertation which is devoted perfection and development of economic structure Kvemo of Kartli in a transition period, following questions are considered: region development at the present stage, economic changes in its structure, the basic directions of perfection of transformations.

In 90-s' years of the last century in Georgia transition from administrative command system to market regulators has begun. It has caused difficult transformations in economic and social spheres.

The increase in efficiency of economic functioning, maintenance of economic freedom of managing subjects and increase in a freedom of enterprise was the purpose of these transformations. The increase благосостояния in a society and rupture reduction between «new poor» and «new rich» finally should be reached.

Realisation of these purposes is connected with deep transformations to economic and social spheres among which the main things are base construction рыночных relations, transformation of relations of the property, change monetary and credit the politician, realisation of the anti-inflationary and antimonopoly actions, new structural and innovative politicians, foreign policy transformation, formation of the new legislation.

In the conclusion диссертационного work are given теоритические and the practical offers, which taking into account will promote success of studying of change of structure and its perfection.

The basic definitions and positions are published in four works, апробированы in the International conference which has taken place in Trabzon (Turkey) on June, 5-6th, 2010 and completely reflect questions of this work.

შესავალი 14

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I რეგიონის ეკონომიკის განვითარების თავისებურებანი
და რეგიონული პოლიტიკა

- 1.1. რეგიონის ადგილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში
(პრობლემები, მაჩვენებელთა სისტემა და თავისებურებანი)
- 1.2. რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი
პრინციპები (უცხოური ქვეყნების გამოცდილება)
- 1.3. რეგიონის ეკონომიკის განვითარება და რეგულირების მექანიზმი
საბაზრო ეკონომიკის პირობებში

თავი II. რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ფორმირება
და სრულყოფა

- 2.1. რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურაწარმომქმნელი ფაქტორები და
მათი გამოყენება
- 2.2. რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და
ფექტიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

თავი III. ქვემო ქართლის ეკონომიკური განვითარება
და სტრუქტურის სრულყოფა გარდამავალ პერიოდში

- 3.1. ქვემო ქართლის ეკონომიკური განვითარება თანამედროვე
ეტაპზე
- 3.2. ქვემო ქართლის ეკონომიკის სტრუქტურული ძვრები გარდამავალ
პერიოდში
- 3.3 ქვემო ქართლის ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფის ძირითადი
იმართულებები

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

სქემების ნუსხა

სქემა 1	რეგიონული მიკროპოლიტიკის საშუალებები
სქემა 2	რეგიონული მიკროპოლიტიკის საშუალებები (გაგრძელება)
სქემა 3	კრებსითი სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზის შემუშავების ბლოკ-სქემა
სქემა 4	ქვემო ქართლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის ფორმირება
სქემა 5	ქვემო ქართლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური პროგრამის გამარტივებული სტრუქტურა

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1.	ქვეყნების ადგილი ჰუმანური განვითარებისა და მშპ წარმოების მიხედვით
ცხრილი 2.	მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ათი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები და შედარება I მაჩვენებელთან
ცხრილი 3	ეკონომიკური რესურსების გამოყენება რეგიონის პერსპექტიული განვითარებისათვის
ცხრილი 4	FAO-ს მიერ მოცემულ კვების საშუალო ნორმატივების შესაბამისობა რეგიონში არსებული საშუალო წლიური მოხმარების დონესთან
ცხრილი 5	ქვემო ქართლის ელ.სადგურების განლაგება და სიმძლავრე
ცხრილი 6	ქ. რუსთავისა და ქვემო ქართლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებელთა შედარება
ცხრილი 7	ქვემო ქართლში შექმნილი დამატებული ღირებულება დარგობრივ ჭრილში მიმდინარე ფასებსა (მლნ. ლარი)და პროცენტულ გამოსატულებაში 2001-2005 წწ პერიოდში
ცხრილი 8	სამშენებლო დარგის ძირითადი მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში 2000-2004წწ
ცხრილი 9	ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში 2001-2005წწ

ცხრილი10	ქვემო ქართლის რეგიონის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მაჩვენებლები 2000-2004წწ
ცხრილი11	ქვემო ქართლში 1993-2003წწ ჩატარებული პრივატიზაციის შედეგები დარგების მიხედვით
ჩხრილი12	ძირითადი საწარმოების მაჩვენებლები რეფორმამდე და მის შემდეგ
ჩხრილი13	სამეწარმეო საქმიანობა ქვემო ქართლის რეგიონში 2002-2005წწ
ჩხრილი14	ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ძირითადი მაჩვენებლები 2001-2004წწ ქვემო ქართლის რეგიონში
ჩხრილი15	სახელმწ. ქონების პრივატიზაციის პროცესის სრულყოფის ძირითადი ღონისძიებები

შესავალი

თემის აქტუალობა: ეკონომიკური დინამიკის, მისი ხასიათისა და მასზე მოქმედი ფაქტორების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების ინტერესის ცენტრშია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების თავისებურებების განსაზღვრა, სტრუქტურაწარმომქმნელი ფაქტორების ფორმირებისა და ტრანსფორმაციის კვლევა.

საქართველოში აღნიშნული საკითხების კვლევის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყანამ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და დაადგა საბაზრო ეკონომიკის გზას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა თავისთავად გულისხმობს ექსტრემალურ პირობებში მოქმედებას, რომელიც მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური პირობებითაა გამოწვეული (სამეურნეო კავშირების მოშლა, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, კორუფციისა და კონტრაბანდის მაღალი დონე, და ა.შ.). ყოველივე ამან ეკონომიკას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა, ადგილი ქონდა ეკონომიკის ყველაზე ღრმა ვარდნას პოსტსაბჭოურ სივრცეში, რაც 1994 წლამდე გაგრძელდა.

ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების, ანტიკრიზისული პროგრამის მიღების შემდეგ, უკვე 1995 წელს შესაძლებელი გახდა ეკონომიკური ვარდნის შეჩერება და გარკვეული ზრდის მიღწევაც კი – პირველად უკანასკნელი წლების განმავლობაში (102.6%). ამ პერიოდიდან დაიწყო ეკონომიკის აღმავლობა, ვინაიდან მის სტრუქტურაში ადგილი ქონდა კარდინალურ ცვლილებებს ძველი ინსტიტუტების ტრანსფორმირებისა თუ ახლით ჩანაცვლების შედეგად. ამ პროცესში, ისევე როგორც საერთოდ, ძნელი იყო განვითარების ერთნაირი დონის მიღწევა სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტებს შორის, ამიტომაც სწორედ დღესაა აქტუალური სტრუქტურაწარმომქმნელი ფაქტორების კვლევა როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე მისი ორგანული ნაწილების – რეგიონების – ჭრილში. აუცილებელია იმ რეზერვების გამოვლენა, რომლებიც არსებობს, მათი მაქსიმალური გამოყენება ეკონომიკური განვითარების დისპროპორციების თავიდან ასაცილებლად. აუცილებელია ახალი, მექანიზმის შექმნა, რომელიც

კოორდინაციას გაუწევს რეგიონული ინსტიტუტების ურთიერთქმედებას და ხელს შეუწყობს ეკონომიკის კრიზისიდან უსწრაფეს გამოყვანას. საჭიროა ჩამოყალიბდეს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რაშიც როგორც საკუთარი, ისე უცხო ქვეყნების (საფრანგეთი, გერმანია, უკრაინა და სხვ.) გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ნეგატიურმა პროცესმა შეიძლება შეაფერხოს ქვეყნის რეგიონებისა და მთლიანად მისი ეკონომიკის განვითარება.

აღნიშნული საკითხების გარდა, ყურადღება უნდა გამახვილდეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში საქართველოს რეგიონების ჩართვაზე ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში.

ყოველივე ზემოთქმული განაპირობებს თემის აქტუალობას. ჩვენი ნაშრომიც აღნიშნულ პრობლემათა განსჯისა და მათ გარშემო თეორიული და პრაქტიკული დასკვნების გაკეთების მცდელობაა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითადი მიზანია: რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურის ფორმირებისა და ამ პროცესში სტრუქტურაწარმომქმნელი ფაქტორების ზემოქმედების ხარისხისა და თავისებურებების დადგენა; რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდოლოგიურისაკითხების დამუშავება; ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფის ძირითადი მიმართულებებისა და ბერკეტების გარშემო პრაქტიკული რეკომენდაციების დასაბუთება.

დასახული მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბდა შემდეგი ამოცანები:

- რეგიონის ადგილის გაშუქება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში თანამედროვე პრობლემების გათვალისწინებითა და უახლესი მეცნიერული კვლევების საფუძველზე;
- რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გამოყენებით;
- რეგიონის ეკონომიკის განვითარებისა და რეგულირების მექანიზმის მოქმედების ანალიზი საქართველოს მაგალითზე;
- ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურაწარმომქმნელი ფაქტორების ანალიზი;
- რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურის ოპტიმიზაციის განსაზღვრის მეთოდოლოგიის სრულყოფილ წინადადებათა შემუშავება;

- რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდის სრულყოფა და ფაქტობრივი ეფექტიანობის ანალიზი;
- ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და სტრუქტურის სრულყოფის წინადადებათა შემუშავება თანამედროვე ეტაპისთვის ეტაპისთვის გათვალისწინებით.

კვლევის საგანი და ობიექტი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია რეგიონი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ორგანული ნაწილი და მისი ფუნქციონირების საფუძველი – რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურაწარმომქმნელი ფაქტორები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის გარდაქმნასა და სრულყოფასთან დაკავშირებული თეორიულ – მეთოდოლოგიური საკითხები.

კვლევის ინფორმაციული ბაზას წარმოადგენს რეგიონული განვითარების კანონმდებლობები, ეროვნული და უცხოური სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა, პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციების მასალები, სტატისტიკური მონაცემები, ქვემო ქართლის სტატისტიკური სამმართველოსა და საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის საფინანსო საქმიანობის ანგარიშგებები.

კვლევის მეცნიერული სიახლე: წარმოადგენს ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურული ძვრების გამოვლენა გარდამავალ პერიოდში; ეკონომიკის თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელი მდგომარეობის დეტალური აღწერა; სტრუქტურის სახეცვლილების ტენდენციების შესწავლა და დასაბუთება, რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება და ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების დასაბუთებული დასახვა.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ დისერტაციაში შემოთავაზებული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგიონთა ეკონომიკური სტრუქტურების ანალიზისა ან მოდელირებისას, მართვის სტრატეგიის არჩევისა და ფინანსური მართვის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია:

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

ლიტერატურის მიმოხილვა

ქვეყანაში არსებული პრობლემები და სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური წინააღმდეგობანი მეტ-ნაკლები სისრულით აისახება ქვეყნის ცალკეული რეგიონების განვითარებაზე. საქართველოს ნებისმიერი რეგიონი, როგორც ზოგადად ნებისმიერი რეგიონი, ეს არის ბუნებრივი, შრომითი და სხვა საწარმოო ფაქტორების უნიკალური კომპლექსი, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული მდებარეობა და თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებით მეტნაკლები უზრუნველყოფა. რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარეობს მისი განვითარების სასოფლო-სამეურნეო, გადამამუშავებელი თუ მომპოვებლური საწარმოო პროფილიც.

ქვეყნის ამა-თუ-იმ რეგიონის გეგმაზომიერი განვითარება, მისი რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ზრუნვა მის ეკოლოგიაზე და რესურსების რაციონალურ ხარჯვაზე ზრუნვის მნიშვნელობა – ყველაფერი ეს სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს. გარდამავალ პერიოდში რეგიონული პოლიტიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ქვეყნისა და საზოგადოების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების დაბალანსების მიზნით სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრისა და განხორციელების სისტემა. მან უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოს სტაბილურობა, ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა.

ამდენად, სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა გარდამავალ პერიოდში უდავოა. ამასთან, ახლებურ გააზრებას მოითხოვს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხებიც. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ობიექტი ქვეყნის ტერიტორიის კონკრეტული ნაწილია, რომელსაც სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის ან სხვა ნიშნით (ეკონომიკური რეგიონი, ზონა და ა.შ.) აღიარებული პრინციპებით განსაზღვრული სტატუსი გააჩნია.

მეცნიერებაში განსხვავებული მიდგომები ჩამოყალიბდა სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ერთეულის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ჩვენს

ინტერესს, პირველ რიგში, იწვევს ორი ტერმინი: “რაიონი” და “რეგიონი”. მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებისა, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება, გარკვეულ კონტექსტში ორივე სინონიმად მოიაზრება და ამჟამად ქვეყანაში ჩამოყალიბებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის სისტემით განისაზღვრება, მაგალითად, საქართველოში: ავტონომიური რესპუბლიკა (სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი), ქალაქი, რაიონი ან მხარე (ქალაქებისა და რაიონების ჯგუფი). თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ცნებით წარმოდგენილი “რეგიონის” ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველი და სოციალური სტატუსი ბოლო წლებში რადიკალურად შეიცვალა თვისებრივი თვალსაზრისით, მაშინ აუცილებელია რეგიონის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა სისტემური მიდგომით შეფასდეს. ხოლო ამის საფუძველზე უნდა განვახორციელოთ ისეთი ღონისძიებების შესწავლა, რომლებიც დღეს უზრუნველყოფენ ქვეყნის მოცემული რეგიონის მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას, მთელისა და მისი ნაწილების ორგანულ ერთიანობას.

რეგიონული განვითარების ინტეგრაციული ხასიათი თავად განსაზღვრავს იმის აუცილებლობას, რომ გამოყენებულ იქნას მეცნიერების დარგში ჩამოყალიბებული მიდგომები და მათი შეჯერებით განისაზღვროს მიდგომათა მთლიანობითი სისტემა, რომელიც შექმნის შესაძლებლობას – ობიექტურად გადაწყდეს რეგიონის განვითარების პრობლემები.

ეროვნულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამოვლინდა საქართველოს რეგიონებისადმი და მათი განვითარების ანალიზისა და პროგნოზის თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი მნიშვნელოვანი ინტერესი. გამოქვეყნდა საინტერესო ნაშრომები, რომლებიც შესრულებულია: გ. ადგიშვილის, ი. ანთელავას, ე. ბარათაშვილის, გ. მაღაშხიას, ვ. პაპავას, ი. მესხიას, ვ.ბასარიას, თ. ბასილიას, გ. წერეთლის, ნ. ჭითანავას, მ. ჯიბუტის, პ.ბოლაშვილის, ვ.ბურდულის, პ.გუგუშვილის, ვ.დათუკაშვილის, შ.ვეშაპიძის, გრ. ზარდალიშვილის, ა.თეთრაულის, ი. მიქელაძის, გ. ნაკაიძის, ლ. ჩიქავასა და სხვათა მიერ.

პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ 2002 წელს სოხუმის უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოსული ე. ბარათაშვილის მონოგრაფია “რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა”, მისივე “საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა”, “ცენტრი-რეგიონის ურთიერთობები ფედერალიზმის პირობებში”, რომელიც გამოიცა ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების

კრებულში (ტომი VIII, 2005 წელი). ვტორს აქ შექმნილი აქვს კონცეფცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს ტერიტორიული ერთეულების ინტეგრირებისა და ეროვნული მეურნეობის განვითარების ეკონომიკური მიზანშეწონილობის რეალურად გაცნობიერებით უნდა მოიძებნოს ის საერთო დებულებები, რომელნიც ხელს შეუწყობენ ცენტრისა და რეგიონის ინტერესების დაბალანსებას.

საყურადღებოა ავტორთა ჯგუფის – ე. ბარათაშვილის, თ. დანელიასა და ჯ. ხარანდიას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000 წელს გამოცემული “რეგიონის რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენების ეფექტიანობა საბაზრო პირობებში”. ნაშრომის ამოსავალ საწყისად აქ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ რეგიონი ასრულებს ე.წ. “ხიდის” ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მაკროეკონომიკური და სოციალური პროცესები გადის მიკროდონეზე. ნიშანდობლივია, რომ ეს პროცესი ვითარდება ორმხრივი მოძრაობის პრინციპით – მაკროდან მიკროსაკენ და პირიქით. მათი ურთიერთგანმაპირობებელი ზეგავლენის ხარისხი ახლაც მაღალია და შემდგომში, ცხადია, კიდევ უფრო გაიზრდება.

ძალზე აქტუალურია ამ სფეროში ბატონი ნ. ჭითანავას მიერ 2001 წელს გამოქვეყნებული “გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები”, რომლის III ტომში, რეგიონი, გარკვეულწილად, წარმოდგენილია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეზოდონე. ვტორს მიაჩნია, რომ იგი შესაბამისად, მისთვის დამახასიათებელ ფუნქციასაც ასრულებს, რაც გამოიხატება არა მხოლოდ “ზევიდან” და “ქვევიდან” მიღებული ინფორმაციული ნაკადების შეჯერებაში, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესების დაჩქარებაში რეალური მონაწილეობის მიღებაში და ამ დაჩქარების კატალიზატორის როლის შესრულებაში. ეს განპირობებულია რეგიონის განსაკუთრებული როლით, რომელიც ფორმით, ფაქტობრივად, კომპლექსია (ქვეყნის ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილში განვითარების ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა პირობების ერთიანობა), მაგრამ მთელის (ანუ ქვეყნის ტერიტორიის) მხოლოდ ნაწილია. შინაარსით კი იგი უმთავრესად ადგილობრივი პირობების ზეგავლენით ყალიბდება.

ბატონ გ. მაღაშხიას მართებულად მიაჩნია, თუ რეგიონის ასეთ “გარდამავალ” მდგომარეობას წარმოვიდგენთ, როგორც ქვეყნის პოლიტიკურისა და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის “მზიდ კონსტრუქციას”, მიტომაც იგი ფიქრობს, რომ მისი პოლიტიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური საფუძველი

სტიქიურად, ცალმხრივად, მხოლოდ ადგილობრივი პირობების გავლენით არ უნდა ჩამოყალიბდეს. ამოსავალი უნდა იყოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ასეთ მიდგომას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით საზოგადოებრივ ურთიერთობათა რადიკალური რეფორმების პირობებში. იგი იძლევა საშუალებას, რომ რეგიონი ქვეყნის კონსტიტუციის დაცვის, ამასთან, ბუნებრივი, რესურსული, სოციალური, სამეურნეო კვლავწარმოების სტაბილურობის უზრუნველყოფი პირობების შექმნა-გამოყენების კონკრეტულ სივრცედ მოვიაზროთ.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხასიათისა და დინამიკის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა, ბატონების გ. ნაკაიძისა ნ.ჯანელიძის “რუბიკონი“-ში 2000 წელს გამოქვეყნებული სტატია “ეკონომიკური განვითარების თანამედროვე თეორიები”, სადაც ისინი აყალიბებენ შემდეგ მოსაზრებას: იმაზე, თუ რა პროცესები მიმდინარეობს რეგიონის განვითარებაში, როგორი სტრუქტურული ცვლილებები ხდება ამ დროს ეროვნულ ეკონომიკაში, უშუალოდაა დამოკიდებული ქვეყნის რეგიონების ცხოვრება და განვითარების პერსპექტივები. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების რეგიონის ეკონომიკური განვითარება მრავალფაქტორიანი პროცესია, რომელიც ასახავს როგორც სამეურნეო მექანიზმის ევოლუციას, ისე ამის საფუძველზე ეკონომიკური სისტემის შეცვლას. ამასთან ერთად, ეს არის წინააღმდეგობრივი და ძნელად გასაზომი პროცესი, რომელიც არ შეიძლება მიმდინარეობდეს სწორხაზოვნად, სტაბილურად, მზარდი მიმართულებით. თვით განვითარება ხდება არათანაბრად, მოიცავს აღმავლობისა და ვარდნის პერიოდებს, რაოდენობრივსა და თვისებრივ ცვლილებებს ეკონომიკაში, დადებითსა თუ უარყოფით ტენდენციებს. ამიტომ, ეკონომიკური განვითარების ანალიზი უნდა განხორციელდეს დროის საშუალო და გრძელვადიანი შუალედებისათვის.

გვინდა დავაფიქსიროთ შემდეგი გარემოება: რეგიონალიზმის პრობლემები გერმანელი ეკონომისტის შუმპეტერის შემდეგ საკმაოდ აქტუალურად მიაჩნიათ არა მარტო ქართველ, არამედ საზღვარგარეთელ მეცნიერებსაც, რომელთა შორის არიან: ა. აგანბეგიანი, რ.შნიპერი, ვ. ბესტუჟევი-ლადა, ი. გლადკი, ა. ჩისტობაევი, ო. დმიტრიევი, ბ. დოლიატოვსკი, ო. დმიტრიევა, ლ. კანტაროვიჩი, ვ. კისტანოვი, ნ. კოლესნიკოვა, ნ. კოლოსოვსკი, ნ. ლარინა, ნ. მირონენკო, ს. შლიტხერი, ვ. ლესკინი, ა. შვეცოვი, დ. ლვოვი, ნ. ნეკრასოვი, ნ. რაბინოვიჩი, ბ. რაიზბერგი, ლ. ლოხოვსკი, ე. სტაროდუბცევი, ვ. ტოლსტოშეევი, პ. ჰეგგეტი, ხოლოშ-იანოში, და მრავალი სხვა.

**Tavi I. regionis ekonomikis ganviTarebis Taviseburebani
da regionuli politika**

**1.1 რეგიონის ადგილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ
განვითარებაში (პრობლემები, მაჩვენებელთა სისტემა, თავისებურებები)**

ქვეყანაში არსებული პრობლემები და სოციალურ- პოლიტიკური თუ ეკონომიკური წინააღმდეგობანი მეტ-ნაკლები სისრულით აისახება ქვეყნის ცალკეული რეგიონების განვითარებაზე. საქართველოს ნებისმიერი რეგიონი, როგორც ზოგადად ნებისმიერი რეგიონი, ეს არის ბუნებრივი, შრომითი და სხვა საწარმოო ფაქტორების უნიკალური კომპლექსი, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული მდებარეობა და თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებით მეტნაკლები უზრუნველყოფა. რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარეობს მისი განვითარების სასოფლო-სამეურნეო, გადამამუშავებელი თუ მომპოვებლური საწარმოო პროფილიც.

ქვეყნის ამა-თუ-იმ რეგიონის გეგმაზომიერი განვითარება, მისი რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ზრუნვა მის ეკოლოგიაზე და რესურსების რაციონალურ ხარჯვაზე ზრუნვის მნიშვნელობა – ყველაფერი ეს სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს. გარდამავალ პერიოდში რეგიონული პოლიტიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ქვეყნისა და საზოგადოების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების დაბალანსების მიზნით სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრისა და განხორციელების სისტემა. მან უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოს სტაბილურობა, ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა.

ამდენად, სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა გარდამავალ პერიოდში უდავოა. ამასთან, ახლებურ გააზრებას მოითხოვს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხებიც. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ობიექტი ქვეყნის ტერიტორიის კონკრეტული ნაწილია, რომელსაც სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის ან სხვა ნიშნით (ეკო-

ნომიკური რეგიონი, ზონა და ა.შ.) აღიარებული პრინციპებით განსაზღვრული სტატუსი გააჩნია.

მეცნიერებაში განსხვავებული მიდგომები ჩამოყალიბდა სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ერთეულის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ჩვენს ინტერესს, პირველ რიგში, იწვევს ორი ტერმინი: “რაიონი” და “რეგიონი”. მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებისა, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება, გარკვეულ კონტექსტში ორივე სინონიმად მოიაზრება და ამჟამად ქვეყანაში ჩამოყალიბებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის სისტემით განისაზღვრება, მაგალითად, საქართველოში: ავტონომიური რესპუბლიკა (სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი), ქალაქი, რაიონი ან მხარე (ქალაქებისა და რაიონების ჯგუფი). თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ცნებით წარმოდგენილი “რეგიონის” ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველი და სოციალური სტატუსი ბოლო წლებში რადიკალურად შეიცვალა თვისებრივი თვალსაზრისით, მაშინ აუცილებელია რეგიონის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა სისტემური მიდგომით შეფასდეს. ხოლო ამის საფუძველზე უნდა განვახორციელოთ ისეთი ღონისძიებების შესწავლა, რომლებიც დღეს უზრუნველყოფენ ქვეყნის მოცემული რეგიონის მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას, მთელისა და მისი ნაწილების ორგანულ ერთიანობას.

ამასთან, საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ რეგიონალური თავისებურებების ობიექტური (განვითარების დონე, მეურნეობის სპეციალიზაცია, დარგობრივი სტრუქტურა, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, მდებარეობა) და სუბიექტური (მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობა, სამეურნეო გამოცდილება, დემოგრაფიული სიტუაცია და სხვ.) ფაქტორები.

რეგიონული განვითარების ინტეგრაციული ხასიათი თავად განსაზღვრავს იმის აუცილებლობას, რომ გამოყენებულ იქნას მეცნიერების დარგში ჩამოყალიბებული მიდგომები და მათი შეჯერებით განისაზღვროს მიდგომათა მთლიანობითი სისტემა, რომელიც შექმნის შესაძლებლობას – ობიექტურად გადაწყდეს რეგიონის განვითარების პრობლემები.

ერთი რამ ცხადია: სახელმწიფოს ტერიტორიული ერთეულების ინტეგრირებისა და ეროვნული მეურნეობის განვითარების ეკონომიკური მიზანშეწონილობის რეალურად გაცნობიერებით უნდა მოიძებნოს ის საერთო დებულებები, რომელნიც ხელს შეუწყობენ ცენტრისა და რეგიონის ინტერესების დაბალანსებას. ამოსავალ საწყისად აქ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ რეგიონი

ასრულებს ე.წ. “ხიდის” ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მაკროეკონომიკური და სოციალური პროცესები გადის მიკროდონეზე. ნიშანდობლივია, რომ ეს პროცესი ვითარდება ორმხრივი მოძრაობის პრინციპით – მაკროდან მიკროსაკენ და პირიქით. მათი ურთიერთგანმაპირობებელი ზეგავლენის ხარისხი ახლაც მაღალია და შემდგომში, ცხადია, კიდევ უფრო გაიზრდება. ამასთან, რეგიონი, გარკვეულწილად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეზოდონესაც წარმოადგენს; შესაბამისად, მისთვის დამახასიათებელ ფუნქციასაც ასრულებს, რაც გამოიხატება არა მხოლოდ “ზევიდან” და “ქვევიდან” მიღებული ინფორმაციული ნაკადების შეჯვებაში, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესების დაჩქარებაში რეალური მონაწილეობის მიღებაში და ამ დაჩქარების კატალიზატორის როლის შესრულებაში. ეს განპირობებულია რეგიონის განსაკუთრებული როლით, რომელიც ფორმით, ფაქტობრივად, კომპლექსია (ქვეყნის ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილში განვითარების ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა პირობების ერთიანობა), მაგრამ მთელის (ანუ ქვეყნის ტერიტორიის) მხოლოდ ნაწილია. შინაარსით კი იგი უმთავრესად ადგილობრივი პირობების ზეგავლენით ყალიბდება.

მართებულია, თუ რეგიონის ასეთ მდგომარეობას წარმოვიდგენთ, როგორც ქვეყნის პოლიტიკურისა და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის “მზიდ კონსტრუქციას”, მიტომ, ბუნებრივია, მისი პოლიტიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური საფუძველი სტიქიურად, ცალმხრივად, მხოლოდ ადგილობრივი პირობების გავლენით არ უნდა ჩამოყალიბდეს. ამოსავალი უნდა იყოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ასეთ მიდგომას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით საზოგადოებრივ ურთიერთობათა რადიკალური რეფორმების პირობებში. იგი იძლევა საშუალებას, რომ რეგიონი ქვეყნის კონსტიტუციის დაცვის, ამასთან, ბუნებრივი, რესურსული, სოციალური, სამეურნეო კვლავწარმოების სტაბილურობის უზრუნველყოფი პირობების შექმნა-გამოყენების კონკრეტულ სივრცედ მოვიაზროთ.

ამ თვალსაზრისით რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხასიათი და დინამიკა ძალზე საინტერესოა, კერძოდ ის, თუ რა პროცესები მიმდინარეობს მის განვითარებაში, როგორი სტრუქტურული ცვლილებები ხდება ამ დროს ეროვნულ ეკონომიკაში. ამაზე ხომ უშუალოდაა დამოკიდებული ქვეყნის რეგიონების ცხოვრება და განვითარების პერსპექტივები. გარდამავალი ეკონომიკის მქონე

ქვეყნების რეგიონის ეკონომიკური განვითარება მრავალფაქტორიანი პროცესია, რომელიც ასახავს როგორც სამეურნეო მექანიზმის ევოლუციას, ისე ამის საფუძველზე ეკონომიკური სისტემის შეცვლას. ამასთან ერთად, ეს არის წინააღმდეგობრივი და ძნელად გასაზომი პროცესი, რომელიც არ შეიძლება მიმდინარეობდეს სწორხაზოვნად, სტაბილურად, მზარდი მიმართულებით. თვით განვითარება ხდება არათანაბრად, მოიცავს აღმავლობისა და ვარდნის პერიოდებს, რაოდენობრივსა და თვისებრივ ცვლილებებს ეკონომიკაში, დადებითსა თუ უარყოფით ტენდენციებს. ამიტომ, ეკონომიკური განვითარების ანალიზი უნდა განხორციელდეს დროის საშუალო და გრძელვადიანი შუალედებისათვის.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის განსაზღვრისათვის პირველ რიგში საჭიროა ათვლის წერტილი. ეს შეიძლება იყოს საშუალო ევრომაჩვენებელი, აშშ მაჩვენებელი, გაეროს მაჩვენებელი და ა.შ.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რაიმე ერთი თვალსაზრისით შეფასების საშუალებას არ იძლევა წარმოების ფაქტორთა სხვადასხვაგვარი შეხამება, ქვეყანათა განვითარების სხვადასხვაგვარი პირობები და სხვ. ამიტომაც შეიძლება გამოვეყნოთ მაჩვენებელთა მთელი წრე :

- ა) მშპ ან ეროვნული შემოსავალი 1 სულზე ;
- ბ) ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა ;
- გ) პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე(ე.ი. ცალკეული დარგების განვითარების დონე) ;
- დ) მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი და დონე ;
- ე) ეკონომიკის ეფექტიანობის მაჩვენებლები.

გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე ისტორიული კატეგორიაცაა. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ყოველ ახალ ეტაპს ესათვის ცვლილებები შეაქვს მსოფლიოს ძირითად საშუალო-ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

ეკონომიკური განვითარების ანალიზისას უმთავრესი მაჩვენებელია მშპ ერთ სულ მოსახლეზე*. ეს მაჩვენებელი იმ საერთაშორისო კლასიფიკაციებშია ჩადებული, რომელთა მიხედვითაც ხდება ქვეყნების განვითარებულ და განვითარებად ჯგუფებად დაყოფა. ასე, განვითარებული ქვეყნების რიცხვს 90-

*პროფ. გ. მაღალაშვიას მიაჩნია, რომ ეკონომიკის ფუნქციონირების წლიური შედეგის მაჩვენებელი მერყეულია, ამიტომ განვითარების დონის ანალიზისათვის მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელი, რომელიც ზუსტად ასახავს ამ დონეს (იხ.: გ.მაღალაშვია, “მეტაეკონომიკა, ეკონომიკის ფილოსოფია”, თბილისი, 1995

იანი წლების ბოლოს მიაკუთვნებდნენ იმ ქვეყნებს, რომელთა მშპ-ს ერთ სულზე წარმოება 20000 დოლარს ჭარბობდა წელიწადში (აშშ მაჩვენებელი 30000 დოლარია). ზოგიერთ განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულზე მშპ წარმოების მაჩვენებელი ძალზე მაღალია და განვითარებული ქვეყნებისას უტოლდება (11-12 დოლარი)*.

მეორე მაჩვენებელი, რომელიც ფათოდ გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში, არის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა. მისი ანალიზი ტარდება მშპ იმ მაჩვენებელთა ანალიზის საფუძველზე, რომლებიც დარგების მიხედვით გამოითვლება. უპირველეს ყოვლისა, შეისწავლება შეფარდება მატერიალურისა და არამატერიალური წარმოების მსხვილ დარგთა შორის. იგი, პირველ რიგში, დგინდება გადამამუშავებელი მრეწველობის წილის მიხედვით.

დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული დარგების სტრუქტურულ გამოკვლევასაც. ასე, მაგალითად, გადამამუშავებელი წარმოების მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა წილი მოდის მანქანათმშენებლობაზე, ქიმიასა და ა.შ., ანუ იმ დარგებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. დიდია წამყვანი დარგების დივერსიფიკაცია. მაგალითად მანქანათმშენებლობის დარგებისა და წარმოებების რაოდენობა მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში 150-200 აღწევს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი 10-15-ჯერ დაბალია.** გარდა ამისა, შეიძლება გაკეთდეს მსხვილი სამეურნეო კომპლექსების ანალიზიც: სათბობ-ენერგეტიკული, აგროსამრეწველო, სამშენებლო და კონსტრუქციულ მასალათა, თავდაცვისა და ა.შ.

ქვეყნისა და რეგიონის განვითარების დონეზე მეტყველებს, აგრეთვე, იმ ძირითადი პროდუქციის წარმოებების მაჩვენებლები, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნული ეკონომიკის ბაზისს.

პირველ რიგში, ასეთ მაჩვენებელთა სიას მიეკუთვნება ელექტროენერჯის ერთ სულზე გამომუშავება. ვინაიდან ელექტროენერგეტიკა ყველა სახის წარმოების საფუძველია, სწორედ ამ მაჩვენებელზეა დამყარებული წარმოების განვითარების ყველა სხვა მაჩვენებელიც. მის მიღმა ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ტექნიკური

პროგრესის შესაძლებლობები, წარმოების მიერ მიღწეული დონე, საქონლის ხარისხი, მომსახურების დონე და მისთ. ამ მაჩვენებლის მიხედვით დღეს, მსოფლიოს განვითარებულსა და განვითარებად ქვეყნებს შორის თანაფარდობა

*IMF, **World Economic Outlook**. May, 1999. Washington, 1999. p.145-153; The World Bank. **World Development Report**. 1999, Washington, 1999, p.210

** იხ. წინა სქოლი

შეადგენს 50 : 1 და, ზოგ შემთხვევაში, მეტსაც.

განვითარებული ქვეყნების წილზე მსოფლიო გამომუშავების 65% მოდის, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების წილი კი – 13%*.

სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობებს შორის, რომელიც ერთ სულზე გაანგარიშდება, გამოყოფენ ფოლადის გამოდნობას, ნაგლინის გამოშვებას, ლითონმჭრელი ჩარხების, ავტომობილების, მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოების, ქაღალდისა და სხვ. წარმოებას.

ამავე შინაარსის სხვა მაჩვენებლებია კვების ძირითადი პროდუქტების ერთ სულ მოსახლეზე გამოშვება: მარცვლეულის, რძის, ხორცის, შაქრის, კარტოფილის და სხვა. ამ მაჩვენებლის შეპირისპირება კვების პროდუქტთა მოხმარების იმ რაციონალურ ნორმებთან, რომლებიც FAO (Food and Agricultural Organization) ან ეროვნული ინსტიტუტების მიერ არის გამომუშავებული, საშუალებას იძლევა, მოსახლეობის მოთხოვნილებების საკუთარი წარმოების პროდუქციით დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე მსჯელობისათვის, ანდა რაციონის კვებით ღირებულებებზე დასკვნების გასაკეთებლად.

ამ მაჩვენებელთან შინაარსით ძალზე ახლოს დგანან ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა: ყოველ 1000 კაცზე ან საშუალო სტატისტიკურ ოჯახზე ხანგრძლივი მოხმარების საგნების – მაცივრების, ტურტლის სარეცხი მანქანების, ციფრული ფოტო- და ვიდეოკამერების, სარეცხი მანქანების, ვიდეოაპარატურის, პერსონალური კომპიუტერებისა და სხვათა მოხმარების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვანწილად ხასიათდება მშპ მოხმარების სტრუქტურის მიხედვით. ძალზე მნიშვნელოვანია კერძო საბოლოო მოხმარების სტრუქტურის ანალიზი (დანახარჯები პირად მოხმარებაზე). ხანგრძლივი მოხმარების საგნების უფრო დიდი ხვედრითი წილი მოწმობს მოსახლეობის მაღალ ცხოვრების დონეს და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაღალ დონესაც.

სშირად გამოიყენებოდა მაჩვენებლები “ სამომხმარებლო მინიმუმი “ და “ სამომხმარებლო კალათა”. მაგრამ ბოლო პერიოდში შემოვიდა ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა :

– შრომითი რესურსების მდგომარეობა (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოსახლეობის განათლების დონე, ძირითადი კვების პროდუქ-

* იხ. წინა სქოლიო

ტების ერთ სულზე მოხმარების რაოდენობა კალორიებში ან პროტეინშემცველობის საზომ ერთეულებში, სტუდენტთა და მოსწავლეთა რაოდენობა 10 ათას კაცზე, განათლებაზე გაწეული ხარჯების რაოდენობა დაა.შ.);

– მომსახურების სფეროს განვითარების დონე (ექიმების რაოდენობა 10 ათას კაცზე, საავადმყოფო საწოლების რაოდენობა 10 ათას კაცზე, მოსახლეობის უზრუნველყოფა საცხოვრებლით, საყოფაცხოვრებო მოწყობილობებითა და აპარატურით, და სხვ.) .

ბოლო წლებში მსოფლიო პრაქტიკაში ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლად გამოიყენება ე.წ. ქვეყნის ერთობლივი საზოგადოებრივი განვითარების ინდექსები, რომლებიც აერთიანებენ თავიანთ თავში ბევრ ეკონომიკურ და სოციალურ მაჩვენებლებს.

დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო ხანებში გამოჩნდა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სინთეზური მაჩვენებლები, რომლებიც პარამეტრთა ფართო წრეს ეყრდნობა; კერძოდ, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობას, განათლების დონის მაჩვენებლებს და ა.შ. ამგვარი ანალიზის დროს მატერიალურ დოვლათს გადამწყვეტი როლი არ ენიჭება. შეფასება ხდება სინთეზური, ე.წ. მოსახლეობის განვითარების ინდექსის (YLI) ან ადამიანური განვითარების ინდექსის (HDI) მიხედვით. ამ ინდექსების თანახმად ერთ დონეზე შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთი ქვეყნები, რომლებიც 2-3-ჯერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეკონომიკური განვითარების დონეებით. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებლის, მდგრადი ეკონომიკური განვითარების ინდექსის (ISE) თანახმად, რომელიც მხედველობაში იღებს დოვლათის განაწილებასა და გარემოს დეგრადაციას, აშშ-ში 50-იანი წლების შემდეგ კეთილდღეობის ზრდას ადგილი არ ქონია, მაშინ როდესაც ეროვნული პროდუქტი გაორკეცდა.*

ცალკე აღნიშვნის ღირსია 90-იან წლებში გაეროს მიერ შეთავაზებული ისეთი ინდექსები, როგორებიცაა HDI (Human Development Index), რომელიც არც ერთი ცნობილი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლის ბაზაზე არ გაიანგარიშება და პროფ. გ. მალაშხიას მიერ შემუშავებული ბედნიერების ინდექსი, რომლის ძირითად განმსაზღვრელ დეტერმინანტებს მიეკუთვნება: ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მატერიალური კეთილდღეობა, სოციალური სამართლიანობა, ადამიანთა ურთიერთობების ჰუმანურობა, საზოგა-

* გ. ადვიშვილი და სხვ., “ საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციისათვის “, ჟურნალი “ ეკონომიკა”, №12, 1993, გვ. 9

დოებაში ჰარმონიის (წესრიგის, სიმშვიდის), ეკოლოგიური ვითარების პარამეტრები.*

ქვემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ნათელი ხდება, რომ ასალი მანვენებლების მიხედვით ზოგიერთი ლიდერი ქვეყანა კარგავს თავის მოწინავე პოზიციას და ამ ადგილს ტრადიციული ეკონომიკური მანვენებლებით გაცილებით უკან მყოფ ქვეყნებს უთმობს. ბოლო წლებში სპეციალურ გამოკვლევებში და სტატისტიკურ ინფორმაციაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება შედარებითი კონკურენტუნარიანობის მანვენებლებიც, რომელნიც სსფ მიერაა შემუშავებული.

cxrili 1.1 Qqveynebis adgili humanuri ganviTarebisa da mSp warmoebis mixedviT**

Q q v e y a n a	Hhumanuri ganviTarebis indeqsi (HDI)	A dgili indeqsis mixedviT	Adgili mSp erT sulze mixedviT
iaponia	0.983	13	3
kanada	0.982	211	11
norvegia	0.978	36	6
Sveicaria	0.977	41	1
Svecia	0.977	55	5
aSS	0.976	610	10
avstralia	0.972	720	20
safrangeTi	0.971	813	13
niderlandi	0.970	917	17
inglisi	0.964	1021	21
islandia	0.960	119	9
germania	0.957	128	8

**გ. მაღაშხია, “მეტაეკონომიკა. ეკონომიკის ფილოსოფია”, თბილისი 1995 წ

**ი. არჩვაძე, “ რომელი ქვეყანაა. . .”, გვ. 96-103

cxrili 2.1. msofflios yvelaze ganviTarebuli aTi qvaynis ekonomikuri ganviTarebis maCveneblebi da Sedareba HDI maCvenebelTan*

erToblivi erovnuli producti		msyidvelobiT- unarianobis pariteti		Adamianuri ganviTarebis indeqsi	
qveyana	QqveyanasTan %-Si	qveyana	QqveyanasTan %-Si	qveyana	Qqvey.-Tan %-Si
Sveicaria	100	aSS	100	kanada	100
luqsemburgi	94.5	Sveicaria	98.4	Sveicaria	99.9
iaponia	79.6	luqsemburgi	94.0	iaponia	99.7
SvedeTi	74.7	germania	98.3	SvedeTi	99.6
norvegia	71.5	iaponia	87.6	norvegia	99.6
fineTi	71.0	kanada	87.3	safrangeTi	99.5
dania	70.5	hong-kongi	83.6	avstralia	99.4
islandia	69.9	safrangeTi	83.3	aSS	99.2
aSS	66.3	dania	80.8	niderlandi	99
arabTa gaerT. saemiroebi	65.8	avstralia	79.9	didi britane-Ti	98.6

ამ მაჩვენებელთა სისტემა შექმნილია ქვეყნის გადამამუშავებელი მრეწველობის ფასებისა და დანახარჯების შესადარებლად ყველაზე განვითარებული ქვეყნების საშუალოშეწონილ შესაბამის ინდიკატორებთან. ასეთი მაჩვენებელი სულ ხუთია:

1. ხვედრითი დანახარჯები ხელფასზე (ერთეულ პროდუქციაზე გათვლით);
2. ნორმალისებული ხვედრითი დანახარჯები სამუშაო ძალაზე (ე.ი. პროდუქციის გამოშვება გამომუშავებულ კაც/საათზე);
3. სრული ხვედრითი დანახარჯების დონე დამატებული ღირებულების ელემენტების მიხედვით, ე.ი. წარმოების პირველადი ფაქტორების ყველა ხვედრითი დანახარჯის მაჩვენებლები;
4. მრეწველობის საბითუმო ფასების შედარებითი დონე;
5. სამრეწველო საქონლის საექსპორტო ფასების შედარებითი დონე.

*ი. არჩვაძე, “ რომელი ქვეყანაა. . .”, გვ. 96-103

რა თქმა უნდა, ეს სისტემა მთელი სირთულით ვერ ახასიათებს ქვეყნისეკონომიკურ ეფექტიანობას, მისი საქმიანობის ერთ-ერთ მხარეს – კონკურენტუნარიანობას –

ეს არ ეხება. მაჩვენებელთა ეს სისტემები გამოიყენება ასევე რეგიონული ეკონომიკური განვითარების დასახასიათებლადაც, მაგრამ არის თავისებურებათა მთელი რიგი, რომელთაც ეროვნულ ეკონომიკაში მომხდარი თვისებრივი ცვლილებები იწვევს. მაგალითად, საკმარისია, ამა თუ იმ მიზეზის გამო ცვლილება მოხდეს რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობაში, ტერიტორიულ საზღვრებში, მიწის რესურსებსა თუ სხვა ძირითად მაჩვენებლებში, რომ რეგიონის ეკონომიკური პარამეტრები მკვეთრად შეიცვლება; თუმცა იგივე მაჩვენებელი შეიძლება არც კი მოქმედებდეს ქვეყნის ერთობლივი ეკონომიკური პარამეტრების ცვლილებაზე.

რეგიონული ეკონომიკა ტერიტორიულ ასპექტში იკვლევს საწარმოო ძალებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის კანონზომიერებებსაც და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან თითოეული რეგიონის ეკონომიკა, უპირველეს ყოვლისა, განიხილება, როგორც ქვეყნის ერთიანი სამეურნეო კომპლექსის შემადგენელი ნაწილი.

რეგიონის განვითარებაში აღსანიშნავია ორი ძირითადი ტენდენცია: ცენტრიდან მომავალი და ცენტრისკენული, ისინი მეტ-ნაკლებად იჩენენ თავს რეგიონის როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყნის ყოველ რეგიონს, თავისი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, სპეციფიკურივე ეკონომიკური მაჩვენებლებიც შეიძლება ჰქონდეს. ქვეყნის ტერიტორიაზე ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი დიფერენციაციის გადმწყვეტ ფაქტორს პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების ცალკეულ რაიონებს შორის განსხვავებები წარმოადგენს. ცალკეულ რაიონებში ეკონომიკური მაჩვენებლების დიფერენციაციის ფაქტორია აგრეთვე კონკრეტულ რაიონებში ეკონომიკის ფაქტიური მდგომარეობაც. სწორედ ამიტომაც გაზრდილი საწარმოო ფაქტორის როლი.

12. რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უცხოური ქვეყნების გამოცდილება

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფო აღმშენებლობის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი, რომელსაც, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით, სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

მსოფლიოში რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მდიდარი გამოცდილება დაგროვდა. დღეისათვის რეგიონული განვითარების ყველაზე ცნობილი მიმართულებებია:

— **პოსტკეინსური თეორია**, რომელიც ეყრდნობა რეგიონთაშორის განსხვავებების სახელმწიფო რეგულირებას. მისი საფუძველია სუსტად განვითარებულ რეგიონებში ინვესტიციების სტიმულირება; ხოლო რეგიონული პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტებად გამოიყენება სუბსიდიები, საკრედიტო და საგადასახადო შეღავათები;

— **ნეოკლასიკური რეგიონული მიდგომა**, რომელიც დაფუძნებულია პოსტულატზე: თავისუფალი არარეგულირებადი ბაზარი ბუნებრივად აღმოფხვრის უთანასწორობას რეგიონებს შორის და, შესაბამისად, არაა რეკომენდებული თავისუფალი საბაზრო მექანიზმებზე ზემოქმედება;

— **დაუბალანსებელი განვითარების თეორია** დიამეტრალურად განსხვავდება ნეოკლასიკური მიმართულებისგან. ამ თეორიის თანახმად, ბაზარი სახელმწიფო რეგულირების გარეშე, საბაზრო მექანიზმების ციკლურობის ძალით ზრდის რეგიონალ განსხვავებებს ხელს უწყობს რეგიონების ერთი ნაწილის სწრაფი, ხოლო მეორე ნაწილის სუსტი განვითარების ტენდენციების ჩამოყალიბებას;

— **რეგიონალიზმის საზოგადოებრივი თორია** – ძირითადად ყურადღებას უთმობს საერთოეროვნული და რეგიონული ინტერესების პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირების საკითხს. ამ თეორიის ფარგლებში ძირითადად განიხილება რეგიონებსა და ცენტრს შორის ძალაუფლების განაწილების პრობლემა, სოციალური განსხვავებანი და კონფლიქტები.

სხვა და სხვა შეხედულებები არსებობს რეგიონული პოლიტიკის ამოცანებისა და არსის, თეორიისა და მისი რეალიზაციის გზების თაობაზე, რაც ძირითადად თვით რეგიონული პოლიტიკის ობიექტის, მისი მიზნებისა და განხორციელების არაცალსახა გაგებით აიხსნება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გამოკვლევებში აღნიშნულია: "საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რეგიონული პოლიტიკის ობიექტს წარმოადგენს სხვა და სხვა სახისა და ხასიათის რეგიონული (სივრცობრივი) უთანასწორობა – განსხვავება ცხოვრების დონესა და პირობებში, დასაქმებასა და უმუშევრობაში და ა.შ. ხოლო რეგიონული პოლიტიკა გამოვლინდება რეგიონის სხვა და სხვა ქვესისტემებში სახელმწიფოს ჩარევის ფორმით."* რეგიონული პოლიტიკის მიზანია – მინიმუმამდე დაიყვანოს

განვითარებაში არსებული ის უთანაბრობანი, რომლებიც ქმნიან ნიადაგს სოციალური კონფლიქტების აღმოცენებისათვის და ასევე უშლიან ქვეყნისა და მისი ცალკეული ნაწილების თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ რეგიონული პოლიტიკის ამოცანების გამოკვეთილად დასახვისა და მათი გადაწყვეტის შესაბამისი საშუალებები რომ ამოვარჩიოთ, აუცილებელია, პირველ რიგში, ამ უთანაბრობათა მიზეზის დადგენა, რათა გამოიკვეთოს “ ჩარევის ობიექტი”.** ძირითადად ასეთ ობიექტებად მოიაზრებიან:

1. ბუნებრივ-კლიმატური პირობები და, შესაბამისად, მეწარმეობაში მკვეთრი განსხვავებები;
2. ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხარისხი, მიმართულება, მასშტაბები (ვინაიდან ეს ფაქტორი გავლენას ახდენს მრეწველობის განლაგებაზე, ცხოვრების პირობებზე, სოფლის მეურნეობაზე და მრავალი სხვ.) ;
3. რეგიონის მდებარეობა (მოქმედებს ფასებზე, სატრანსპორტო ხარჯებზე და ა.შ.) ;
4. წარმოების მოძველებული სტრუქტურა (ინოვაციების არარსებობა, ან დაგვიანებული დანერგვა) ;
5. ეკოლოგიური განვითარების ტენდენციები;
6. ტექნოლოგიური განვითარებების სტადია, რაც გავლენას ახდენს საქონლის სხვა და სხვა სახეობის წარმოებაზე;
7. პოლიტიკური პირობები;
8. ინსტიტუციონალური ფაქტორები;
9. განვითარების ისტორია;
10. განლაგების ფიზიკური ფაქტორები: საჰაერო, სახმელეთო და საწყლო სატრანსპორტო სისტემის, სამრეწველო პოლიგონების ქონა-არქონა, ანუ საწარმოო ინფრასტრუქტურა (ტელეკომუნიკაციების ჩათვლით) ;
11. ადგილობრივ მეწარმეთა მიერ ჩამოყალიბებული ფირმების დაბალი ხვედრითი წილი, ანუ გარედან შემოსული კაპიტალის მხრიდან კონტროლის მაღალი ხარისხი;
12. სოციალურ-კულტურული ფაქტორი: ურბანიზაციის დონე, სამეცნიერო- საგანმანათლებლო ცენტრების არსებობა და ა.შ.

* Economic Relationship and Development Organization Annual,2004, Washington,p.8-9

**იქვე

ადსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ, უნიტარული მოწყობის სახელმწიფოებში, რეგიონალ პოლიტიკას ცენტრალური მთავრობა ახორციელებს, ხოლო ფედერაციული პრინციპით მოწყობილ სახელმწიფოებში კი – მთავრობაც და ფედერაციის სუბიექტებიც შეთანაწყობილად მოქმედებენ.

ნ. არმსტრონგისა და ჯ. ტეილორის სქემები (იხ. სქემა გვ.17-18)* ნათლად ადასტურებს, თუ რეგიონული პოლიტიკის როგორი ინსტრუმენტით სარგებლობენ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მთავრობები და ლოკალური ხელისუფლება. აღნიშნული სქემით (სხვა და სხვა ზომით) შეიძლება ისარგებლონ საქართველოს მთავრობამ და რეგიონულმა ხელმძღვანელობამ.

დასავლეთის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკა, რომელიც, ბუნებრივია, საბაზრო ბერკეტების გამოყენებას ეყრდნობა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სათავეს იღებს დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, XIX საუკუნის შუა პერიოდიდან და დაკავშირებულია ცნობილ მიდგომასთან “ცენტრი-პერიფერია”. სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება ზემოთ აღნიშნულ პრობლემას, განვითარებული ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის როლისა და მნიშვნელობის მიხედვით 5 ძირითად ეტაპს გამოყოფენ. თითოეული მათგანის თავისებურებებისა და ტენდენციების დახასიათება, ასევე ზოგიერთი შედეგის შეფასება საერთო წარმოდგენას იძლევა რეგიონული განვითარების თაობაზე სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების (ევოლუციის) შესახებ. პირველ ეტაპზე (XX საუკუნის 30-იანი წლები) რეგიონალ პოლიტიკაში გამოიკვეთა ძველი სამრეწველო და სუსტად განვითარებული რეგიონებისათვის მხარდაჭერის ტენდენცია. ეს იყო 1929-1933 წლების მსოფლიო კრიზისის გამოწვევაზე სახელმწიფოების ერთგვარი რეაქცია. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა აშშ და ინგლისი. მეორე ეტაპზე (40-45-იანი წლები) სახელმწიფოთა რეგიონული პოლიტიკის გაძლიერებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ომის შედეგების ლიკვიდაციამ, ასევე ომის შემდგომმა კრიზისმა ევროპაში, რომელმაც მრეწველობის ტრადიციული პრობლემები უფრო გაამწვავა. მაგალითად, საფრანგეთში – ელზასი, გერმანიაში – რური და საარი, აშშ – საშუალო ატლანტიკის შტატები, ინგლისის ჩრდილოეთი და დასავლეთი მხარეები, სამხრეთი

ბელგიის რაიონები და სხვა. მესამე ეტაპზე (60-იანი წლები და 70-იანი წლების დასაწყისი) ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონზე რეგიონული პოლიტიკა უფრო ძლიერდება და ამ პერიოდში ხდება მისი, როგორც მთლიანობითი სისტემის


* Ларина Н.И., Кисельникова А.А., Региональная политика в странах рыночной экономики, М, 1998, стр.13-14.

ჩამოყალიბება (მის ძლიერ ინსტრუმენტად აღიარებულია რეგიონული პროგრამირება). მეოთხე ეტაპთან (70-იანი წლების შუა პერიოდი – 1993 წელი) არისდაკავშირებული მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელმაც რეალურად ჩაუყარა საფუძველი ევროკავშირის ჩარჩოში “ზენაციონალური” რეგიონული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას. მეხუთე ეტაპი სათავეს იღებს 1993 წლიდან. მისთვის დამახასიათებელია ქვეყნებისა და რეგიონების მისწრაფების გაძლიერება, რათა “ნაციონალური სახელმწიფოების ევროპა” გარდაიქმნას “რეგიონების ევროპად”.

ზემოთ იყო აღნიშნული, რომ რეგიონული პოლიტიკის ეს სრულიად ახალი მიდგომა ჩამოყალიბდა გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ტენდენციის – ინდუსტრიული საზოგადოებიდან პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის სტადიაში და იგი ლოგიკურად გამოხატავს გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის როგორც წინააღმდეგობრივ ხასიათს, ისე მათი ურთიერთდამოკიდებულების მაღალ ხარისხს.

იმისთვის, რომ უფრო სრულად წარმოვიდგინოთ რეგიონული პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო, მეურნეობრიობის, ტრადიციების რეგიონული თავისებურებითაც ხასიათდება, მიზანშეწონილია გავეცნოთ იმ ქვეყნების გამოცდილებას, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ გლობალიზაციის პროცესში (შვიდეულის ქვეყნებში), ასევე იმ ქვეყნებსაც, რომელთა გამოცდილება სასარგებლო იქნება

სქემა №1. რეგიონული მიკროპოლიტიკის საშუალებები *






(სქემა გრძელდება შემდეგ გვერდზე)

* წყარო: Ларина Н.И., Кисельников А.А., “ Региональная политика в странах ры ночной экономики”, Москва, 1998 год, стр.13-14.

სქემა №1-ა.

რეგიონული მიკროპოლიტიკის საშუალებები (გაგრძელება)





ფირმების მართვის
ეფექტიანობის
ამაღლების პოლიტიკა
(მმართველობითი
მომსახურებისათვის
გაცემული
სუბსიდიები მცირე
ფირმებისათვის
და სხვა)

გარდამავალი პერიოდის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპების განსაზღვრისათვის.

ამ მიზნით მოკლედ მიმოვიხილავთ ცალკეული ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის მხოლოდ არსებით ნიშან-თვისებებს, ტენდენციებს, რომელთა გაცნობაც სასარგებლოა საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის.

საფრანგეთს სამართლიანად მიიჩნევენ საბაზრო პირობებში პროგრამირების კლასიკურ ქვეყნად. ნიშანდობლივია, რომ პროგრამირების მთავარ მიზნებად ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იყო აღიარებული შესაბამისი პრიორიტეტები მაგალითად “საფრანგეთის დეცენტრალიზაცია” (მრეწველობისდეკონცენტრაცია); აგრარული რაიონების ინდუსტრიალიზაცია, სოფლებში კომუნალური მომსახურების გაუმჯობესება; ადრეათვისებული რეგიონების, რომლებიც დეპრესიულ მდგომარეობაში არიან, მრეწველობის განვითარება; მცირე და საშუალო ქალაქების (რეგიონული ცენტრების) განვითარების სტიმულირება; პერიფერიებში მომსახურების სექტორის განვითარება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული კონცეფციების შესაბამისად 1950 წელს საფრანგეთში მიღებულ იქნა ქვეყნის ტერიტორიული გარდაქმნის პირველი ეროვნული გეგმა. 50-იან წლებში

ამ გეგმის საფუძველზე შეიქმნა 22 ეკონომიკური რაიონი, რომელთა საზღვრები ისტორიული პროვინციების თითქმის იდენტური იყო. თითოეულ რაიონში ჩამოყალიბდა სპეციალური სახელმწიფო ორგანოები, რომლებსაც ევალებოდათ შესაბამისი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შედგენა და მათი რეალიზაციის კონტროლი. შემდგომ პერიოდში 22 რაიონის ბაზაზე შეიქმნა შვიდი მსხვილი ეკონომიკური რაიონი (პარიზის, ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, ლიონის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და ხმელთაშუა ზღვის).

საფრანგეთის რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთ თავისებურებად სამართლიანად მიიჩნევენ რეგიონული კონტრასტების შერბილებას. (ეს პრობლემა, შეიძლება ითქვას, მუდმივად დგას ცენტრისა და ტერიტორიის ურთიერთობაში). ასეთი პოლიტიკის მიზანია მიღწეულ იქნეს სოციალური წონასწორობის მთავარი პირობა – მოსახლეობისა და ეკონომიკის გადაადგილებაში დაბალანსებული მდგომარეობა. 50-იან წლებში პარიზის ზრდის შეჩერების შემუშავებული ღონისძიებების განხორციელებით, სამრეწველო საწარმოების სტიმულირებით,

მათთვის სესხების, სუბსიდიების მიცემით, გარეუბანში მშენებლობისათვის მიწის შექენის ხელსაყრელი პირობების შექმნით შესაძლებელი გახდა მიღწეულ იყოს პარიზის სამრეწველო პოტენციალისაგან განტვირთვა. საფრანგეთში რეგიონული განვითარების პოლიტიკისათვის ასევე დამახასიათებელია ტერიტორიული ერთეულისათვის ფინანსური მხარდაჭერა: სუფსიდების გაცემა, საწარმოების ადგილობრივი “საქმიანი გადასახადისაგან” განთავისუფლება, რეგიონული პროექტების დაფინანსებისათვის სხვადასხვა სტატუსის ფონდების შექმნა-გამოყენება. მაგალითად ფუნქციონირებს სამრეწველო ადაპტაციის ფონდი, დასაქმების ფონდი და სხვ. 80-იან წლებში აქტიურად გამოიყენებოდა რეგიონული განვითარებისათვის მხარდაჭერის ორი ძირითადი ფორმა: ტერიტორიის მოწყობისათვის (სახელმწიფოს დონეზე) და დასაქმების (რეგონის დონეზე) ასიგნება. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში ტერიტორიების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებებზე არსებით გავლენას ახდენს ქვეყანაში მოქმედი კანონი “ბუნების შესახებ”.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რეგიონული პოლიტიკის განხორციელების რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს გამოყოფენ. პირველ ეტაპზე (ომის შემდგომი პერიოდი – 50-იანი წლები) მთავარი იყო მეორე მსოფლიო ომით ქვეყნის დაზარალებული რეგიონების განვითარება აღდგენა. მეორე ეტაპზე, ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონზე რეგიონული პოლიტიკა კონცენტრირებული იყო “ზრდის ფედერალურ ცენტრებზე” და ეყრდნებოდა გამოყენებელი სამუშაო ძალის რეზერვების მობილიზაციას და ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებზე ორიენტაციას. მესამე ეტაპზე (70-80-იანი წლები) მოხდა ფედერალური, რეგიონული (მიწების) ხელისუფლების რეგიონული პოლიტიკის დაახლოება, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი “რეგიონული ეკონომიკური სტრუქტურის შესახებ” კანონის მიღებამ. ამასთან ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვით ფედერალურ მთავრობას მიეცა საშუალება რეგიონული პრობლემები უშუალოდ გადაეწყვიტა. კონსტიტუციით ფაქტობრივად განისაზღვრა სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ერთიანი სისტემა. თვისებრივად ახალ პირობებში მოხდა მისი ეფექტიანობის გამოცდაც. მხედველობაში გვაქვს გღრ ტერიტორიის ახალი მიწების (მხარეების) სახით გღრ სამეურნეო და პოლიტიკურ სისტემაში შესვლა. ამ პროცესმა ხელი შეუწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის კრიზისის გაღრმავებას. ამიტომ სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა თვისებრივად ახალი პრობლემის და

შესაბამისად ახალი ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. განსაკუთრებით ნეგატიურ როლს ასრულებდა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დისპროპორციები.

გერმანიის რეგიონული პოლიტიკა ეფუძნება ტერიტორიებისათვის მხარდაჭერისათვის პროგრამულ მიდგომას. გამოყოფენ მის სამ ძირითად მიმართულებას. ერთ-ერთია ის პროგრამა, რომელიც გაერთიანებამდე მოქმედებდა და ითვალისწინებდა გდრ სასახლვრო ტერიტორიების (სიგანით 40კმ.) განვითარების მხარდაჭერას. ამას, ბუნებრივია, ქონდა დიდი პოლიტიკური დატვირთვა, და მიზნად ისახავდა ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას. მეორე მიმართულებით განისაზღვრა ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღება. ამასთან დაკავშირებით შემოღებულ იქნა რეგიონების კლასიფიკაციის შესაბამისი კრიტერიუმები. მაგალითად, ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად ითვლებოდა მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქციის წარმოება. მესამე მიმართულება მიზნად ისახავდა ეკონომიკური განვითარების ძირითადი ცენტრების (ტერიტორიის) ინდუსტრიალიზაციას. სახელმწიფოს მხრივ ფინანსური მხარდაჭერა დაბალი პროცენტებით კრედიტების, სესხების მიცემით განისაზღვრებოდა. აღნიშნული პროგრამა მიზნული იყო ეკონომიკური ზრდის კონკრეტულ ცენტრთან, რომლის მოსახლეობა მინიმუმ 20 ათას კაცს შეადგენდა, რაც ექსპერტების აზრით, შრომის ბაზრის მანევრირებით იყო განპირობებული. გერმანიის რეგიონული პოლიტიკის ეკონომიკური შემადგენელი ტრადიციულად ოთხ ფორმას ეყრდნობოდა: კაპიტალდაბანდებებზე სუფსიდიის ორ სახეს (საბაზო და დამატებითი), შეღავათიან სესხებსა და ამორტიზაციის სპეციალურ უფლებებს. ადგილი წესით სუბსიდიებს მიიღებდა ის საწარმო, რომლის პროდუქციის 50%-მეტი ადგილზე არ მოიხმარებოდა. რაც შეეხება დამატებით სუბსიდიეს იგი მიწებს გადაეცემოდა, შემდგომში მიზნობრივად გამოყენებისათვის. შეღავათიანი დაკრედიტება გამოიყენებოდა მცირე და საშუალო ფირმების სტიმულირებისათვის. ამორტიზაციასთან დაკავშირებით შეღავათები ძირითადად გდრ ტერიტორიაზე მოქმედ საბაზრო სუბიექტებზე ვრცელდება. პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ასევე სახელმწიფო დაკვეთები, სასახლვრო რეგიონებისათვის სატრანსპორტო ხარჯების შემცირება და სხვ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან თიტქმის ერთი მეოთხედი ხმარდება ახალი მიწების სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღების მხარდაჭერას. რეალურად გაიმიჯნა ფისკალური პოლიტიკა ცენტრსა და რეგიონებს შორის. ცენტრი განსაზღვრავს საგადასახადო ბაზას, მეორე კი ანხორციელებს კონტროლს

გადასახადების ამოღებაზე (გარდა ფედერალური აქციზების, საბაჟო და ევროკავშირის გადასახადებისა). საყურადღებოა საბიუჯეტო სისტემის ვერტიკალური და ჰორიზონტალური გამოთანაბრების მექანიზმები. პირველისათვის რეგულატორად გამოიყენება დღგ განაწილება ფედერალურ და რეგიონალ ბიუჯეტებს შორის, ხოლო ჰორიზონტალურ გამოთანაბრებაში მთავარ როლს ასრულებს ერთობლივი გადასახადები, ასევე გამოიყენება ჰორიზონტალური ტრანსფერებიც.

აშშ რეგიონული პოლიტიკა* XIX საუკუნესა და XX საუკუნის შუახანებამდე შტატების განვითარების მიმართ ძირითადად საკანონმდებლო აქტების მიღებით ამოიწურებოდა. მაგალითად, 1933 წელს მიღწეულ იქნა კანონი სახელმწიფო კორპორაციის ორგანიზაციის შესახებ, მისი მიზანი იყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაში მდინარე ტენესის რეგიონის ჩამორჩენის ლიკვიდაცია. 60-იანი წლებიდან რეგიონული პოლიტიკა გახდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ორგანული ნაწილი.* ზემოთ აღნიშნულ კანონს საეტაპო მნიშვნელობა ქონდა სახელმწიფოს თვისებრივად ახალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში. 70-იან წლებში აშშ მიღებულ იქნა რიგი კანონებისა, რომლებმაც განვითარების ახალი ეტაპის ამოცანების შესაბამისად განსაზღვრეს სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა. მაგალითად, კანონები: დეპრესიული რეგიონების დახმარების მიზნით ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ (1965), აპალაჩის რეგიონული კომისიის შექმნის შესახებ (1965), სამთავრობოთაშორისო თანამშრომლობის შესახებ (1968), სოფლის განვითარების (1972), საბინაო მშენებლობისა და სოფლის განვითარების (1974), რეგიონული განვითარების შესახებ (1975) და ა.შ.

ფედერალური და რეგიონული პროგრამების შედგენა-განხორციელებისას სამ მიდგომას გამოყოფენ:

პირველი. საერთო სახელმწიფოებრივი. აშშ კონგრესი უშუალოდ განსაზღვრავს რეგიონული პროგრამების მიზნებს, ფედერალური პოლიტიკის შემუშავების სამმართველო და ადმინისტრაციულ საბიუჯეტო სამმართველო, მთავრობასთან არსებული ეკონომიკური განვითარების ფედერალური საკონსულტაციო საბჭო, საუწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, ფედერალური ბიუჯეტიდან ასიგნების მაქსიმალურ ოდენობას, პროგრამების რეალიზაციის კონტროლის სისტემას და ა.შ.

აშშ რეგიონული პროგრამების ფედერალურ დონეზე შემუშავებისა და კოორდინაციის პოლიტიკისათვის პასუხისმგებელი არიან პრეზიდენტთან არსებული რეგიონული საბჭოები, კონგრესთან არსებული წარმომადგენელთა პალატისა და სენატის კომისიები.

მეორე. უწყებრივი (შტატს ზემოთ) მიდგომა. რეგიონული პროგრამების განხორციელებისათვის იქმნება სპეციალური დამოუკიდებელი სტრუქტურები (მაგლითად, სააგენტოები), როგორცაა წყლის რესურსების საბჭო, მდ. ტენესის დაბლობის ადმინისტრაცია, მდინარეების ბასეინების განვითარების დაგეგმვის კომისია, რეგიონული საგეგმო კომისიები და ა.შ.*

მესამე. უწყებრივი ლიკალური მიდგომა გულისხმობს ფედერალური პროგრამის რეალიზაციაში ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობას. ამ შემთხვევაში ფედერალურ დონეზე ხდება ფინანსირება, ანალიზი, შეფასება, კონტროლი, ხოლო კონკრეტული პროგრამის შედგენა რეგიონული ორგანოების ფუნქციაა.

ფედერალურ დონეზე რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციისათვის (როცა ეხება მთლიანად ქვეყნის ტერიტორიას) პასუხისმგებელია ეკონომიკური განვითარების ადმინისტრაცია, რომელიც ვაჭრობის სამინისტროს სისტემაშია. და მას მეტაურობს მინისტრიც მოადგილე. ეს ორგანიზაცია აფინანსებს, კოორდინაციას უწევს იმ პროგრამებს, რომელთა რეალიზაცია ხდება შტატების ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

აღსანიშნავია, რომ საავტომობილო გზების ფედერალური ადმინისტრაცია საკუთარ პროგრამას ახორციელებს შტატების შესაბამისი დეპარტამენტის მეშვეობით, ხოლო გარემოს დაცვის სააგენტო კი – შტატის შესაბამისი უწყებებით.

როგორია რეგონების განვითარების მხარდაჭერის ეკონომიკური ზემოქმედების ბერკეტები? ცნობილია, რომ აშშ დამახასიათებელია ხელისუფლების დეცენტრალიზაციის მაღალი დონე. ფედერალური დონიდან ადგილობრივ დონეს გადაეცემა უფლებებისა და რწმუნებების დიდი ნაწილი. მაგალითად, 90-იან წლებში აშშ არსებობდა 80 ათასი ადგილობრივი მმართველობის ერთეული (საგრაფოები, მუნიციპალიტეტები, სასკოლო ოლქები,

* პროგრამის მიზანი ენერგეტიკის განვითარება იყო. აღსანიშნავია, რომ ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი შედგებოდა სხვადასხვა შტატების ტერიტორიაზე არსებული 27 კაშხალისაგან. აღნიშნული ზონის ეკონომიკას 30 წლის მანძილზე ჰქონდა განვითარების ყველაზე მაღალი ტემპები. მისი ტერიტორია გადაიქცა მაღალგანვითარებულ რეგიონად (იხ. Гладкий Ю., Чистобаев А. Основы региональной политики, М., 1998 с. 615).

სპეციალური ოლქები). ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს გააჩნიათ საკუთარი ფინანსური ბაზა (მათი შემოსავლების 2/3 ადგილობრივი შემოსულობები წარმოადგენს, ხოლო 1/3 იღებენ შტატისა და ფედერალური ბიუჯეტიდან). ამრიგად, ადგილობრივი ორგანოები ფლობენ რეალურ ფინანსურ ბერკეტებს, აშენებენ საავტომობილო გზებს, აეროპორტებს, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ობიექტებს, პარკებს, დასვენების ობიექტებს და სხვ.

რეგონული განვითარების ამერიკული გამოცდილებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ფედერალური დახმარების დასაბუთების (მზანშეწონილობის) მექანიზმი. ფედერალური მთავრობა უშუალოდ ადგილობრივ ორგანოებს, ასევე მრეწველობაში, ვაჭრობასა და მომსახურებაში კერძო ფირმებს გამოუყოფს სუბსიდიებს, კრედიტებს საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარებისათვის.*

დადგენილი წესის შესაბამისად სუბსიდიებისა და კრედიტების მისაღებად აუცილებელია დასაბუთებული პროგრამა, რომელიც ორი წლით ადრე უნდა შედგეს. პროგრამების დაფინანსებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ვაჭრობის სამინისტრო (ეკონომიკური განვითარების ადმინისტრაცია). ადგილობრივ ორგანოებთან შექმნილია ე.წ. განვითარების ორგანიზაციები (საბჭოები), რომლებიც ემსახურებიან პროგრამების შედგენისა და ცალკეული რეგიონული პრობლემების გადაწყვეტას. 1967 წლიდან აშშ ფუნქციონირებს რეგიონული საბჭოების ეროვნული ასოციაცია, ასევე არსებობს ქალაქების ნაციონალური ლიგა, აშშ საბინაო და საქალაქო განვითარების დეპარტამენტი, ფორდის ფონდი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ფედერალურ დონეზე რეგიონების განვითარების პროგრამებს შორის გამოყოფენ აპალაჩის (რომელიც მოიცავს 13 შტატის ტერიტორიას. მოსახლეობა შეადგენს 21 მლნ კაცს) განვითარების პროგრამას. საგულისხმოა, რომ მისი რეალიზაცია დაეკისრა სპეციალურად შექმნილ რეგიონალ კომისიას. იგი წარმოადგენს შერეულ, ფედერალურ-შტატის ორგანოს. შეიქმნა კომისიის ქვედა რგოლიც – ლოკალური განვითარების ორგანიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროგრამული დონისძიებების დაგეგმვა და კოორდინაცია ადგილობრივ დონეზე.

სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის იაპონიის გამოცდილების შესწავლა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მისი ტერიტორიის 70% დაუსახლებელ მთიან რეგიონებზე მოდის. ამიტომ მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ

*საზოგადოებრივ სამუშაოებად ითვლება საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა სახელმწიფოს ხარჯზე. ასეთი ობიექტების წყალმომარაგება, კანალიზაცია, სავაჭრო ცენტრები, კადრების მომზადება და ა.შ.

კვადრატულ კილომეტრზე შეადგენს 1000 კაცს, ეს თავისებურება უშუალო გავლენას ახდენს მოსახლეობისა და წარმოების კონცენტრაციაზე და ხელს უწყობს რეგიონებს შორის განვითარების დონის მკვეთრ განსხვავებას (ეს ეხება იაპონიის ჩრდილოეთ რაიონებს). ექსპერტების აზრით, იაპონიაში სახელმწიფოს მკაფიოდ გამოხატული რეგიონული პოლიტიკა სათავეს იდებს 1962 წლის კანონის “იაპონიის ტერიტორიის ყოველმხრივ და კომპლექსური განვითარების გაუმჯობესების შესახებ” მიღებიდან. დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე “სუსტად განვითარებული რაიონების სამრეწველო განვითარების დაჩქარების პრინციპების შესახებ”, “მრეწველობის რეგიონული გადაადგილების პრინციპები”, “რაიონული ქალაქების მშენებლობის პრინციპები”, ქალაქის აგლომერაციის მშენებლობის პრინციპები”, და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მიღებას. იაპონიის რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ძირითადად ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: ადგილობრივ ორგანოებს სახელმწიფო გამოუყოფს სუბსიდიებს აუცილებელისაწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურისათვის; საგადასახადო შეღავათები ვრცელდება იმ კომპანიებზე, რომლებიც მოცემულ რეგიონში საწარმოო სიმძლავრეებს ქმნიან და რეგიონული პოლიტიკით განსაზღვრულ მოთხოვნებს პასუხობენ. გარდა ამისა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობისათვის სახელმწიფოს ფინანსური სტრუქტურების სესხებიც გამოიყენება. *

იაპონიის რეგიონულ პოლიტიკას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში აღიარებული ეკონომიკური დაგეგმვის სისტემა. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში მუშავდება გრძელვადიანი ეროვნული განვითარების კომპლექსური გეგმები, რომლებსაც ამტკიცებს მთავრობა(იაპონიაში ინდიკატური დაგეგმვის ზოგიერთ თავისებურებას ქვემოთ განვიხილავთ) იაპონიის რეგიონალ პოლიტიკას დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებენ იმით, რომ იგი ემყარება კომპლექსურ კანონმდებლობას, არ ითვალისწინებს კერძო ინვესტიციებს, რომლებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვა ქვეყნებში. იაპონიაში უპირატესობას აძლევენ ინფრასტრუქტურის განვითარებს. ამასთან რეგიონული განვითარებისათვის პასუხისმგებლობა სამინისტროებთან ერთად შესაბამის რეგიონალ სტრუქტურებსაც აკისრიათ. მაგალითად, რეგიონული განვითარების სახელმწიფო კორპორაცია, განვითარების იაპონიის ბანკი და სხვ. ინსტიტუტები წარმოადგენენ რეგიონული პროექტების დაფინანსების მთავარ სუბიექტებს.

* Гладкий Ю., Чистобаев А., „ Основы региональной политики”, М., 1998, с. 226

ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ გავეცნოთ ე.წ. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში რეგიონული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებასაც. აღნიშნულ ქვეყნებში რეგიონული პოლიტიკის განსაზღვრა უკავშირდება “პოსტკოლონიურ პირობებში” დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების რთულ პროცესს, ამიტომ რიგი თავისებურებებითა და ტენდენციებით ხასიათდება. მაგალითად, 50-60-იან წლებში ლათინური ამერიკის სახელმწიფოებისა და ინდოეთში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნულ გეგმაში რეგიონის (ტერიტორიის) განვითარება ცალკე გამოიყოფოდა. თუმცა მასში არ განისაზღვრებოდა რთული ამოცანები, ამიტომ რიგ ქვეყნებში აშკარად დაუპირისპირდა ერთმანეთს ეროვნული და რეგიონული პოლიტიკა.

ზოგიერთ ქვეყანაში ცალკე რეგიონული პრობლემების გადაწყვეტა მიზანშეწონილად არ მიიჩნეეს. ცალკეულ ქვეყნებში კი უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ზღვისპირა რეგიონების განვითარებას. სუსტად განვითარებულ ქვეყნებში რეგიონული პოლიტიკის რამდენიმე ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა: დედაქალაქების დეცენტრალიზაცია; ქვეყნის ახალი ტერიტორიების ათვისება; ჩამორჩენილ აგრარულ რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის ამაღლება; მიგრაციული პროცესების (განსაკუთრებით სოფლიდან) მოწესრიგება და სხვ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში განვითარებადი ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის თეორიულ საფუძვლებს შორის განსაკუთრებით აღნიშნავენ პერიფერიული ეკონომიკის განვითარების თეორიას და მასთან დაკავშირებულ იმპორტშეცვლის კონცეფციას. ორივე მიდგომა ითვალისწინებს დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკური ბაზის შექმნას. XX საუკუნის 60-70-იან წლებში პოპულარობით სარგებლობდა “პოლუსებისა” და “ცენტრების ზრდის” კონცეფცია* (რომელიც გამოიყენეს საფრანგეთში, ასევე ფართოდ გავრცელდა აფრიკის ქვეყნებში). მიზანმიმართულ რეგიონულ პოლიტიკას ძლიერი იმპულსები მისცა ცნობილმა კონცეფციამ “საკუთარ ძალებზე დაყრდნობა” (რომელიც წარმატებით ჩინეთმა გამოიყენა). ჩინეთში რეგიონალ პოლიტიკას ყოველთვის ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. ასეთი მიდგომა დაედო საფუძვლად გარდაქმნების რთულ პროცესში საერთო-სახელმწიფოებრივი სტრატეგიის განსაზღვრას.

რეგიონულ პოლიტიკას ახორციელებენ ჩინეთის სახელმწიფო საგეგმო კომიტე

* Гладкий Ю., Чистобаев А., „ Основы региональной политики”, М., 1998, с. 226

ტი, სახელმწიფო ეკონომიკური კომიტეტი, ეროვნებათა საქმის სახელმწიფო კომიტეტი, შობადობის დაგეგმვის სახელმწიფო კომიტეტი და სხვ. ჩინეთის სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის განსაზღვრის ძირითადი პრინციპებია: რეგიონების დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფა, შობადობის რეგულირება, ადგილობრივი რესურსების შესწავლა და უფრო სრულად ათვისება (ზემოთ აღნიშნული კონცეფციის ”საკუთარ ძალებზე დაყრდნობა” მიხედვით), ადგილობრივი ინიციატივის ფართოდ განვითარება. ამის გარდა რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა, რომელიც უცხოურ ინვესტიციებზეა ორიენტირებული (ხელშემწყობი ფაქტორია ისიც, რომ იურიდიული პირი, რომელიც არანაკლებ 5 მლნ დოლარის ინვესტიციებს აბანდებს თავისუფლდება გადასახადებისაგან).

როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ნებისმიერი სახელმწიფო ადგილობრივი ბუნებრივ-საწარმოო და სხვა პირობების, ასევე განვითარების ეტაპების ამოცანების შესაბამისად განსაზღვრავს საკუთარ რეგიონულ პოლიტიკას.

ჩვენი აზრით, საქართველოში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის დღევანდელ პირობებში უნდა გამოვიყენოთ ის მიდგომა, რომელიც მთლიანად მოიცავს ტერიტორიას, მისი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციას. გარდამავალ პერიოდში სტრატეგიული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ამოცანაა თანამედროვე საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეფექტიანი ეკონომიკის ფუნქციონირების ხელშემწყობი გარემოს შექმნა, ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, მსოფლიო ინტეგრაციულ პირობებში მონაწილეობის გაფართოება, დასაქმების მწვავე პრობლემების გადაწყვეტა, საბოლოოდ, ცხოვრების დონის ამაღლება. მ ამოცანების წარმატებით რეალიზაციის შემდეგ განვითარების ეტაპის შესაბამისი ცალკეული პრობლემების გადაწყვეტა უნდა მოხდეს დიფერენცირებული მიდგომით, პრობლემების პრიორიტეტის მიხედვით, ე.ი. პრობლემებზე ორიენტირებული პროგრამებით. ამრიგად, რეგიონის (იგულისხმება მისი ყველა დონე) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამა უნდა წარმოადგენდეს ტერიტორიის (ქვეყნის ნაწილის) განვითარების მიზანმიმართული მართვის სტრატეგიას, ორიენტირს (ინდიკატორს), რომელიც ეფუძნება ქვეყანაში განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზანს (სტრატეგიას), მოქმედ სამართლებრივ ბაზას, ოფიციალურად აღიარებულ მეცნიერულ მეთოდებს (სტრატეგიული, დაქვემდებარებული მიზნების

განსაზღვრა, კომპლექსურობა, თანმიმდევრობა), რესურსულ პოტენციალს (შრომითი, ბუნებრივ-საწარმოო, ფინანსური და სხვ.) კოორდინაციის მექანიზმს (ინფორმაციული უზრუნველყოფა, ორგანიზაციული სტრუქტურა, კადრების კვალიფიკაცია და სხვ.) და სრულად გამოხატავს ეკონომიკის განვითარების ეროვნულ ინტერესებს.

ანდა, მაგალითად, სამხ.-აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების (NIC) სწრაფი ზრდა; პირველ რიგში, მოხდა ამ ქვეყნებისათვის არატრადიციული დარგების ფორსირებულად განვითარების შედეგად, ე.ი. მეურნეობის სტრუქტურის მკვეთრი ცვლილებებით. ასე, 60-იან წლებში პრიორიტეტი ენიჭებოდა ეკონომიკის ტრადიციულ, – სანედლეულო, – დარგების განვითარებას, რომლებიც ძირითადად ექსპორტზე იყვნენ ორიენტირებულნი. ამას გარდა, ეს ქვეყნები ატარებდნენ იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკას. აგრამ სწრაფად მზარდი მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფას ასეთი ეკონომიკური სისტემა ვერ ახერხებდა დაბალი შრომატევადობის გამო, ნედლეულზე არსებული მსოფლიო ფასები არც თუ მაღალი იყო, ხოლო შიდა ბაზრის სივიწროვე კი ხელს უშლიდა ეფექტური და კონკურენტუნარიანი, იმპორტჩამნაცვლებელი საწარმოების ჩამოყალიბებას. მიიღეს ცნობილი შედეგი – მოსახლეობის შემოსავლების აბსოლუტური შემცირება, უმუშევრობის ზრდა, საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი დიფერენციაცია.

საკვალალო შედეგებმა აიძულეს ქვეყანა, დამდგარიყო თანამედ-როვე საბაზრო ინსტიტუტების ფორმირების გზაზე, ჩაეტარებინა ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილება მრეწველობის ისეთი დარგების სასარგებლოდ, რომლებიც მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებზე იყო ორიენტირებული. შედეგად სათბობ-სანედლეულო ინდუსტრიის მაგივრად წამყვანი ადგილი შრომატევადმა გადამამუშავებელმა დარგებმა დაიკავა. ამ რეგიონის ქვეყნებში მცირე ბიზნესისათვის სახელმწიფოებრივი დახმარების პროგრამების “ბუმი” იყო 70-იან – 90-იან წლებში. ამავე პერიოდში მშპ მატების ტემპებმა საშუალოდ 7.5 % შეადგინა. *

რეგიონული პოლიტიკის თითქმის მთლიანად ფედერაციის სუბიექტზე გადაცემის ნათელ მაგალითს ქარმოადგენს ავსტრალია; ამ ქვეყნის კონსტიტუცია ძალზე ზღუდავს ცენტრის უფლებებს შტატებთან მიმართებაში. ერთის მხრივ, ამან რეგიონების ეკონომიკური დამოუკიდებლობა ჩამოაყალიბა, რაც უდაოდ შესანი-

* The World Bank, “World Develop.Report“, 1998/99, Oxford Press, pp.190-191; 232

შნავია, მაგრამ არის “შედლის მეორე მხარეც”: სახელმწიფომ მთელი სისრულით ვერ განახორციელა სამეცნიერო-ტექნიკური ერთიანი პოლიტიკა, ვინაიდან ეს იწვევს შტატების საქმეში ჩარევის საჭიროებას, რაც, ავსტრალიური კონსტიტუციის თანახმად, დაუშვებელია. შტატებს, თავის მხრივ, არ ძალუძთ ამ პრობლემის დამოუკიდებელი გადაწყვეტა. შედეგი – ჩამორჩენა ახალი ტექნოლოგიების შექმნის საქმეში.

ბუნებრივია, თუ დავასკვნით: საქართველოში რეგიონული პოლიტიკა ფედერალური მოწყობის პრინციპზე უნდა იყოს აგებული და მას როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ისე რეგიონი შეთანაწყობილად უნდა ახორციელებდნენ. საქართველოს ხელისუფლება მის ხელში დაარსებულ მატერიალურ-ფინანსურ რესურსებს რაციონალურად უნდა ანაწილებდეს ქვეყნის შიგნით დარგებსა და რეგიონებს შორის, რითაც მოახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებასა და რეგიონთაშორისი დაძაბულობასაც მოხსნის. ხოლო რეგიონები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ქვეყნის მთავრობის მიერ რეგიონული პოლიტიკის გატარებაში და არ უნდა ეცადონ აბსოლუტური დამოუკიდებლობის მიღწევას ყველა საკითხში. კრიზისიდან გამოსვლისა და საბაზრო მექანიზმების სრული ამოქმედების შემთხვევაში, იმედია, რეგიონების სრული დამოუკიდებლობა ან ამერიკულ/ავსტრალიურ დონის მიაღწევს, ანდა, შესაძლოა, წარმოიქმნას სრულიად ახალი, ქართული რეგიონული პოლიტიკის მოდელი.

13. რეგიონის ეკონომიკის განვითარება და რეგულირების მექანიზმი საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მსოფლიოში რეგიონული განვითარებისა და მისი რეგულირების უცხოური გამოცდილების გაცნობას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს რეგიონული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევაში, სოციალური ორიენტაციის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლაში და ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული რეგიონების ჭრილში სტაბილიზაციისა და გამოცოცხლების მიღწევისათვის.

თანამედროვე სახელმწიფოების ეკოლოგიის უპირატეს ტენდენციას წარმოადგენს

ხელისუფლების ნელი დეცენტრალიზაცია და რეგიონებისათვის სულ უფრო მეტი ფუნქციების გადაცემა. ამასთან, ყველა რეგიონში ფუნქციონირებენ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობები, რომლებიც რეგიონულ ადმინისტრაციას არ ემორჩილებიან. რეგიონული განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება თვითმმართველობის (მუნიციპალური, ე.ი. ადგილობრივი თვითმმართველობის) მეშვეობით, რეგიონების სახელმწიფო ხელისუფლებასთან და ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან პირდაპირი თანამშრომლობის ფონზე.

რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურა არაა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ, იგი ცვლილებებს ექვემდებარება და რაც უფრო სწრაფია ეს ცვლილებები, რაც უფრო ელასტიურად ერგება სტრუქტურა დროის მოთხოვნებს, მით მეტი წარმატებებით ვითარდება ეკონომიკა. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარმა ცვლილებებმა თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა. ამ ცვლილებათა განხორციელების გზები კი ორგვარი იყო:

ა) ერთში ის სტიქიური ძალები დომინირებდნენ, რომელთაც სუფთა საბაზრო ურთიერთობები წარმოშობენ; ეკონომიკის სტრუქტურა იცვლებოდა მოგების ნორმის სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად (ე.ი. სტრუქტურის არაპერსპექტიულ ელემენტებში მეპატრონეები კოტრდებოდნენ ან ეგუებოდნენ საწარმოს ნაკლებ მომგებიანობას);

ბ) მეორე გზა კი – სახელმწიფო ჩარევის ბერკეტების ფართო გამოყენებაა. აქ წინასწარ განისაზღვრება, სტრუქტურის რომელი ელემენტები უნდა შემცირდეს და რომელთა ხელისშეწყობაა მიზანშეწონილი.

პირობითობის გარკვეული წილით, პირველ გზას შეიძლება “ამერიკული” ეწოდოს. ამ გზითვე ვითარდებოდა 80-იან წლებში დიდი ბრიტანეთიც. აქ მთავარ დასაყრდენს ბაზრის სტიქია წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან სუსტი ჩარევის ფონზე. ეს გზა ხანგრძლივი გამოდგა, მას მნიშვნელოვანი სოციალური “დანახარჯები” სდევდა თან და ხასიათდებოდა წარმოების ეფექტიანობის ზრდის შენელებული ტემპით.

მეორე გზაა იაპონური (მასთან ერთად ამ გზას ბოლო 30 წლისღობაში სამხრეთი კორეა და **NIC*** ზოგიერთი ქვეყანაც ადგას), ეს არის რეგულირების ცენტრალიზებულ ბერკეტებზე დაყრდნობა, სახელმწიფო დაგეგმვა და რესურ-

***NIC (New Industrial Countries)** – ახალი ინდუსტრიული ქვეყნები(მალაიზია, სამხრ. კორეა, და სხვ.)

სების დარგთაშორისი გადანაწილების დაჩქარებული ტემპი. ეს შედარებით სწრაფი გზაა, ნაკლები სოციალური “დანაკარგით” და მწარმოებლურობის ზრდის მნიშვნელოვანი ტემპებით. ცხადია, სტრუქტურული პოლიტიკის რეალიზაციისას ყველა ქვეყანას თავისი

გარკვეული სპეციფიკა აქვს. აშშ-ში, მაგალითად, რეგულირების ტრადიციულ ბერკეტებს საკრედიტო და საგადასახადო შეღავათები, საგარეო-ეკონომიკური სატარიფო პოლიტიკა წარმოადგენს. ამ ქვეყანაში, ისე როგორც დასავლეთ ევროპაში (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, მარგარეტ თეთჩერის პრემიერობის პერიოდში), ეკონომიკური პოლიტიკა მთავრობის მიერ მიმართული იყო დეპრესიაში მყოფი დარგების ინტერესების დასაცავად (მეტელურგია, გემთმშენებლობა, ქვანახშირის მოპოვება, საფეიქრო წარმოება), ანუ ინგლისის მთავრობა ცდილობდა მათ თანდათანობით შემცირებას და ამდენად თავიდან აიცილა დარგების სტიქიური “ჩამონგრევა”.

ამუამად დასავლეთის ქვეყნებში გზას იკვალავს თვისებრივად ახალი მიდგომა, რომელიც რეგიონის თვითგანვითარების იდეაში გამოიხატება (როცა ადგილობრივ ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა რეგიონის განვითარებისათვის).

რეგიონული განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების უცხოური გამოცდილების გაცნობისას წარმოჩინდა თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი საინტერესო პარადოქსი – მთლიანად ცალკეულ ქვეყნებს შორის დიდი განსხვავებები რაღაცნაირად შესამებუელია მათი რეგიონების გარკვეული ტიპების მნიშვნელოვან ერთიანობასთან. ამიტომაც თვალშისაცემია სხვადასხვა სახელმწიფოების მხრივ თავიანთი შიდა რეგიონული პრობლემებისადმი მიდგომის მრავალი საერთო ნიშანი.

ქვეყნის მეურნეობრიობაზე, მის სივრცულ ორგანიზაციაზე ზრუნვა ნებისმიერი სახელმწიფოს აუცილებელი ფუნქციაა. რეგიონული რეგულირების განხორციელებაში ამა თუ იმ დოზით ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი მონაწილეობს, რადგან მათი საქმიანობა გარკვეული დოზით ქვეყნის რომელიმე ტერიტორიას უკავშირდება. ამუამად სახელმწიფოს სპეციალიზებულ რეგიონულად ორიენტირებულ მოღვაწეობას, მიღებული წესის შესაბამისად, რეგიონულ პოლიტიკას უწოდებენ.

რეგიონული განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ აღნიშნული პრობლემა მოიცავს

შემდეგ მნიშვნელოვან კომპონენტებს: 1. სახელმწიფოებრივ მოწყობასა და რეგიონების როლს; 2. რეგულირების ინსტიტუტებს; 3. მათ სამართლებრივ საფუძვლებს; 4. ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებს; 5. განსაკუთრებულ რეგიონალ ფორმებს.

რეგიონული განვითარების რეგულირება ხერხდება და ხორციელდება ქვეყნების განსხვავებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის პირობებში (ფედერაციული, უნიტარული, მონარქიული და სხვ.).

თანამედროვე სახელმწიფოს ევოლუციის უპირატეს ტენდენციეს წარმოადგენს ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და რეგიონებში სულ უფრო მეტი მმართველობითი ბერკეტების თავმოყრა. ამ კურსის იდეური საფუძველი, ცხადია, დემოკრატიზაციაა, რომელიც ამცირებს მანძილს ხელისუფლებასა და ხალხს შორის.

ამასთან ყველა რეგიონში მოქმედებს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობები, რომლებიც არ ემორჩილებიან რეგიონალ ადმინისტრაციას. რეგიონული განვითარების რეგულირების ფუნქციათა მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, რომელიც პირდაპირ თანამშრომლობს რეგიონის სახელმწიფო ხელისუფლებასთან და ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ქვეყნების ტერიტორიულ მოწყობაში განსაკუთრებული მდგომარეობა უკავიათ მსხვილ რეგიონებს, რომლებიც, თავის მხრივ, თავიანთ შემადგენლობაში აერთიანებენ პირველი რანგის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს. ეს მეზორეგიონები ეკონომიკური სივრცის მაკროსტრუქტურის სრულყოფისათვის, სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გაადვილების მიზნითაა შექმნილი. საფრანგეთის მაგალითმა (იქ 22 რეგიონია) გვიჩვენა, რომ პრაქტიკულად შესაძლებელი ყოფილა ეკონომიკური დარაიონების საფუძველზე გამსხვილებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის განხორციელება.

არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს რომელიმე ერთი სახელმწიფო ორგანოს მონოპოლია, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა რეგიონული განვითარების დარეგულირებაზე. სახელმწიფოს ეს ფუნქცია განაწილებულია რამდენიმე ცენტრალურ უწყებას შორის, თუმცა გამოიყოფა ხოლმე ერთი წამყვანი, მაკოორდინირებელი ორგანო (სამინისტრო, დაპარტამენტი, სხვ.). მას ემატება საკონსულტაციო, საპროექტო, ექსპერტთა და კვლევითი ორგანიზაციების ქსელიც.

ქვეყნის რეგიონული განვითარება რეგლამენტირებულია კონსტიტუციით, რასაც თან ერთვის სპეციალური კანონმდებლობა. მათი მეშვეობით იმიჯნება ცენტრისა და რეგიონის უფლება-მოვალეობანი.

მაგრამ ეს მხოლოდ საკანონმდებლო რეგულირების ბერკეტებია. რაც შეეხება ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებს, ისინი სამ ძირითად ჯგუფად არიან გაერთიანებულნი:

1. დაგეგმვა და პროგნოზირება;
2. საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა;
3. სხვა მარეგულირებელი ინსტრუმენტები.

გეგმა რეკომენდაციის ხასიათს უფრო ატარებს, იგი არაა დირექტიული, ე.ი. საავალდებულო. საბოლოო გეგმები კონსენსუსის საფუძველზე მიღწეული დოკუმენტია. მაგრამ გეგმის ის ნაწილები, რომლებიც განსაზღვრავენ ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ობიექტების განლაგებას, ბუნების დაცვასა და სხვა, აუცილებლად უნდა შესრულდეს.

რეგულირების ყველაზე უფრო მოცულობითი ხასიათის საშუალებას საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს, რომელსაც ფუნქციონირების სამი დონე გააჩნია: ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი.

საბიუჯეტო დისბალანსის რეგულირების მთავარ მექანიზმს ბიუჯეტ შორის ტრანსფერტები წარმოადგენს, ისინი ორგვარია: ვერტიკალური (ანუ ის, რომელიც ზემდგომი ბიუჯეტიდან ქვემდგომს ეგზავნება) და ჰორიზონტალური (ერთი დონის ბიუჯეტებს შორის). მათი ფუნქცია ცალკეულ რეგიონებს შორის ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრებაა. სხვა დანარჩენი შემოსავლების სარეგულირებლად იქმნება ხოლმე სპეციალური დანიშნულების ფონდები.

უნივერსალობისა და შესაძლებლობათა სივრცის ხარისხის მიხედვით რეგიონული რეგულირების ინსტრუმენტებს ორ ჯგუფად ყოფენ: 1. საერთო-ეკონომიკური (ანუ მაკრო) რეგულატორები და 2. სამისამართო ზემოქმედების (ანუ მაკრო) რეგულატორები.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მაკროინსტრუმენტები ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით წარმოადგენენ რეგიონების მიხედვით ზოგიერთ დიფერენციალურ პარამეტრს (დაბეგრვის, დაკრედიტების, საინვესტიციო, სოციალურ და სხვ. მიმართებით).

მიკროინსტრუმენტები გამოიყენებიან სამეურნეო სუბიექტებზე უშუალო ზემოქმედებისათვის (კადრების მომზადება, სუბსიდიების გაცემა, მიზნობრივი დაკრედიტება და სხვ.).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბაზრო ინსტრუმენტების გარდა ხშირად გამოიყენება ადმინისტრაციული რეგულირების ზომებიც. მაგალითად, გადატვირთულ ქალაქებში ახალი საწარმოს აგების ან ძველის გაფართოების აკრძალვა, ან პირიქით, სუსტად განვითარებულ რეგიონებში საწარმოთა დისლოცირება/ დისლოკაციის შეცვლა.

მთელ რიგ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირების, კრიზისული სიტუაციის დაძლევისა და სპეციალური, კონკრეტული რეგიონისათვის დამახასიათებელი ლოკალური პირობების ეფექტიანად გამოყენების მიზნით შექმნილია რეგიონების ორიგინალური სტილი, რომლის დროსაც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების განსაკუთრებული ფორმები და მექანიზმები.

ველაზე მეტად პრაქტიკაში გავრცელება ჰპოვეს ე.წ. პრობლემურმა რეგიონებმა, სპეციალურმა ზონებმა (მ.შ. თავისუფალი ეკონომიკური ზონები – **Tez**, მეწარმეობის ზონები და ტექნიკურ-დანერგვითი ზონები).

მაგალითად, მდინარე ტენესის რეგიონი, რომელიც 1933 წელს შეიქმნა. იგი მოიცავს აშშ 11 შტატს და მასში თანმიმდევრულად ხორციელდება განვითარების კომპლექსური პროგრამა. ასეთივე პრობლემური რეგიონები გვხვდება ნიდერლანდებში, გერმანიაში (რური, სხვ. აღმოსავლეთი ლანდები), ავსტრალიაში (ქვინსლენდი) და ა.შ.

რეგიონული ეკონომიკის განვითარებისა და რეგულირების მექანიზმის განსაკუთრებული სახეობაა თავისუფალი ეკონომიკური ზონა. ეს არის ეროვნული ეკონომიკის განცალკევებული ნაწილი (ტერიტორია, სეგმენტი), სადაც მიღებულია შეღავათებისა და სტიმულირების ისეთი განსაკუთრებული სისტემა, რომელიც არ გამოიყენება ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე. ცნობილია მისი სხვადასხვა ორგანიზაციული და ფუნქციური სტრუქტურა. განასხვავებენ ორ სახეობას. ერთი სახეობა ეყრდნობა ტერიტორიულ მიდგომას, რომლის დროსაც თავისუფალი ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე ნებისმიერი რეზიდენტისათვის ერთნაირი შეღავათები, ანუ ერთიანი შეღავათიანი პირობები მოქმედებს. მეორე სახეობა – ფუნქციურია, ანუ იმისდამოუხედავად, სად მდებარეობს ეკონომიკური აგენტი, მხედველობაში მიიღება მისი საქმიანობა – ფუნქციური დატვირთვა.

თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში არ მოქმედებს საბაჟო ტარიფები და ისინი შექმნილია, ძირითადად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, აგრეთვე ექსპორტის გაზრდისა და დივერსიფიკაციისათვის, იმპორტის შემცველი

წარმოებების განვითარებისათვის, ახალი ტექნოლოგიების განვითარების უზრუნველსაყოფად და სხვ. იმის გამო, რომ **Tez** ჩამოყალიბება დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრიდან დიდ მხარდაჭერასთან, მნიშვნელოვან ფინანსურ სახსრებთან, ინსტიტუციონალურ ძალისხმევასთან (ანუ სპეციალური საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა, კონტროლი, რეგულირება და ა.შ.) და რიგ სხვა ზომებთან, ამიტომ მივიჩნევთ, რომ ერთი ქვეყნის მასშტაბით ასეთი ზონების რაოდენობა ბევრი არ უნდა იყოს.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის დროს ძალზე სასარგებლოა ჩინეთის გამოცდილების გათვალისწინება. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა ჩინეთმა დაუკავშირა და მიუსადაგა ეკონომიკურ რეფორმებს. მათ მიიზიდეს ათეულ მილიარდობით უცხოური ინვესტიცია, რამაც, სამამულო ინვესტიციებთან ერთად, მძლავრი პოტენციალი შექმნა ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობისათვის.

სამართლიანი იქნება, თუ აქვე დავძენთ, რომ მსოფლიოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაბალი ეფექტიანობის მაგალითებიც არსებობს, ეს კი გამოწვეულია ძირითადად, საწყისი საინვესტიციო ბიძგის უქონლობით, ეკონომიკური შეღავათების უსისტემო შემოღებით, შექმნილი საწარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობით, ჩრდილოვანი ეკონომიკის უკონტროლო განვითარებით.

ჩვენთვის, ამ მხრივ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მეზობელი რუსეთის მაგალითი, სადაც **Tez** მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ “ პერესტროიკიდან” დაიწყო და 1990 წლიდან კი მათ ორგანიზაციასაც ჩაეყარა საფუძველი. ამასთან მაღე გამოირკვა, რომ **Tez** გამოცხადება თავისთავად არ ხდება მიზეზი სამამულო თუ უცხოური საინვესტიციო ნაკადების მოზღვავებისათვის, ხოლო მოსალოდნელი შეღავათების მიღების მცდელობა კი მოუმზადებელი და არაადაპტირებული საკანონმდებლო ბაზით იბლოკება.

მიჩნეულია, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონის წარმატებით განვითარებისათვის საერთო ზოგადი პირობები შემდეგია:

1. მათი სამართლებრივად გაფორმების უზრუნველყოფა, რაც მათ შეუნარჩუნებს კონკურენტულ უპირატესობებს და მინიმუმამდემდაიყვანს საბაჟო და საგადასახადო რეჟიმის ლიბერალიზაციის შედეგად მოსალოდნელ ზარალს;
2. ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის ხარისხის საგრძნობლად გაუმჯობესება (ანუ მისი განვითარებული ქვეყნების დონემდე მიყვანა);
3. თავისუფალი ეკონომიკური ზონის სუბიექტების ეკონომიკური და პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მეტად მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, მეწარმეობის ზონები, ანუ ის ლოკალური ტერიტორიები, რომლის ფარგლებშიც ეკონომიკური მოღვაწეობის აქტივიზაციის, უმუშევრობის შემცირების და მოსახლეობის შემოსავლების გაზრდის მიზნით სახელმწიფო მეწარმეებისათვის აწესებს შეღავათიან ადმინისტრაციულ, საგადასახადო და საკრედიტო რეჟიმს. დოგორც წესი, ასეთი ზონები იქმნება განსაზღვრული ვადითა და მხოლოდ ქალაქის (და არა რეგიონის) დეპრესიულ და დეგრადირებად ნაწილებში.

ეკონომიკის განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელოვან ზომად უნდა იქნას მიჩნეული ოფშორული ზონები. მათ მთავარ დამახასიათებელ ვიშანს უცხოური კომპანიების თავისუფალი რეგისტრაცია და მათი ადგილობრივი კანონმდებლობისადმი დაქვემდებარებაა. აქ უდიდეს როლს თამაშობს ორი ფაქტორი: 1. დაბეგრვის დაბალი ტარიფები და 2. კომპანიებისა და მათი მფლობელების შესახებ ინფორმაციის მკაცრი კონფიდენციალურობა. ამ პირობათა უზრუნველყოფის სამაგიეროდ სახელმწიფო ან მისი ცალკეული რეგიონი ოფშორში განლაგებული კომპანიებისაგან დამატებით ინვესტიციებს, ადგილობრივი მოსახლეობისათვის ახალ სამუშაო ადგილებს ან სხვ. სარგებელს ღებულობენ.

სახელმწიფო მხარდაჭერის კიდევ ერთი და, ჩვენი აზრით, მეტად საყურადღებო მაგალითია ტექნიკურ-დანერგვითი ზონები, რომლებიც ხასიათდება კომპაქტურ ტერიტორიაზე კვლევითი, საპროექტო და სამეცნიერო-საწარმოო ფირმების მაღალი კონცენტრაციით. მათ განეკუთვნებიან ტექნოპოლისები, ტექნოპარკები და სამეცნიერო პარკები, რომლებიც უფრო ხშირად იქმნებიან უნივერსიტეტების ბაზაზე ან სამრეწველო ცენტრების რესტრუქტურირებისას. მათი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან გამოიხატება დამუშავებებზე შეკვეთების მიცემაში, საწარმოო და საოფისე ფართების შეღავათიან ანდა უფასო გადაცემაში, ლაბორატორიულ აპარატურა-მოწყობილობათა თუ საგამომცდელი პოლიგონების გადაცემაში, შეღავათიანი მრავალწლიანი კრედიტების გამოყოფაში, საკონსულტაციო მომსახურების გაწევასა თუ სხვ.

მსოფლიოში რეგიონული განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების მრავალსახეობა არსებობს. მაგრამ განსაკუთრებული გამოცდილებით მაინც აშშ, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, ჩინეთი და ავსტრალია გამოირჩევიან. მათ მაგალითზე სავსებით შესაძლებელია რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის ჩვენთვის მისაღები ვარიანტი გამოიძებნოს. ახალი ისტორიული ვითარება ახალი გზების ძიების საჭიროების წინაშე აყენებს ერსა და საზოგადოებას, მაგრამ ეს

სულაც არ ნიშნავს გამოსადეგი ძველის უკუგდებას. თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში, როდესაც საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პროცესმა საქართველოს სინამდვილეში შეუქცევადი ხასიათი მიიღო, “ საჭიროა ჩვენი ქვეყნის მსოფლიო – ისტორიული ფუნქცია, რომელსაც წარსულში აქვს ფესვები, ახლებურად იქნას გააზრებული.” *

საქართველო, მართალია პატარა ქვეყანაა, მაგრამ უნიკალურია თავისი რეგიონული ნაირსახეობით. ამიტომ, ცხადია, ჩვენს პირობებში გამორიცხულია რომელიმე ერთი ქვეყნის გამოცდილების ზუსტი კოპირება, სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, განვაახლოთ ის დადებითი გამოცდილება, რომელიც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მრავალი წლის მანძილზე დაგვიგროვდა და, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, განვაახლოთ ისინი რეგიონების ეკონომიკათა ახალი სტრუქტურის ფორმირების შესაბამისად.

*საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების ტ. 2, თბილისი, 2001 წელი, გვ. 146

regionis ekonomikis struqturis formireba da srulyofa

2.1. რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურაწარმომქმნელი ფაქტორები და მათი გამოყენება

საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე ძირეულად შეიცვალა წინათ არსებული და წარმოჩინდა ახალი ობიექტური ფაქტორები რეგიონის ეკონომიკისა და მისი სტრუქტურის ფორმირებაში.

საბაზრო ურთიერთობების დღევანდელ პირობებში წარმოების ინტენსიფიკაცია უახლეს ტექნოლოგიებთან მჭიდრო კავშირში მოიაზრება, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ტექნოლოგიური პროგრესის მიერ შემოთავაზებული მიღწევების წარმოებაში დანერგვა მოითხოვს. ამ მოთხოვნამ სიმწვავე 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შემდეგ შეიძინა, როცა თითქმის მთლიანად გაპარტახდა სახალხო მეურნეობის უკვე არსებული მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ცალკეული რეგიონის ეკონომიკური საზღვრის დადგენის დროს მხედველობაში მიიღება ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების არა მხოლოდ გეოგრაფიული საზღვრები. რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე ტექნიკური და ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ყოველმხრივ ვლინდება მეურნეობის კონცენტრაციის, სპეციალიზაციის და კომპლექსურობის ფორმის მეშვეობით.

ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი დიფერენცირების გადამწყვეტი ფაქტორი პროფუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის სხვაობაა. ცალკეულ რეგიონებსაც, ეკონომიკური მაჩვენებლების დიფერენციაციის ფაქტორია კონკრეტული რაიონის ეკონომიკის ფაქტობრივი მდგომარეობა. ამიტომაც დღის წესრიგშია, ტექნიკურ პროგრესთან ერთად, საწარმოების ფაქტორის როლის გათვალისწინებაც.

ახალ ხასიათს იძენს ტერიტორიული დაყოფისა და რეგიონწარმომქმნელი ისეთი ფაქტორი, როგორცაა რეგიონის მეურნეობის კომპლექსურობა. ამ უკანასკლნელს კი რეგიონის მეურნეობის მისსავე ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებთან შესაბამისობა განსაზღვრავს, რაც ნიშნავს წამყვანი წარმოებისა და მისი ტერიტორიული კონცენტრაციის ბაზაზე დარგების რაციონალურ შეხამებასა და შეთანასწოებას.

საბაზრო ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებას მაკრო, მეზო და მიკროდონეზე, ერთმანეთისაგან

განსხვავდებიან. მაგრამ ამასთანავე, საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მთავარ ფაქტორებად მაინც გველინებიან – რეგიონული ბაზრების ფუნქციონირების პირობები, საქონელმწარმოებლების თავისუფლება, მონოპოლიათა შეზღუდვა, საკუთრების ყველა ფორმისათვის თანაბარი პირობები. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ეკონომიკური ინტერესი – ბაზრის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. საბაზრო პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორი, როგორცაა: ბაზრის მატერიალური ელემენტები, ე.ი. საბაზრო ინფრასტრუქტურა – ბანკები, ბირჟები, ბაზრობები, სავაჭრო სახლები, სადაზღვევო კომპანიები.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბაზრის ისეთი მარეგულირებლები, როგორებიცაა: ფასები, ტარიფები, კრედიტები, ინვესტიციები, გადასახადები და სხვ. ყველა აღნიშნული ფაქტორი დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის, და თავისთავად წარმოადგენს სისტემას, რომელიც აისახება სხვადასხვა, განსხვავებული დანიშნულების მქონე ტერიტორიული დაყოფის პრინციპებზე – ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ და ორგანიზაციულ დარაიონებაზე. ამასთანავე ერთად, დარაიონების ეკონომიკური პრინციპები შრომის ტერიტორიულ დანაწილებაშიც გამოიხატება, რაც ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და საზოგადოების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. რეგიონწარმომქმნელი ფაქტორები საწარმოო ძალების განლაგებაში ჩამოყალიბებული და პროგნოზირებული სიტუაციების აღრიცხვას გულისხმობენ.

ძალიან დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ტექნიკური პროგრესი, წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია რეგიონწარმომქმნელ პირობებს შორის ყველაზე მეტ მნიშვნელობას შიდა რეგიონულ კოორპირებას სძენს.

მეურნეობის კომპლექსური განვითარების მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ბუნების დაცვის გაძლიერება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ფორმირებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შრომითი რესურსების კვლავწარმოების სოციალური ფაქტორების ტეროტორიულ თავისებურებათა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობების გამორჩევა და მათი აღრიცხვა.

საქართველოს საწარმოო ძალების თანამედროვე მდგომარეობის, განვითარებისა და განლაგების ანალიზი იძლევა საშუალებას, გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ აუცილებელია უფრო გამსხვილებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მართვაზე გადასვლა. ქვეყნის ამჟამინდელი რაიონების ერთი ნაწილი დღეს უკვე არაზუსტად ასახავს მოცემული კონკრეტული ტერიტორიის

სამეურნეო, ბუნებრივ პოტენციალს, საწარმოო პროფილს, კომპლექსური განვითარების ამოცანებს, მათ სახალხო-სამეურნეო პრობლემებს.

თანამედროვე რეგიონი შინაარსობრივად შემდეგნაირად ხასიათდება: ეს არის ეროვნული მეურნეობის მთლიანი ტერიტორიული ნაწილი, რომელსაც გააჩნია თავისი საწარმოო სპეციალიზაცია და მყარი შიდაეკონომიკური კავშირები. ეკონომიკური რეგიონი განუყრელადაა დაკავშირებული ქვეყნის სხვა ნაწილებთან შრომის ტერიტორიული საზოგადოებრივი დანაწილებით, როგორც მყარი შიდაკავშირებით გაერთიანებული სამეურნეო ორგანიზმი. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე პირობებში რეგიონების შექმნას ეკონომიკური საფუძველი უდევს და ეკონომიკური ნიშნით მათი აღმოცენება ობიექტური პროცესია.

რეგიონის ეკონომიკის გასაჯანსაღებლად აუცილებელია დაფინანსების გაუმჯობესება, ამისათვის კი სასურველია შეიქმნას და გამრავალფეროვანდეს საბაზრო ინფრასტრუქტურა – საპენსიო, საცხოვრებელი და სადაზღვევო ფონდები, ბიზნესი და ასოციაციები. ეს უკანასკნელნი ორიენტირებულნი უნდა იყვნენ მნიშვნელოვანი ამოცანების (მაგალითად, მაკრორეგიონების განვითარების პროგრამების რეალიზაცია, წარმოების განვითარება, შრომის ტერიტორიული დანაწილების ეფექტიანობის ამღლება, ინოვაციების დანერგვა, ფერმერული მეურნეობის გაფართოება, სოფლის აღორძინება, მცირე ქალაქების განვითარება, გარემოს დაცვა და ა.შ., ა.შ.) კოორდინირებულ გადაწყვეტაზე.

სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელების პროცესში არსებობს წარმოების მკვეთრი დაცემის საშიშროება (ის აშკარად არსებობს საქართველოში), რასაც მასობრივი უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობის გამწვავება მოაქვს. ამიტომაც, ასეთი რეგიონებისათვის აუცილებელია საგადასახადო შეღავათების, კრედიტის შემოღება ადგილობრივი ორგანოების უფლებების ზრდა, მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავება. იმ საწარმოებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას შენარჩუნებული, საჭიროა გამოეყოს კრედიტები მხარდაჭერისა და სოციალური მიმართულების პროდუქციის გამოშვებაზე ორიენტაციის შესაცვლელად.

უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი აგრარული გარდაქმნებია მოსალოდნელი. განსაკუთრებით რეალურია ფერმერული მეურნეობის ფორსირებული განვითარება, რის ხელშესაწყობადაც საჭიროა დამატებითი სახელმწიფო

ინვესტიციები და სუბსიდიები. ამ საქმეს შეიძლება ხელი შეუწეოს ქალაქის მოსახლეობის ნაწილის სოფლად დასახლებამაც.

დღეს საქართველოში ძალზე აქტუალურია თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების საკითხი. ეს ზონები ყველა უპირატესობას ფლობენ მაღალი დონის ინფრასტრუქტურის მქონე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. სამწუხაროდ, საქართველოში ამ საკითხს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან და მიუხედავად უამრავი მცდელობისა, მაინც ვერ ხერხდება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება და თეზ-ად რომელიმე რეგიონის გამოცხადება.

რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია შრომის რეგიონული დანაწილება, რომელიც ერთსა და იმავე დროს ეკონომიკური განცალკევებულობისა და რეგიონთა შორის ურთიერთდამოკიდებულების საფუძველსაც წარმოადგენს. ამასთანავე, იგი სამეურნეო ურთიერთკავშირების გაღრმავების პირობაცაა. სწორედ შრომის რეგიონალური დანაწილება წარმოადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მეზოდონეს. იგი მთლიანად განსაზღვრავს რეგიონალური მეურნეობის განვითარებისა და მაკროეკონომიკური კავშირების ტედენციებს. შრომის რეგიონული დანაწილება ეკონომიკური დარაიონების საფუძველია ნებისმიერ სახელმწიფოში.

ყოველივე ზემოჩამოთვლილის გარდა, რეალობაში, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დაწყებასთან ერთად, ახალი პრობლემებიც იჩენს თავს. ისინი მეურნეობის რეგიონულ სტრუქტურაზე ახდენენ ზემოქმედებას და გამოწვეულნი არიან შემდეგი გარემოებებით.

- ახალი რესურსების აღმოჩენა;
- სატრანსპორტო სისტემის შეცვლა;
- საბაზრო რეფორმების გატარებაში დაშვებული შეცდომები;
- პოლიტიკური არასტაბილურობა (ეროვნებათაშორისი დაძაბულობა).

რეგიონული ეკონომიკის მეცნიერული კონცეფცია¹ განსაზღვრავს წარმოების მომავალი განლაგების რთული კომპლექსური პრობლემების ვარიანტული გადაწყვეტისა და ეკონომიკური რეგიონების მეურნეობისა და

¹ ნ. ნ. კოლოსოვსკის მიერ შემუშავებული წარმოების რეგიონული განლაგების ვარიაციულობა.

ადმინისტრაციული რეგიონების ფორმირების მიმართულებებს. აღნიშნული მიზანი უნდა გახდეს მთლიანად წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

წარმოიშობა ლოგიკური შეკითხვა – რა უნდა განსაზღვროს პერსპექტიული პერიოდისათვის რეგიონული ეკონომიკის სამეცნიერო კონცეფციის შინაარსმა? ესაა:

1. მეურნეობის განვითარების ტერიტორიული ეკონომიური პროპორციების სრულყოფა რეგიონების მიხედვით მეურნეობის პროპორციულობის უკეთესი ვარიანტების მეცნიერულად დასაბუთების საფუძველზე;
2. რეგიონების მიხედვით მოსახლეობის განაწილებისა და წარმოების განლაგების თანაფარდობას შორის უკეთესი ვარიანტის შერჩევა;
3. გამოვლენილი და პოტენციური ბუნებრივი რესურსების თანამედროვე და პერსპექტიული ბუნებრივ-ტექნიკური და ეკონომიკური შეფასება, რასაც შეუძლია უშუალო ზეგავლენა მოახდინოს მეურნეობის რაციონალური სტრუქტურის ფორმირებაზე;
4. ახალი სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორების გამოვლენა, რომლებსაც შეუძლიათ განსაზღვრონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის თანამედროვე და მომავალი განლაგება;
5. საწარმოო სპეციალიზაციის, სამეურნეო კომპლექსის ფორმირების, რეგიონის ინფრასტრუქტურის მეცნიერული ვარიანტების დამუშავება, რამაც უნდა განსაზღვროს მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურის პროპორციულობა და მათი ეკონომიკური განვითარების დონეების შემდგომი დაახლოება;
6. მსხვილი სამეურნეო კომპლექსების შექმნისა და განვითარების ყველაზე უფრო პროგრესული ვარიანტების გამოვლენა ახალი სამეურნეო ტერიტორიების ათვისებისას;
7. სისტემაში „ადამიანი → მეურნეობა → ბუნება“ მეცნიერულად დასაბუთებული შეფარდების ძიება, რაც საფუძველი გახდება ბუნებრივი გარემოს მაქსიმალურად რაციონალური ორგანიზებისათვის;
8. საწარმოო ძალების განლაგების ეფექტიანობის გაანგარიშების ახალი მეთოდების შემუშავება, რეგიონების ეკონომიკის განვითარების უფრო სრულყოფილი ეკონომიკური მოდელების ძიება.

აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მიმართულება კომპლექსურად განხილვისა და შესწავლის საგანია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცნება „რეგიონი“ გულისხმობს ტერიტორიას, რომელსაც აქვს მეტ-მნაკლებად ერთგვაროვანი ბუნებრივი პირობები და საწარმოო ძალთა განვითარების მიმართულება, რაც ეფუძნება ბუნებრივი რესურსების კომპლექსის შეხამებას არსებულ და პერსპექტიულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურასთან. სახალხო მეურნეობის მიზნების ერთობლიობა, რომელიც ემყარება უკვე არსებულსა და ექსპლუატაციაში შესაყვან ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებას, ისტორიულად ჩამოყალიბებული სახალხო-სამეურნეო სტრუქტურა, – აი, რეგიონის გამოყოფის ძირითადი კრიტერიუმი.¹

რეგიონული ეკონომიკის შესწავლის ობიექტები, როგორც ვიცით, დარგთა განლაგებაა, ვინაიდან თითოეულ მათგანს კონკრეტულ ფაქტორებზე ან ფაქტორთა ჯგუფებზე თავისი მოთხოვნები გააჩნია. დროთა განმავლობაში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში, მრავალი ახალი და შეცვლილი ფაქტორის გავლენით ეკონომიკური დარაიონება შესაძლებელია შეიცვალოს და უფრო სრულყოფილიც გახდეს. ამჟამად, როგორც რეგიონული განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო აკადემიის² ექსპერტები მიუთითებენ, ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციის წარმატებებზე, რეგიონთაშორისი ურთიერთობების მოწესრიგებაზე, რეგიონებში საბაზრო მექანიზმების გაშლა-გაფართოებაზე, თვითმმართველობის ინსტიტუტების საქმიანობის გაფართოებაზე არსებითად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რეფორმირების საბოლოო შედეგები. რეგიონული ეკონომიკის პრობლემებზე მუშაობის დიდი გამოცდილება დაგროვდა სოციალური, ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც დიდხანს გრძელდებოდა პროფესორ ვ. მელქაძის მიერ დაწყებული კვლევები საზოგადოებისათვის ცნობილი მეცნიერების ბატონ ნ. ჭითანავასა და დ. მოურავიძის ხელმძღვანელობით.

ძალიან საყურადღებოა, ამ მხრივ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. ამ ჯგუფის ქვეყანათა უმრავლესობაში ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა და მისი სტრუქტურა მოიცავს ადგილობრივი ადმინისტრაციის 2-3 დონეს.

¹Н. Некрасов, « Региональная экономика», Москва, 1975, стр.23

² მოსკოვში, შეიქმნა 1995წ.

დანიაში, დიდ ბრიტანეთში, ირლანდიასა და პორტუგალიაში ადმინისტრაციული სტრუქტურები მხოლოდ ერთ დონეს მოიცავენ. საფრანგეთს, ესპანეთს, იტალიას, გერმანიას, ბელგიასა და საბერძნეთს გააჩნიათ ტერიტორიული დაყოფის ისეთი სტრუქტურა, რომელიც რუსული სტრუქტურის მსგავსად სამ დონეს აერთიანებს. დაახლოებით ანალოგიური სტრუქტურული დაყოფაა საქართველოშიც, სადაც ძირითად ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ მხარეები და რაიონები ან ქალაქები. სასოფლო რაიონების უმეტესობა და ზოგიერთი რაიონული დაქვემდებარების ქალაქი მოიცავენ ადმინისტრაციული დაყოფის მესამე – სადაბო და სასოფლო დონეს.

ევროპული ქვეყნების უმეტესობამ, მიისწრაფოდნენ რა ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისაკენ, გაატარეს რეფორმები, რომლებიც ძირითადად ტერიტორიული ერთეულების გამსხვილებას უზრუნველყოფდნენ. დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, დანიასა და ჰოლანდიაში ამან არსებითად განსხვავებული ტერიტორიული ერთეულები შექმნა. ხოლო საფრანგეთში, ესპანეთსა და იტალიაში კი რეფორმები, პირიქით, მინიმალური ხასიათისა იყო.

რეგიონის დონეზე ფინანსური რესურსების გამოყენების უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის თვალსაზრისით, შეიძლება განვასხვავოთ ევროპის ქვეყნების სამი ძირითადი ჯგუფი:

1. გერმანიის მიწები (ლანდები); იტალიის რეგიონები განსაკუთრებული სტატუსით; ესპანეთის ავტონომიური ერთეულები გაფართოებული კომპეტენციით (მათ გააჩნიათ ფართო ავტონომია პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ფინანსური საკითხების გადაწყვეტის დროს);
2. იტალიის რეგიონები ჩვეულებრივი სტატუსით; ესპანეთის ავტონომიური ერთეულები ჩვეულებრივი სტატუსით (რომელთაც შეზღუდული ავტონომიის ფარგლებში საკმაოდ ფართო უფლებამოსილება გააჩნიათ);
3. საფრანგეთის რეგიონები, რომელთა ფორმირება ტერიტორიული ერთიანობის სტატუსის გათვალისწინებით მოხდა შედარებით ახლო წარსულში (XX სკ. 80-90-იანი წწ.); მათი უფლებები ძალზე შეზღუდულია.

საფრანგეთში რეგიონული სტრუქტურის ფორმირება წარმართა მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით. ამასთან. ფართო გასაქანი მიეცა ახალ ინიციატივებს, რასაც, ხშირ შემთხვევაში, წარმატებები მოჰქონდა.

60-იანი წლებიდან, საფრანგეთში ინდიკატური დაგეგმვის პრინციპების დამკვიდრებასთან ერთად, შეინიშნება სერიოზული სხვაობა მისი ქვეყნის მასშტაბითა და რეგიონულ დონეზე ფუნქციონირებას შორის.

70-იანი წლების კრიზისის პირობებში, საფრანგეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ინდიკატურ დაგეგმვაზე უარი ეთქვა* და მხოლოდ “პრიორიტეტული მოქმედების პროგრამების“ (PAP) შემუშავება-განხორციელება ეკისრა. ჩამოყალიბდა ე.წ. რეგიონული საზოგადოებრივი დაწესებულებები (EPP), რომლებიც საკუთარი სახსრებით იყვნენ უზრუნველყოფილნი – ე.ი. საფუძველი ჩაეყარა რეგიონების ეკონომიკური სტრუქტურის განვითარებას გარკვეული ავტონომიური უფლებამოსილების ფარგლებში. რეგიონში პრიორიტეტული დარგებისა და სფეროების განვითარების მიზნით, ცენტრის მიერ შემუშავდა ამ მიმართულების გეგმიური თანადაფინანსების სისტემა – „რეგიონული ინტერესის მოქმედების პროგრამა“ (PAPIR). აღნიშნული ფაქტორი შეიძლება ჩაითვალოს რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობის მაგალითად.

აგრეთვე გათვალისწინებული იყო რეგიონული და ეროვნული გეგმების კოორდინირების საკონტრაქტო უზრუნველყოფა. გეგმები 5-წლიანი პერიოდისათვის დგება და 45%-55%-ით ფინანსდება შესაბამისად რეგიონისა და ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტებიდან. ამასთან, ამ უკანასკნელს თავისი წილის (55%) ვარირება შეუძლია ტერიტორიის განვითარების პრიორიტეტულობის მიხედვით.

ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის – რუსეთის – რეგიონული მოწყობის სისტემა ყველაზე ახლოა ფრანგულთან, მაგრამ რეგიონული მახასიათებლები – მკვეთრად განსხვავებული (მაგალითისათვის: საფრანგეთში 22 რეგიონია, რუსეთში – 89; საფრანგეთში რეგიონის მოსახლეობის სიმჭიდროვე 2-ჯერ მეტია რუსეთისაზე; სამაგიეროდ ფართობის მიხედვით ანალოგიური შედარება უკუპროპორციულია და მრავალი სხვა).¹

თუ ღრმად შევისწავლით ფრანგულ მოდელს, დავინახავთ, რომ მასში გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ინსტიტუტების ყველაზე მაღალსა და დაბალ დონეებს შორის მკაფიო გამიჯნვა და ჩადებულია მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური დაცვის შესაბამისი მექანიზმები. სხვადასხვა და მრავალი ექსპერიმენტისა და რეფორმის ჩატარების შედეგად ფრანგულმა

* და ¹ ე. ბარათაშვილი, შ. ვეშაპიძე, „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“, თბილისი, 2002 წელი, გვ. 104.

რეგიონალურმა ინსტიტუტებმა ახალი თვისებრიობა შეიძინეს – ისინი რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და პოტენციური შესაძლებლობების შესახებ ყველაზე სრული ინფორმაციის ბანკს წარმოადგენენ. აქვე შეგვიძლია დავინახოთ, თუ რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით გახდა შესაძლებელი ამ შედეგების მიღწევა:

1. რეგიონული ეკონომიკის განვითარების გეგმების შედგენისას რეგიონულ საბჭოებს სრული დამოუკიდებლობა ენიჭებათ (ცხადია, მათი კომპეტენციის ფარგლებში);
2. ეროვნული და რეგიონული გეგმები მარტივი მეთოდებითა და კონტრაქტის ერთობლივი და შეთანაწყობილი განხორციელებით სრულდება;
3. ინფორმაცია ცენტალურსა და რეგიონალურ ინსტიტუტებს შორის მრავალჯერადად იცვლება, რაც თავიდან იცილებს მათი მოქმედებების შეუსაბამობის მომენტს;
4. ინფორმაცია გამჭვირვალეა, ვინაიდან არჩევითი პოლიტიკური ორგანო – რეგიონული საბჭო – რეგიონული კომპეტენციის ყველა საკითხს საჯარო განხილვის საგნად აქცევს.

ამდენად, საქართველოს რეგიონული განვითარების საქმეში ქვეყნის ტრადიციებთან და გამოცდილებასთან ერთად შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს საფრანგეთის გამოცდილების ზოგიერთი მიმართულება მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტების გათვალისწინებით.

განსაკუთრებული როლი რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურის ფორმირებაში ვაჭრობას ეკუთვნის. იგი, როგორც სარკე, ასახავს არა მხოლოდ რეალურ ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას (მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის ეფექტიანობა, ექსპორტ-იმპორტის ბალანსი და ა.შ.), არამედ შესანიშნავად ასახიანებს პოლიტიკურსა და სოციალურ ვითარებასაც.

დღეს ვაჭრობაშიც, ისევე როგორც მთლიანად ეროვნულ ეკონომიკაში, რადიკალური ცვლილებები მოხდა. უპირველეს ყოვლისა, თვისებრივად შეიცვალა საკუთრებითი ურთიერთობები. მაგალითად, თუ 1990 წელს ქვეყნის მთელი საქონელბრუნვის 70% სახელმწიფო სექტორზე მოდიოდა, 25% - კოოპერაციაზე, 5% - საკოლმეურნეო ვაჭრობაზე, 2000 წელს უკანასკნელმა მაჩვენებელმა

პრივატიზებულ სავაჭრო ობიექტებზე 98% შეადგინა.¹ ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა ვაჭრობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლებიც. განვიხილოთ პერიოდში ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტების საერთო რაოდენობა შემცირდა 2,5-ჯერ, დასაქმებულთა რიცხოვნობა კი – 3,5-ჯერ; ხოლო რეგიონებში კი მკვეთრად განსხვავებული მაჩვენებლები ჩამოყალიბდა. თუ თბილისში 1996 წლიდან 2000 წლამდე კერძო სექტორის წილი ვაჭრობაში 95%-დან 98,9%-მდე გაიზარდა, იგივე პერიოდში აჭარაშიც ეს მაჩვენებელი 31,1%-97,3%, სვანეთში კი – 66,6%-99,0%. არსებითი ცვლილებები მოხდა საქონელბრუნვის რეგიონულ სტრუქტურაშიც.² ამ მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ვაჭრობა საბაზრო ურთიერთობაზე გადავიდა, თუმცა იგი სტიქიურად ვითარდება (რასაც ზოგიერთი ვაჭრობის ლიბერალიზაციის პოლიტიკის განხორციელებით ამართლებს). ერთ-ერთი პრინციპული საკითხია ახალი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ტენდენციების გათვალისწინებით ვაჭრობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შემუშავება-განხორციელება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მყარი სამართლებრივი ბაზა, ობიექტურად განსაზღვრული მიზანი, ამოცანები, ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შექმნა, ხელსაყრელი პირობები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმატებული ფუნქციონირებისათვის, ახალი ასოციაციები (მწარმოებლების, მომხმარებლების) და ა.შ. ძალზე უპრიანია და დროული, თუკი მკაფიოდ და მკაცრად განისაზღვრება სპეციალიზირებული სავაჭრო ობიექტების სტანდარტები და მოხდება მათი სერტიფიცირება დადგენილი კლასიფიკაციით. სწორედ რომ სტანდარტებთან შესაბამისობაში უნდა განისაზღვროს სავაჭრო ობიექტების სტატუსი.

ბაზრობებზე საუბრისას, აუცილებელია მათი რეგინული თავისებურების მხედველობაში მიღება, რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო რეალურად შევაფასოთ რაიონის ეკონომიკური პოტენციალი, როგორც სხვა ქვეყნების რეგიონებთან, ისე ქვეყნის შიგნით რეგიონთაშორისი ვაჭრობის (კოოპერაცია ეკონომიკაში) თვალსაზრისით. მაგალითად, საქართველოში სამი არსებული მარეგულირებელი ბაზრობიდან (წითელი ხიდის, სადახლოსა და სარფის), მეზობელ სახელმწიფოებთან მათი სტატუსისა და ხასიათის გარკვევის, კონტრაბანდის აღმოფხვრის, შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის მომზადების შემდეგ,

¹ ნ. ჭითანავა, „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, III ნაწილი, თბილისი, 2001 წელი, გვ. 205.

² საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მასალებს მიხედვით.

ოთხივე შეიძლება ჩაითვალოს თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფორმირების ხელისშემწეობ ფაქტორად.

დღეს, თანამედროვე ეკონომიკურ სიტუაციაში იცვლება არამხოლოდ ეკონომიკური განვითარების პროცესები, არამედ პროდუქციის გაცვლის, განაწილების, მოხმარებისა და შენახვის წესებიც, ვაჭრობის რეგულირების მექანიზმები. ამ ახალ მოთხოვნებთან ადაპტირებისათვის ეროვნული ეკონომიკა მზად უნდა იყოს. ხოლო ვაჭრობა კი ამ პროცესში განსაკუთრებული როლის მატარებელია.

რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის წარმომქმნელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მიწის რესურსი, აგრარული მეურნეობა. ეს არის ეკონომიკის ის სექტორი, რომელზედაცაა დამოკიდებული ქვეყნის სიღარიბიდან გამოსვლა. როგორც 1991 წლის სტატისტიკური კრებულისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკური კრებულის ცხრილებიდან¹ ჩანს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დომინირებდა ნეგატიური შედეგი. განსაკუთრებით ეს მემცენარეობის ტრადიციულ დარგებს ეხება. მაგალითად, 1999-2002წწ პერიოდში ყურძნის წარმოება შემცირდა 3,1-ჯერ, ჩაისა – 8,3-ჯერ, ციტრუსოვანთა – 5,1-ჯერ, ხილისა – 2-ჯერ. ამსთან, გაიზარდა მარცვლეულისა (17,1%) და კარტოფილის (50,9%) წარმოება. შემცირდა ხორცისა (74,3%) და კვერცხის (2-ჯერ) წარმოება, იგივე დონეზე დარჩა რძის წარმოება (2000 წელი შედარებით 1999 წელთან). ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მარცვლეულისა და რძის წარმოება თითქმის ყველა რეგიონში გაიზარდა, ანალოგიურად გაიზარდა კარტოფილის წარმოებაც (ისეთ რეგიონებშიც კი, სადაც მას ტრადიციულად არც ზრდიდნენ).

ეს საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის უშუალო შედეგებია. ადრინდელი „კლიერი“ რეგიონები „დასუსტდნენ“, ვინაიდან მკვეთრად შეამცირეს სასაქონლო პროდუქციის სპეციალიზაციის ადრინდელი დონე. მაღალრენტაბელური დარგი ჩაანცვლა დაბალშემოსავლიანმა (შედარებისათვის: 1 ჰა ხორბალი „იძლევა“ 25ათ.

არის შემოსავალს, ხოლო 1 ჰა ხეხილის ნარგავი – 96 ათ., 1 ჰა ვენახი – 110ათ., 1 ჰა ჩაის ფართობი – 105 ათ., 1 ჰა ციტრუსოვნები – 240 ათ. ლარის²), რაც გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფინანსური საფუძვლების (და არა მხოლოდ) მოშლამ, რის შედეგადაც სოფლის მეურნეობა – ერთ-ერთი

¹ საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სტატისტიკის კრებული, თბილისი, 1991 წ. გვ. 117-138;
საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკის კრებული, თბილისი 2000 წ. გვ. 43; 74-79; 85-86. 106.
² საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 200 წელი, გვ. 12.

ტრადიციული, ძლიერი და განვითარებული დარგი, – მარტივი კვლავწარმოების გარემოში აღმოჩნდა.

ბოლო წლებში ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა აგრარულ სექტორში მიწის რეფორმა იყო. ნაჩქარევმა, მოუმზადებელმა, შესაბამისი გამართული საკანონმდებლო ბაზის გარეშე ჩატარებულმა მიწის პრივატიზაციამ თვისებრივად შეცვალა საკუთრების ფორმების თანაფარდობა. თუ რეფორმამდელ პერიოდში საქართველოში მიწაზე მხოლოდ სახელმწიფო საკუთრება იყო, 2000 წლის 1 იანვრის მდგომარობით სურათი რადიკალურად შეიცვალა. კერძო სექტორმა მიწების საერთო ფართობის 13,4% შეადგინა.¹ აღსანიშნავია, რომ რეფორმის შემდეგ შესაბამისი რეგიონული მაჩვენებლები მკვეთრად შეიცვალა, რაც ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო პირობებით, სპეციალიზაციის ადრე ჩამოყალიბებული ტენდენციებით, მეურნეობრიობის სხვადასხვა დონით აიხსნება. რაღა თქმა უნდა, აგრარული რეფორმების განხორციელების შედეგად რადიკალური ცვლილებები მოხდა მეცხოველეობა-მეფრინველეობაშიც. თუ ნეგატიურ მოვლენების ნუსხას დავურთავთ იმასაც, რომ საქართველოში 1990-2000 წლებში სოფლის მეურნეობის ტექნიკით აღჭურვის დონე განახევრდა,² მაშინ იოლია იმის დასკვნა, რომ სოფ. მეურნეობა ღრმა კრიზისშია: დარგების შიდა დაგროვების წყაროები ამოწურულია, დაეცა ნიადაგის ნაყოფიერება, შეწყვეტილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ხოლო მწირი ფინანსური რესურსები მარტივი კვლავწარმოების მინიმალურ მოთხოვნასაც კი ვერ აკმაყოფილებს; ამას გარდა, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები სათიბებად, საძოვრებად და, საერთოდ, დაბალი კატეგორიის სავარგულებად იქცა.

იმისათვის, რომ ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და მომიჯნავე დარგების ეფექტიანობა, საჭიროა სოციალური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსური გეგმა, პოლიტიკური ნება და მყარი, მკაფიო სამართლებრივი ბაზა. უნდა შემუშავდეს მცირე და გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამები, რომელთა დაფინანსებაც ბიუჯეტური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით უპრიანი იქნებოდა ამ დარგის ისეთი გადასახადებისაგან გათავისუფლება, როგორებიცაა: მოგების გადასახადი და დღგ. „სოფლად უნდა დაწესდეს მხოლოდ ერთი გადასახადი – სასოფლო-სამეურნეო (მიწის ხარისხის მიხედვით). სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებული

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2000 წელი, გვ. 12.

² იქვე.

უნდა იყოს იმ რესურსების ამოქმედებაზე, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს (ფართობი, ნედლეული, კვალიფიციური კადრები, საინვესტიციო გარემოს შექმნის ხელსაყრელი პირობები, ფინანსური რესურსების მიზნობრივი, სამისამართო გამოყენება და კონცენტრაცია და სხვ.).

ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია კაპიტალწამომქმნელი ინვესტიციებიც. რეგიონული და რეგიონშორისი პროექტების ნაკლებობისას, ისინი ძალიან მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენენ. მათი განთავსება რეგიონების მიხედვით არათანაბარია და მათი კონცენტრაციის ადგილებს, ძირითადად, „სამრეწველო“ რეგიონები წარმოადგენენ. მაგალითად, გურიის მხარეში ინვესტიციების ზრდა გამოიწვია ბაქო-სუფსის ნავთბსადენის მშენებლობამ (მოცემულ 1996-2000 წწ პერიოდში ინვესტიციები აქ 7-ჯერ გაიზარდა, ცენტრალური კაპიტალდაბანდებანი 1,7-ჯერ, საწარმოო სახსრები – 2-ჯერ.¹). ეს და სხვა მონაცემები ადასტურებენ, რომ ინვესტიციების ძირითადი წყარო დამოკიდებული იყო საერთაშორისო პროექტებზე, სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკებებზე და, ბუნებრივია, გარკვეული საფინანსო წრეების ინტერესებითაც განისაზღვრებოდა (რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ზოტი“, კაზრეთის „მადნეული“, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BP) ტრასა და ა.შ.).

გარდა ამისა, ინვესტიციების ზრდისათვის არათანაბარზომიერებაცაა დამახასიათებელი (1997 წელს ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა 2,2-ჯერ, 1998წ. – 2,5-ჯერ, 1999წ. – შემცირდა 1,8-ჯერ²). არსებითი ცვლილება მოხდა ინვესტიციების რეგიონულ სტრუქტურაშიც. მონაცემები ცხადყოფს, რომ რეგიონების უმრავლესობაში, ინვესტიციების წყაროების სტრუქტურის ცვლილების თვალსაზრისით, 1996-2000წწ ადგილი ჰქონდა არასასურველ ტენდენციას – საწარმოთა საკუთარი სახსრების ზრდის ტემპი 3,5-ჯერ ჩამორჩა უცხოურ ინვესტიციებს, ხოლო კერძო ინვესტიციები კი არ არსებობდა (გამონაკლისს მხოლოდ თბილისი და აჭარის რეგიონი წარმოადგენდნენ).

ამრიგად, რეგიონების მიხედვით ინვესტიციების შესახებ მონაცემები და მათი გამოყენების ტენდენციები გვიჩვენებს, რომ ინვესტიციური კაპიტალის მოცულობა, მისი ფორმირების წყაროები და რეგიონული სტრუქტურა ჯერ-ჯერობით ვერ პასუხობენ ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარების ამოცანას(მაიკო,ცხრილი არ დაგავიწყდეს!).

¹ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 40, ივლისი, 2000წ.

² საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 40, ივლისი, 2000წ.

გარდამავალ პერიოდში საზოგადოებრივი განვითარების სოციალური მხარე ძალზე მნიშვნელოვანი და მრავალგანზომილებიანი ფაქტორია, განსაკუთრებით კი მისი რეგიონული ასპექტები. ბოლო პერიოდში სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები მკვეთრად გაუარესდა. ამ სიტუაციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისეთი მრავლისმთქმელი და უნივერსალური მაჩვენებელი, როგორცაა ცხოვრების ხარისხი (დონე). ცხოვრების დონეს, გაეროს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმით, აფასებენ სამი შემადგენლის საფუძველზე: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (ანუ ჯანმრთელობა), განათლების მისაღები გარემო და შემოსავლების დონე. ეს კრიტერიუმები შეესაბამება ჰუმანური განვითარების ინდექსს (Human Development Index) – **HDI**. თუ **HDI**<0,5, ქვეყანა განვითარების დაბალ დონეზე დგას; თუ $0,5 < \text{HDI} < 0,8$ – საშუალოზე და მაღალზეა, თუ **HDI**>0,8.

საქართველო ამ კრიტერიუმით განვითარებად ქვეყნებს მიეკუთვნება (**HDI**=0,762), ვინაიდან ჩვენი ქვეყანა მართლაც რომ უნიკალურია: მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბემ მოსახლეობის 51,4% - ანუ ნახევარზე მეტი – მოიცავს, მიუხედავად მშპ ერთ სულზე დაბალი მაჩვენებლისა (609\$), საშუალო ხელფასის (თვიური – 35\$) უმდაბლესი მაჩვენებლისა და ა.შ. – განათლების მაღალი დონე და 70-ე ადგილი საშუალოგანვითარებული ქვეყნების რიცხვშია. იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ ამ კომპლექსურ მაჩვენებელზე, საჭიროა გაანალიზდეს(უნდა გავაკეთო!) უამრავი სხვა მაჩვენებელი: დემოგრაფიული სიტუაცია და ზრდის/კლებადობის დინამიკა (საშუალო – წლიური ზრდის / კლების ტენდენციები), ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, ერთ ექიმზე მოსახლეობის რაოდენობა, სიღარიბის პრობლემა, მშპ მოცულობა ერთ სულზე, საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი, მოსახლეობის ხარჯები და შემოსავლები (მათი სტრუქტურა) და მრავალი სხვა. ეს მაჩვენებელი კომპლექსურად მოიცავს ეკონომიკურ ურთიერთობათა ყველა მხარეს, ეფუძნება ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზსა და ა.შ. ყველა ამ პრობლემიდან განსაკუთრებულად განათლების პრობლემა მიგვაჩნია. როგორც ირკვევა საერთაშორისო და სამამულო მაჩვენებლებიდან – ქვეყანაში განათლების მქონე პირთა სიჭარბეც კი არსებობს. კვალიფიციური კადრების სიჭარბე უმუშევრობისა და სამუშაო ადგილების მწვავე დეფიციტის ფონზე – ქართული გარდამავალი ეკონომიკის დღევანდელი რეალობაა. კვალიფიციური და გამოცდილი კადრები პროგრესის ხელშეწყობის ნაცვლად, მის შემაფერხებელ ფაქტორად ქცეულა.

განათლების სფეროში შეუსაბამობების (რბილად რომ ვთქვათ) აღმოსაფხვრელად საჭიროა განათლების სფეროს სტრატეგიის შემუშავება: სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მოაზრება, კვალიფიციურ კადრებზე დარგობრივი მოთხოვნის განსაზღვრა, კადრებზე სახელმწიფო დაკვეთის აღდგენა, არსებული მინიმალური დაფინანსების რაციონალური ხარჯვა დაფინანსების პერსპექტიული ზრდა და ა.შ.

როგორც დავინახეთ, რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურაწარმომქმნელი ფაქტორების სრული დატვირთვითა და რაციონალურად გამოყენებისათვის, უპირველესად ეკონომიკური მდგომარეობის ობიექტური ანალიზის ჩატარება საჭირო, ხოლო შემდეგ კი ამის საფუძველზე შექმნილი ეკონომიკის რეგიონული კომპლექსური პროგრამების შედგენა და მათი განხორციელება.

2.2. რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

ოპტიმიზაცია არის იმ ეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელობათა განსაზღვრა, რომელთა არსებობისას მიიღწევა **ოპტიმუმი** – ანუ ეკონომიკური სისტემის საუკეთესო მდგომარეობა. ჩვეულებრივ, ოპტიმუმად მიიჩნევენ უმაღლესი შედეგების მიღწევას მოცემული რესურსული დანახარჯებისათვის, ანდა ასეთივე შედეგის მიღწევას მინიმალური რესურსული ხარჯისათვის. რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიმართულებების განსაზღვრისათვის საჭიროა ვიცოდეთ რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ობიექტური შეფასება. ეკონომიკური პოტენციალის შესაფასებლად კი ძირითად მაჩვენებლებსა და კატეგორიებს ბუნებრივ-სარესურსო, სამეცნიერო-ტექნიკური, წარმოების, ინფრასტრუქტურის, საკადრო და ორგანიზაციული პოტენციალი წარმოადგენს.

გ. ყუფუნიას მიაჩნია*, რომ წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემაში გამოყენებულ უნდა იქნას ეკონომიკური პოტენციალის მაჩვენებლები, რომელიც იძლევა საშუალებას გავითვალისწინოთ რესურსების სიდიდე; ხოლო ე.პარათაშვილი, თ. დანელია და ჯ. ზარანდია** კი აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური

* საქართველოს ეკონომიკა,თბილისი, “მერიდიანი” 1995

**ე.პარათაშვილი,თ.დანელია,ჯ.ზარანდია,“რეგიონის რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენების ეფექტიანობა საბაზრო პირობებში”, თბილისი, 2000, გვ.24

პოტენციალი ხასიათდება დაგროვილ რესურსთა, მატერიალური დოვლათისა და მომსახურების წარმოების შესაძლებელი მოცულობით, რომელიც პერსპექტივაში შეიძლება იქნას რეგიონში მიღწეული.

ცნობილია, რომ ეკონომიკურ რესურსებს მიეკუთვნებიან მიწის რესურსი, შრომითი და საივესტიციო რესურსები, მეწარმეობის უნარი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები. სწორედ ისინი უნდა შეფასდეს სამოქმედო პროგრამის შესადგენად. ცნობილია სარესუსო პოტენციალის შეფასების ორი ძირითადი მეთოდი – გაანგარიშებითი და „საწარმოო ფუნქციის“ მეთოდი. პირველი მათგანი, ძირითადად, გამოიყენება ცალკეული სამეურნეო ობიექტების შეფასებისათვის და რეგიონისათვის ნაკლებად გამოდგება. საწარმოო ფუნქციის მეთოდი გარკვეული უპირატესობით სარგებლობს.

განვიხილოთ „საწარმოო ფუნქცია“, როგორც ზრდის ერთ-ერთი წყარო. იგი განსაზღვრავს პროდუქციის გამოშვების იმ მაქსიმალურ სიდიდეს, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას მიღებული რესურსების რაიმე განსაზღვრული სიდიდის, ე.ი. წარმოების ფაქტორთა (კაპიტალი, შრომა, მიწა, ნედლეული) ხარჯვისას.* პროდუქციის ერთობლივი გამოშვება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ეკონომიკაში წარმოების მოცემული რაოდენობის ფაქტორთაგამოყენებით, დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნაზე, რომელსაც ფლობს მწარმოებელი.

„საწარმოო ფუნქცია“ უჩვენებს პროდუქციის პოტენციურ გამოშვებას, ე.ი. პროდუქციის გამოშვებას სრული დასაქმებისას. ამიტომაც იგი გამოიყენება გრძელვადიანი ანლიზის დროს, ვინაიდან ხანგრძლივი პერიოდისათვის ცვლილებები პროდუქციის გამოშვებაში ნიშნავს, ძირითადად, პოტენციურ ცვლილებებს. როგორც „საწარმოო ფუნქციის“ განმარტებიდან ვხედავთ, არსებობს ზრდის ორი წყარო შემოყვანილ რესურსთა (კაპიტალის, შრომის, მიწის ფართის, ნედლეულის) რაოდენობის ზრდა და ტექნიკური ცოდნის განვითარება – ახალი და უფრო სრულყოფილი წარმოების მეთოდების დანერგვა.

ყველა საწარმოო ფაქტორს თავისი წვლილი შეაქვს პროდუქციის გამოშვებაში: თუ ერთი მათგანის რაოდენობა შემცირდა, წარმოების მოცულობის შესანარჩუნებლად უნდა მოხდეს სხვათა დარეგულირება. მაგრამ ეს უკვე ცნობილი და აპრობირებული ქმედებაა ამა თუ იმ ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. გაცილებით უფრო საინტერესოა იმ გზათა ძიება, რომელიც ტრადიციული (ამოწურვადი!) რესურსების რეგულირებით არ შემოიფარგლება.

*С.Фишер, Р.Шмалензи, Р.Дорнбуш « Экономика», М.,»Дело», 1999, гл.8., стр.137.

ერთი წუთით რომ დაგუშვათ კიდევ, რომ განვითარებადი ქვეყნები ადრე თუ გვიან დაეწევიან განვითარებული ქვეყნების დონეს (ანუ განხორციელდება ვ. ბაუმოლის კონვერგაციის ჰიპოთეზა), გაუგებარი ხდება, როგორი გზით შეიძლება განვითარდეს ეკონომიკა, თუ არ მოხდა თვისებრივი ნახტომი (გარღვევა) რომელიმე დარგში. საბედნიეროდ, კონვერგაცია, თუ ის მაინც მოხდა, საკმაოდ რის საჭიროებს და ეს ახლო მომავალში არ „გვემუქრება“. სამაგიეროდ, „ახალი ეკონომიკის“ შესაქმნელად განვითარებად ქვეყნებს რჩებათ ისეთი ამოუწურავი რეზერვი, როგორცაა მეცნიერული კვლევა და აღმოჩენები, რომლებიც თვისებრივად ცვლის ცნობილი ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებას.

არსებობს, აგრეთვე, რესურსების მაჩვენებლების პირდაპირი შეჯამების სხვადასხვა მეთოდები და კორელაციურ-რეგრესიული სტატისტიკის მეთოდი, რომლებიც ხასიათდება შედარებითი უპირატესობით.

პრაქტიკაში ცნობილია, აგრეთვე სარესურსო პოტენციალის შეფასების ორი მიდგომა: ღირებულებითი და ნატურალური მაჩვენებლების მეთოდები. როგორც ლ. ვ. კანტაროვიჩი¹ აღნიშნავს, საუკეთესო ღირებულების მაჩვენებელთა მეთოდია, რომელიც ეფუძნება აუცილებელი საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების შეფასებას შესაბამისი საბაზრო ფასების გამოყენებით.

ბ. რაბინოვიჩი² კი გეთავაზობს ბუნებრივ რესურსული პოტენციალის შეფასების სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა შემდეგ მეთოდს:

$$\Pi_n = \sum_{i=1}^n \Pi_i Q_i, \quad \text{სადაც}$$

- Π_n – ცალკეული სახის ბუნებრივი რესურსის სამეურნეო ფასეულობის ინტერვალური მაჩვენებელია სხვადასხვა მიმართულებით (ფულად ერთეულებში);
- Π_i – ცალკეული სახის ბუნებრივი რესურსის სამეურნეო ფასეულობის მაჩვენებელია მისი გამოყენების i მიმართულებით (ფულად მაჩვენებელში ერთეულ გამოყენებულ რესურსზე);
- Q_i – ბუნებრივი რესურსის გამოყენების მაჩვენებელია i მიმართულებაზე (ნატურალურ ერთეულებში);

¹ Л.В. Кантарович, «Экономический расчет наилучшего использования ресурсов», Москва АН СССР, 1960, с. 18
² Б.М. Рабинович, «Экономическая оценка земельных ресурсов и эффективности инвестиций», М., «Филинь», 1997 г.

$i = 1 \dots n$ ბუნებრივი რესურსების გამოყენების მიმართულებები.

ხოლო ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის სამეურნეო ფასეულობის ინტეგრალური მაჩვენებელია:

$$\Pi_z = \sum_{k=1}^c \sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n \Pi_{jik} Q_{jik}, \text{ სადა } \Pi_z$$

Π_i – ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ფასეულობის ინტეგრალური მაჩვენებელია სამეურნეო იერარქიის გარკვეულ დონეზე (ფულად ერთეულებში);

Q_{jik} – ბუნებრივი რესურსის გამოყენების i მიმართულებაზე ტერიტორიის k უბანზე (ნატურალურ ერთეულებში);

$k=1 \dots C$ – ტერიტორიის უბნები

$j=1 \dots m$ – ბუნებრივი რესურსების სახეობანი მოცემული კონკრეტული რეგიონის ფარგლებში.

მოყვანილი მეთოდით მიზანშეწონილია კომპლექსური ტერიტორიული (რეგიონული) კადასტრის შემუშავება.

რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის განსაზღვრისას ნ. კოლესნიკოვას¹ მიაჩნია, რომ რეგიონული პოტენციალის საფუძვლები (ანუ რესურსები) შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი ჯგუფების სახით:

- რეგიონის ძირითადი ფონდები;
- ბუნებრივი რესურსები;
- მიწა;
- შრომითი რესურსები;
- ფინანსური რესურსები;
- ინფორმაციული რესურსები.

ცნობილია, რომ მშპ ერთ სულზე ითვლებოდა და ითვლება საზოგადოების განვითარების შეფასების ძირითად მაჩვენებლად. ამასთან, ეს მაჩვენებელი ვერ ასახავს სოციალურ პროცესებს, რომელთა ფულად ერთეულებში გამოხატვაც შეუძლებელია. გაეროს ახალი მაჩვენებლის, **HDI** კომპონონეტებს სამი ინტეგრალური მაჩვენებლის (სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლების დონე და ცხოვრების დონე) ერთობა წარმოადგენს. ამ მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ

¹ Н.А. Колесникова, «Финансовый и имущественный потенциал региона: опыт регионального менеджмента», М., «Финансы и статистика», 2000 год.

მისი გამოყენება რეგიონულ ასპექტშიც ხდება შესაძლებელი. ი.ვ. ბესტუჟევ-ლადა¹ და ქართველი მეცნიერების ჯგუფი თვლიდნენ, რომ რეგიონის საკმაოდ დეტალური ანალიზისათვის ნორმატიული მეთოდია უპრიანი. ეს მეთოდი საზოგადოების მიზნებზე, მისწრაფებებსა და იდეალებზე, მის ფასეულობებზეა დამოკიდებული და გამოიხატება ე.წ. „მიზანთა ხის“ აგებით. ეს მიიღწევა ექსპერტული გამოკითხვებისა და შეფასებების, კერძოდ კი მოდიფიცირებული „დელფის“ მეთოდით. ასეთი პროგნოზი ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ რა რეალური შედეგები მოყვება მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებას, რამდენად პასუხობენ ისინი ქვეყნის ინტერესებს, რა სარესურსო დანახარჯებთან არიან დაკავშირებულნი და როგორი ორგანიზაციით მიიღწევა განვითარების რაციონალური გზა. მიზანთა ხეს კონგრუენტულად უნდა დაემთხვეს „გადაწყვეტილებათა ხეც“. ე.ი. უნდა დამუშავდეს იერარქიულად სისტემატიზებული და სტრუქტურირებული გადაწყვეტილებების სისტემა, რომელიც მმართველობითი ღონისძიებების სისტემურობას, სოლიდურობასა და კორექტულობას უზრუნველყოფს. ამ ორი „ხის“ მეშვეობით ჩვენ ვღებულობთ ქვეყნის განვითარების ქსელურ მოდელსაც.

იმ შემთხვევაში, თუ საერთო მასიდან გამოვყოფთ ფაქტორებს, რომლებმაც მოახდინეს ეროვნული მეურნეობის სტრუქტურული ცვლილება, სრულიად შესაძლებელია უკვე არსებული მეთოდოლოგიით განვსაზღვროთ სტრუქტურული ცვლილების ეფექტი.

იგი პროგრესულია, როცა სტრუქტურის ცვლილების განმსაზღვრელი ინდექსის ცვლას თან ახლავს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები და კონსერვატიულია, თუ სტრუქტურული ცვლილების განმსაზღვრელი ინდექსი დაბალია.

სტრუქტურის ცვლილების ინდექსი I განისაზღვრება ფორმულით:

$$I = \frac{(a_1) + (a_2) + \dots + (a_i) + \dots + (a_n)}{n}, \quad \text{სადაც}$$

a – არის სტრუქტურის i-ური ელემენტის ხვედრითი წილის ცვლილების აბსოლუტური მნიშვნელობა ეროვნული მეურნეობის სისტემაში;

n – სტრუქტურული ელემენტების რაოდენობა.*

¹ В.Бестужев-Лада, «Нормативное социальное прогнозирование», Москва, «Наука», 1987 год.

სტრუქტურული ცვლილების დადებითი შედეგების კრიტერიუმი, ანუ სტრუქტურული ეფექტი გვიჩვენებს სტრუქტურული ცვლილების ინდექსის (I) დამოკიდებულებას მეურნეობის დინამიკის უმთავრესი მაჩვენებლების ზრდაზე.

სხვა მეთოდებიდან, რომლებიც საქართველოს დღევანდელ სიტუაციაში გამოდგება, შეიძლება დასახელდეს:

1. **ანტიციპაციების სისტემის კომპიუტერული მოდელი.** მხდველობაშია შემდეგი: ანტიციპაცია ნიშნავს მომავლის შესახებ ლოგიკურად კონსტრუირებულ მსჯელობას სარწმუნოების უცნობი დონით. ე.ი. მეთოდი წარმოადგენს მომავლის შესაძლო რეალიზაციას და ასეთ რეალიზაციათა სიმრავლე სისტემატიზებული სახით ინახება კომპიუტერში.

2. **პროგნოზირება მაკროეკონომიკური მოდელების გამოყენებით.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მიმართულება ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ინდიკატორული მაჩვენებლებით მოკლე, საშუალო და ხანგრძლივი პერიოდებისათვის განსაზღვრასთან, ანუ პროგნოზთან. მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და პროგრამების რეალიზაციისადმი ამგვარი მიდგომა აუცილებლად უნდა განხორციელდეს როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე რეგიონის მასშტაბითაც.

რეგიონის განვითარების, მისი ეკონომიკური სტრუქტურის ოპტიმიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ პროგნოზირებას. ეკონომიკის განვითარების პროგნოზის დამუშავება ეფუძნება პროგნოზირების სისტემას:

- ბუნებრივი რესურსების პროგნოზს;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პროგნოზსა და
- სოციალური ცვლილებების პროგნოზს.

ამის საფუძველზე მუშავდება სრული ეკონომიკური პროგნოზი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ეკონომიკის დარგების განვითარებას, ფონდებისა და დაბანდებების კვლავწარმოებას, სტრუქტურულ ცვლილებებსა და დარგთა შორის კავშირებს, საფინანსო და საერთაშორისო ურთიერთობებს და ფასების საკითხებს.

ეკონომიკური პროგნოზირების სირთულე მდგომარეობს ფაქტორთა სიმრავლეში, რის გამოც გამოიყენება მრავალი მეთოდი, კერძოდ: ექსპერტული შეფასების, ლოგიკური მოდელირების, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების, ნორმატიული და ექსტრაპოლაციის მეთოდები.

ანალიზის მთავარი მიზანია – გამოიკვლიოს ქვეყნის, მისი რეგიონების, დარგთა და ცალკეულ საწარმოთა განვითარების ორიენტირები. მისი ძირითადი ამოცანებია:

1. სოციალური-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური პროცესების და ტენდენციების ანალიზი, ჩამოყალიბებულ კანონზომიერებათა შეფასება.
2. გამოვლენილ ტენდენციათა მოქმედების შეფასება პერსპექტივის თვალსაზრისით და ახალი სიტუაციებისა და პრობლემების განჭვრეტა;
3. მომავალი განვითარების ალტერნატივათა გამოვლენა და მათი ღრმა მეცნიერული ანალიზი საუკეთესო ვარიანტის ასარჩევად.¹

კომპლექსური კრებსითი პროგნოზის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის საჭიროებაზე ვრცლად ვისაუბრეთ 2.1. ქვეთავში, ნაჩვენებია მე-3 სქემაზე(გვ. 62), რომელზედაც ნათლად ჩანს პირდაპირი და უკუკავშირები, ანუ ყოველი „ბლოკი“ ახდენს რა გავლენას მომდევნოზე, ამავდროულად განიცდის უკუგავლენასაც.

როგორც ვხედავთ, პროგნოზების შემუშავების შემდეგ საბოლოო საპროგრამო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე გადასასვლელად უნდა არსებობდეს შუალედური რგოლი, იგი გულისხმობს შესაბამისი რეგიონის განვითარების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის შემუშავებას. ასეთი პროგრამის მომზადებას წინ უძღვის დიდი მოცულობის საპროგნოზო-კვლევითი სამუშაოს ჩატარება.

რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილების ანალიზისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ რესურსებს, როგორცაა: შრომითი, საინფორმაციო, მეცნიერებისა და მომსახურების სფერო. მათ რეგიონალურ კვლავწარმოებაში განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭებათ. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, როცა სულ უფრო რთულდება დაფინანსება, რეგიონების ძირითად ამოცანად საკუთარი საწარმოო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციათა ბაზების კოოპერაციის და ინოვაციების ინკუბატორის შექმნის საშუალებების გამონახვა, პირველ რიგში, რეგიონის პრობლემათა გადასაწყვეტად.

ეკონომიკური რესურსების გამოყენების ძირითადი ასპექტები მოცემულია სქემაში (სქემა №4).*

*გ. კილასონია, თ. მახვილაძე, „პერსპექტიული ეკონომიკური ანალიზი“, თბილისი, „მეცნიერება“, 1995.

მოელ რიგ ქვეყნებში ეკონომისტების, პრაქტიკოსი-მეწარმეებისა და ანალიტიკოსების საერთო აზრი ისაა, რომ ეკონომიკური გარდაქმნებისათვის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა ინტერესების შეუთანხმებლობაა, ხოლო ამ უკანასკნელის ძირითადი მომენტები კი – არაადეკვატური მიდგომებია ბუნებრივი რესურსების, მატერიალური აქტივებისა და ადამიანის მოღვაწეობის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებისადმი. ამიტომ რეგიონულ ორგანოებს აუცილებლად ესაჭიროებათ ამ ინტერესების დარეგულირება რეგიონის პერსპექტიული განვითარებისა და გარდაქმნის პრობლემების განხილვისას.


საერთაშორისო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ ტექნოკრატული მეთოდების გამოყენება არაა მიზანშეწონილი. რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ოპტიმიზაციის პროცესში მკვეთრად იზრდება ამა თუ იმ დონისძიების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობისა და ძირითადი ფონდების სააუდიტო შეფასების, მისაღები გადაწყვეტილების სამართლებრივი ექსპერტიზის საკითხების მნიშვნელობა. ამიტომაც, ტექნოკრატულ მეთოდებს ავსებენ და სრულყოფენ ეკონომიკური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მეთოდები.

რეგიონული ორგანოების როლი პერსპექტიული განვითარების პრობლემების გადაწყვეტაში უაღრესად აქტუალური ხდება გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ მათ უნდა დაეკისროს რეგიონის განვითარების მაკროეკონომიკური პროგნოზის დამუშავების და ამის საფუძველზე განვითარების ინდიკატორების დადგენა შემდგომ კომპლექსური პროგრამის ან ცალკეული პრობლემის პროგრამების შედგენისა და რეალიზაციის უზრუნველყოფა.

ამ დროს, ცხადია, გათვალისწინებულ უნდა იქნას ტერიტორიული ერთეულის(რეგიონის) თავისებურებები, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა, დემოგრაფიული სიტუაცია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე და მისი სტრუქტურა, ბუნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის უფლებები, მიწის და უძრავი ქონების მესაკუთრეთა უფლებები, ადგილობრივი ტრადიციები, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონის (ტერიტორიული ერთეულის) და მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და შემდგომ განვითარებასთან.

*ვ. კილასონია, თ. მახვილაძე, “ პერსპექტიული ეკონომიკის ანალიზი”, თბილისი, “მეცნიერება”,19

სქემა №3. კრებსითი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შემუშავების ბლოკ-სქემა *



ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის და მისი რეგიონების პერსპექტიული განვითარების მეცნიერული განსაზღვრისათვის აუცილებელია მაკროეკონომიკური ალტერნატიული პროგრამების დამუშავება და განვითარების ინდიკატორების დადგენა უწყვეტი მონიტორინგის განხორციელების ფონზე. განვითარების გარკვეული ეტაპების მიღწევისათვის საჭიროა პროგრამების დამუშავება და განხორციელება დაფინანსების რეალური წყაროს აუცილებელი დადგენით.

ეკონომიკური სტრუქტურის ოპტიმუმის განსაზღვრა შეუძლებელია მისი ეფექტიანობის განსაზღვრის გარეშე, ამისათვის კი აუცილებელია, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ეფექტისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ცნებები: **წარმოების ეფექტიანობა** ეკონომიკური კატეგორიაა, დაფუძნებული ობიექტური ეკონომიკური კანონების სისტემების მოქმედებაზე და გამოხატავს წარმოების ერთ-ერთ უმთავრეს მხარეს – შედეგიანობას.

Effectus (ეფექტი) – ლათინური წარმოშობის სიტყვაა, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება და გამოხატავს მოქმედების, მოღვაწეობის შედეგს.

სქემა №4. ეკონომიკური რესურსების გამოყენება რეგიონის პერსპექტიული განვითარებისათვის

resursi	misi roli regionis ekonomikaSi
(1)	(2)
ZiriTadi fondebi	<ul style="list-style-type: none"> - გადასახადები ქონებაზე - ინვესტიციების ფორმირების შესახებ - გაყინვის შესაძლებლობა - მოგება პროდუქციის წარმოებიდან - ამოცანები სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისადმი
ZiriTadi resursebi	<ul style="list-style-type: none"> - გადასახადები წიაღისეულით სარგებლ. - რეალიზაციიდან მოგება - სანედლეულო ბაზის ფორმირება - საძიებო-გეოლოგიურ სამუშაოთა ფორმირება
miwis resursebi	<ul style="list-style-type: none"> - შემოსავალი გადასახადებიდან - შემოსავალი იჯარიდან და გაყიდვიდან
SromiTi resursebi	<ul style="list-style-type: none"> - დასაქმების გარანტიები სამეურნეო კომპლექსის ინტერესებიდან გამომდინარე - კვალიფიკაციის ამაღლება
safinanso resursebi	<ul style="list-style-type: none"> - ეკონომიკის ფუნქციონირების მომსახურება - საშემოსავლო და სხვ. გადასახადების აკუმულირება ბიუჯეტის ფორმირებისათვის - საფინანსო წყაროების შექმნა სოციალური საჭიროების დაფინანსებისათვის.
sainformacio resursebi	<ul style="list-style-type: none"> - სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მონიტორინგი და საზოგადოებრივი აზრისა და ორიენტირების ფორმირება

ეფექტი შეიძლება მიღებულ იქნას ნატურალური ან ღირებულებებითი ფორმით, ეკონომიკური რესურსის სახით ან სოციალური შედეგით. ტექნოლიგიები თავიანთ მოქმედებას აფასებენ მხოლოდ მიღებული ეფექტით. განსხვავებული ტექნოლოგიით, რომლებიც იყენებენ რესურსების ერთნაირ დანახარჯებს, შეიძლება მიღებულ იქნას არაერთგვაროვანი ეფექტი ან, პირიქით – ერთნაირმა დანახარჯებმა შეიძლება მოგვცეს სხვადასხვა შედეგი. ამიტომ უნდა

შეუპირისპირდეს მიღებული ეფექტი რესურსების დანახარჯებს. ვ.ა. დობრინინი ეკონომიკურ ეფექტიანობას გამოხატავს შემდეგი ფორმულით:

$$ef = eS/r,$$

სადაც ef – ეკონომიკური ეფექტიანობაა,
 eS – ეფექტის (შედგეი)
 r – დახარჯული რესურსი.

ეს ფორმულა წარმოადგენს იძლევა დანახარჯების ანაზღაურებაზე. რაც უფრო მეტია ეფექტი, და მცირეა დანახარჯები, მით მაღალია წარმოების ეფექტიანობა და პირიქით. თავის მხრივ, რაც მეტი პროდუქცია იწარმოება და რაც უფრო იაფი ჯდება იგი, მით უფრო მაღალია შემოსავლიანობა, მით მეტია ფინანსების შესაძლებლობა და გაცილებით მაღალია შრომის ანაზღაურება.

აი, რატომაა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება ერთ – ერთი აქტუალური პრობლემა და მისი წარმატებით გადაჭრა კი იძლევა შემდგომში წარმოების სტაბილიზაციის შესაძლებლობას და ასევე სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის გარანტიას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რომელიმე მოქმედების ან წარმოების ეფექტიანობის არსი გამოისახება არა მარტო ეფექტში, არამედ იმაშიც, თუ რამდენად არის ეს ეფექტი გამართლებული.

ამრიგად, წარმოების ეფექტიანობა ნებისმიერი საზოგადოებრივი ფორმაციისათვის დამახასიათებელი კატეგორიაა და არის სამეურნეო საქმიანობის შედეგი. იგი ასახავს წარმოების მუშაობის, მართვის, ახალი ტექნოლოგიის, შრომის ორგანიზაციის, ავტომატიზაციისა და ა.შ. ეკონომიკურ შედეგს.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოების ეფექტიანობის საკითხები სხვადასხვა ავტორთა მიერ საკამოდ მაღალ მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული და შესწავლილი, მაინც ვხვდებით ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებებს.

ზოგიერთი მკვლევარი ეკონომისტი წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას შრომის საზოგადოებრივ მწარმოებლობასთან აიგივებს. ამ აზრს იზიარებს რ. ტონკონდი, ვ. ჩენიაესკი და სხვები.

არ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა და შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლურობა ერთი და იგივე კატეგორიებია, რომ ისინი თითქმის ერთმანეთს. მიგვაჩნია, რომ წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა გაცილებით უფრო რთული და მრავალმხრივი კატეგორიაა, ვიდრე შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლობა, რაც იმას გულისხმობს, რომ ჯერ ერთი, წარმოების ეფექტიანობის დროს საქმე გვაქვს მთლიან წარმოებასთან, მის

ეფექტიანობასთან, მაშინ როცა მეორე კატეგორიის დროს არსებითად განიხილება მხოლოდ შრომის, მისი მწარმოებლობის, ე.ი. შედარებით ვიწრო, განსაზღვრული და, ამავე დროს, დაქვემდებარებული წარმოების გამომხატველი კატეგორიის საკითხი. უფრო სწორი იქნება, თუ შრომის მწარმოებლობას ჩვენ განვიხილავთ, როგორც წარმოების ეფექტიანობის ერთ – ერთ ძირითად მაჩვენებელს.

ე. ბორისოვი და ი. ტიხონოვი წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას განსაზღვრავენ, როგორც შრომით დანახარჯებსა და მიღებულ შედეგებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოხატულებას.

ეფექტობით, რომ ეკონომიკური ეფექტიანობის აღნიშნული განმარტება მეტად ზოგადი ხასიათისაა და ვერ იძლევა ეკონომიკური ეფექტიანობის სწორ დახასიათებასა და ფორმულირებას.

ს. ფიშერის, რ. დორნბუშისა და რ. შმალენზის აზრით, პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ხარისხი ის ხერხია, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს წარმოების პროცესში გაწეულ დანახარჯთა ღირებულება.

ჯერ კიდევ 1776 წელს „ეკონომიკის მამამ“ ადამ სმიტმა დაადგინა, რომ კონკურენცია ხელს უწყობს ეფექტიანობის ამაღლებას და საზოგადოებისათვის მხოლოდ სიკეთის მომტანია. ანუ კონკურენციის სიკეთე ადამ სმიტის დროიდან, და შეიძლება უფრო ადერც იყო ცნობილი, მაგრამ გამოთქმის – „კონკურენცია ეფექტიანად ანაწილებს რესურსებს“ – ზუსტი აზრი ფორმალურად განსაზღვრა იტალიელმა ეკონომისტმა ვილფრედო პარეტომ და ეკონომისტები, იყენებენ რა მის განსაზღვრას, მას „პარეტოსეულ ეფექტიანობას“ უწოდებენ.

„პარეტოს ოპტიმა“ გვთავაზობს კრიტერიუმს, რომელიც იმაზე მეტყველებს, თუ როგორ უნდა განაწილდეს რესურსები, ანუ ეკონომიკის სამერთიანი ფორმულის მხოლოდ ორ კითხვას – „რა ვაწარმოოთ? როგორ ვაწარმოოთ?“ – სცემს პასუხს. რესურსები შეიძლება ეფექტიანად განაწილდეს (პარეტოს მიხედვით) თვით უკიდურეს სიტუაციაშიც კი, როცა საზოგადოებრივი უთანასწორობისას ზოგიერთი ადამიანი შიმშილობს, ზოგო კი ფუფუნებაში ცხოვრობს.

გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ კ. სამუელსონი და ვ. ნორდჰაუსის მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს ეფექტიანობა დანახარჯთა მინიმუმამდე დაყვანას ნიშნავდეს, არ მიგვაჩნია მართებულად. მათი განმარტებით ეფექტიანობა იგივე უდანაკარგობაა. ისინი ამტკიცებენ, რომ ეკონომიკა ეფექტიანად ფუნქციონირებს იმ შემთხვევაში, როცა ერთი პროდუქციის წარმოება იზრდება

მეორე პროდუქციის წარმოების შეუმცირებლად. მიგვაჩნია, რომ წარმოების ეფექტიანობა, უდანაკარგობა და დანახარჯთა მინიმუმამდე შემცირებაც ერთ სიბრტყეში მდებარე ერთნაირი შინაარსის გამომხატველი კატეგორიებია. მაგრამ მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმას მიზანშეწონილად არ ვთვლით, თუნდაც იმიტომ, რომ წარმოების ეფექტიანობა უფრო ფართო ცნებაა და იგი მოიცავს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სოციალურ და ტექნიკურ ასპექტებსაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში ისეთ ეკონომიკურ კატეგორიის სწორად განსაზღვრას, როგორცაა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ სრულიად ვიზიარებთ იმ მეცნიერ – ეკონომისტთა აზრს, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლად რენტაბელობის დონეს აღიარებენ (ვ. როზაჩენკო, ვ. სვობთლენი და სხვ.), რომელიც ხასიათდება პროდუქციის თვითღირებულებასთან ფარდობით.

ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭიროა, გამოვაგლინოთ არა ერთი, არამედ მაჩვენებელთა მთელი სისტემა, რომელთაგან ძირითადად მიგვაჩნია შემდეგი: საერთო პროდუქცია, შემოსავალი, რენტაბელობის დონე, მოგება 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, ძირითადი და საბრუნავი ფონდების ღირებულება ყოველ 100 ლარზე, 1 საშუალო წლიურ მუშაკზე და დანახარჯების 1 ლარზე გაანგარიშებით. თუ წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას პრაქტიკული თვალსაზრისით განვიხილავთ, იგი წარმოების შედეგებსა და დანახარჯებს შორის რაოდენობრივი თანაფარდობის სახით წარმოგვიდგება. მისი ზრდა გვიჩვენებს ნაკლები ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯების პირობებში მაღალი შედეგის მიღების. მისი ამაღლება შეიძლება წარმოებული პროდუქციის მოცულობის უცვლელობის დროსაც, თუ შემცირდება წარმოების ხარჯები ან გაუმჯობესდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

თანამედროვე პირობებში, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, „ეფექტიანობის ზრდას ხელი უნდა შეუწყოს ისეთმა სიახლემ, როგორცაა საწარმოებში მარკეტინგული საქმიანობის საბოლოო შედეგების ფორმირების პროცესის ამსახველი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზურ – შემფასებელი სისტემების გამოყენება.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გნსაზღვრა შესანიშნავად ჩამოაყალიბა პროფ. დობრინინმა: „ეკონომიკური ეფექტიანობა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში წარმოადგენს კვლავწარმოებით კატეგორიას,

რომელიც ასახავს ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ საკუთრების სხვადასხვა ფორმით დამყარებულ წარმოებით ურთიერთობებს, რომელშიც შრომითი ურთიერთდახმარებითი დამოკიდებულება წარმოგვიდგება მათი ეკონომიკური ინტერესების გამოსატყულებად და განაპირობებს საზოგადოების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას”.ე.ი. როდესაც ეკონომიკური ეფექტიანობის ამადლების ბუნება განაპირობებს საზოგადოების თოთოეული მშრომელის დაინტერესებას – ნაკლები დანახარჯებით მიიღოს მაქსიმალური შედეგები – ეს იწვევს იმას, რომ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება პირდაპირაა დამოკიდებული მათი მუშაობის შედეგებზე.

საბაზრო კონიუნქტურის შესწავლისას საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აუცილებელია განხორციელდეს სისტემატური სტატისტიკური დაკვირვება ყოველ სოციალურ – ეკონომიკურ მაჩვენებელზე, რომელთა ალბათობა და დინამიკა ასახავს მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის ცვლილებას.

სისტემაში, სადაც ეკონომიკური ძალები სრულიად თავისუფალია, საქონლისა და მომსახურების ფასებს აყალიბებს მოთხოვნა – მიწოდება. თეორიულად ბაზრის პირობებში მათი სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, შეუძლიათ თუ არა საქონლისა და მომსახურების ისეთი ხარისხით და ისეთ ფასებში მიწოდება, რომ გაეჯიბრონ სხვებს, ამიტომ ბიზნესში მხოლოდ ისინი რჩებიან, ვინც ყველაზე ეფექტურები არიან და ყველაზე უკეთ ემსახურებიან საზოგადოებრივ ინტერესს.

პროდუქციის სიუხვის რეგულატორად უნდა ვაქციოთ საბაზრო მოთხოვნა, პროდუქციის ხარისხიანობა და კონკურენტუნარიანობა, რაც დიდ გავლენას მოახდენს ეკონომიკური ეფექტიანობის ამადლებაზე.

ყოველი წარმოება, საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ საფეხურის წარმოებაა მის სრულად განსაზღვრულ ისტორიულ ფორმაში. წარმოებაში ოთხივე მომენტი – წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება – გამოდის როგორც ერთიანი პროცესის ოთხი შემადგენელი ნაწილი.

თუკი წარმოების ეფექტად ეროვნულ შემოსავალს მივიჩნევთ, მაშინ წარმოების უმაღლესი მიზანი უნდა იყოს ეროვნული შემოსავლის მატება და სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს მთელი საზოგადოების საქმიანობაც, უწინარესად კი საწარმოს საქმიანობა.

წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების უშუალო ერთიანობის ასეთი სტრუქტურა ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაბამისად

განსაზღვრავს მატერიალური დოვლათის შექმნა – გარდაქმნას. ამდენად, წარმოება არა მარტო უშუალო მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქტთა დამზადებაა, არამედ მათი განაწილებაც, გაცვლაცა და გამოყენებაც. წარმოება მოხმარების გარეშე არაა დასრულებული, მაშასადამე არც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით მეურნეობის წარმართვა ეფექტური მართვის უტყუარი გზაა. „იგი დაკავშირებულია მოთხოვნა – მოწოდების ობიექტურ კანონზომიერებასა და, აქედან გამომდინარე, წარმოების საშუალების მუდმივ სრულყოფასთან, სამომხმარებლო საქონლის რაოდენობის გადიდებასთან, პროდუქციის ხარისხისა და, საერთოდ, ცხოვრების დონის ამაღლებასთან.

ამრიგად, უნდა იქნას დანახული, გააზრებული და გაანალიზებული ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის გზები, საბაზრო ეკონომიკის კანონებთან მიმართებაში. ამის საფუძველი ადამიანის თავისებურებებია. ადამიანის ფაქტორი, მისი ინტელექტი და სინდისი განსაზღვრავენ წინსვლის საკითხებს.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მნიშვნელოვან ამოცანას, რადგანაც გაფართოებული კვლავწარმოების ტემპების შემდგომი უზრუნველყოფა დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად რაციონალურად გამოიყენება შორმითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები. და მიუხედავად იმისა, რომ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება, მაინც გადამწყვეტად მიგვაჩნია „სულიერი მეურნეობის“ შემდგომი განმტკიცება. მიგვაჩნია, აგრეთვე, რომ შექმნილი სიტუაციიდან შეუძლებელია მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესის ფართოდ გამოყენების გარეშე თავის დაღწევა. აგრარული მეცნიერების უმთავრესი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი არა ფეხდაფეხ მიყვებოდეს ცხოვრებას, არამედ გაბედულად იხედებოდეს პერსპექტივაში და სახავდეს სამომავლო მოქმედების გზებსა და საშუალებებს.

ამიტომაც წარმოების ეფექტიანობის სიდიდეც განისაზღვრება გარკვეულ დროში აღნიშნული ეფექტის მიღწევის დონით, რასაც თავის მხრივ განაპირობებს წარმოების, როგორც ერთობრიობის, ყველა რგოლის ფუნქციონირების ხარისხი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში, როგორც წარმოების ეფექტობისა და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის არსის განსაზღვრაში, ისე, შესაბამისად, მათი კრიტერიუმების შესახებ, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. დისკუსიის საკითხები მოიცავს იმას, თუ რაში მდგომარეობს კრიტერიუმების შინაარსი,

შესაძლებელია თუ არა მათი გაიგივება ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად, განმაზოგადოებელ მაჩვენებელთან, რაშია მათ შორის განსხვავება და ა.შ. კრიტერიუმი არის ამა თუ იმ ღონისძიებების საზომი, რომელიც დაკავშირებულია რესურსების გამოყენებასთან და სამომხმარებლო ღირებულებათა წარმოებასთან.

გ. დობრინინის აზრით წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმად მიღებულია საზოგადოების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, ადამიანის ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების ხარისხი. ხოლო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმმა უნდა გვიჩვენოს წარმოების ფაქტორების გამოყენების, მიმდინარე დანახარჯების ეფექტიანობის რაოდენობრივ – ხარისხობრივი ასპექტები. ჩვენი აზრით, ეფექტიანობის მთავარ კრიტერიუმს მოგება წარმოადგენს, ვინაიდან ყოველი მეწარმის ძირითადი მიზანია სწორედ მოგების მიღება. რამდენადაც მაღალ შემოსავალს იღებს მეურნეობა, მით ეფექტიანია იგი.

ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად კრიტერიუმებთან ერთად რეგიონალ ეკონომიკაში შეიძლება გამოიყენებულ იქნას, ასევე, ლოკალური ან კერძო კრიტერიუმები. საბოლოო ჯამში ყველა ლოკალური კრიტერიუმი უნდა შეესაბამებოდეს ძირითადს, ანუ ქვეყნისათვის დადგენილს და ხელს უწყობდეს წარმოების საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში ისეთი ეკონომიკური კატეგორიის სწორად განსაზღვრას და დახასიათებას, როგორცაა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა.

თანამედროვე ეტაპზე, ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარებაში მთავარ პრობლემად რჩება პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებასთან ერთად მისი ეფექტიანობის განუსრელი ზრდა.

ეროვნულ-სამეურნეო თვალსაზრისით, ეფექტიანობის ამაღლებაში იგულისხმება ოპტიმალური შედეგების მიღწევა წარმოებაში დახარჯულ თითოეულ ლარზე, ანუ ცოცხალი და განივთებული შრომის უმცირესი დანახარჯებით საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა აუცილებელი პროდუქციით დაკმაყოფილება.

რეგიონის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს გადამწყვეტ პრობლემას, რადგანაც გაფართოებული კვლავწარმოების მაღალი ტემპების შემდგომი უზრუნველყოფა და სხვა ამოცანების გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად

რაციონალურად გამოიყენება საზოგადოების შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები.

Tavi III. Qqvemo qarTlis ekonomikuri ganviTareba da struqturis srulyofa

gardamaval periodSi

3.1. ქვემო ქართლის ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე

ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური რეგიონია. მას, თბილისის შემდეგ, მეორე ადგილი უკავია სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ. ასევე მნიშვნელოვანია ქვემო ქართლი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობითაც.

რეგიონის სამრეწველო პროდუქციის დიდი ნაწილი (40%) ქ. რუსთავში იქმნება. მთლიანად მხარეში (2004 წელს) საქართველოში წამოებული სამრეწველო პროდუქციის 1/5-ზე მეტია შექმნილი (180 მლნ. ლარის). უფრო მეტიც, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, სამრეწველო პროდუქციის წარმოების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (300 ლ.) საქართველოს რეგიონებს (მხარეთა) შორის სწორედ ქვემო ქართლზე მოდის.

მხარის ენერგეტიკის საფუძველი ორი ელექტროსადგურია: ხრამჭესი და თბილსრესი. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი უმძლავრესია საქართველოში, რომელიც იმპორტირებულ სათბობზე (გაზი და მაზუთი) მუშაობს.

რეგიონის ერთ-ერთ უდიდეს საწამოდ ამჟამად სამართლიანად ითვლება მარნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, რომელსაც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს მძიმე კრიზისული წლების განმავლობაშიც კი.

სადახლოში მოიპოვება მარმარილო, რამდენიმე საწრმო ეწევა ტუფისა და ბაზალტის სამრეწველო დამუშავებას.

სამრეწველო საწარმოთა უდიდესი ნაწილი თავმოყრილია ქ. რუსთავში. აქ ვხვდებით როგორც მძიმე მრეწველობის (მეტალურგიული კომბინატი, საწარმოო გაერთიანება „აზოტი“, ხელოვნური ბოჭკოს, ცემენტის და სხვ. ქარხნები), ისე მსუბუქი და კვების მრეწველობის არაერთ საწარმოს (რძის გადამამუშავებელი, ხორცის გადამამუშავებელი, საკონსერვო, პურ-პროდუქტის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი და ა.შ.). კვების მრეწველობის საწამოთა განლაგებას კარგად გამოხატული გეოგრაფიული თავისებურება ახასიათებს: კვების მრეწველობის ის საწარმოები, რომლებიც მეცხოველეობის პროდუქციას გადაამუშავებენ, წალკა-დმანისის რაიონშია თავმოყრილი; მემცენარეობის პროდუქციის გადამამუშავებით დაკავებული საწარმოები (ღვინის, საკონსერვო, ეთერზეთებისა და სხვ.) – ძირითადად ქვემო ქართლის ვაკეზე იყრიან თავს.

განვიხილოთ მხარის ეკონომიკური მდგომარეობა დარგების მიხედვით, რომლებიც შეადგენენ მის სტრუქტურას (იხ. ცხრილი 3.1.1). რეგიონის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია ძირითადად საგარეუბნო ტიპისაა და ორიენტირებულია ქ.თბილისისა და ქ.რუსთავის მოსახლეობის სურსათით მომარაგებაზე. ამის გამოა სწორედ, რომ რეგიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საადრეო მეკარტოფილეობის, მებოსტნეობისა და მებაღეობის, მებაღეობის, მეფრინველეობისა და სარძეო-სახორცე მეცხოველეობის უპირატეს განვითარებას. მხარეში დიდი რაოდენობით მოყავთ საგვიანო კარტოფილიც (წალკის რაიონში), განვითარებულია მევენახეობა და მეხილეობა, ცალკეული ტექნიკური კულტურების (თამბაქო, ეთერზეთოვნები) წარმოება. ამჟამად მხარის სასოფლო-სამეურნეო განვითარება ახალ ფაზაში შედის. აქ თანდათანობით ფეხს იკიდებს მარცვლეული კულტურების წარმოება (ხორბალი, ქერი), რაც მძლავრ სტიმულს მისცემს მეცხოველეობის აღმავლობასაც.

ქვემო ქართლში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ტერიტორიის თითქმის 2/3 უკავია, მათ 40%-ზე მეტცენარეობის პროდუქცია მოყავთ. მხარეში ფართოდაა წარმოდგენილი როგორც ზაფხულის (დმანისისა და წალკის რაიონები), ისე ზამთრის (მარნეულისა და გარდაბნის რაიონები) საძოვრები. ამჟამად, ქვემო ქართლში სასოფლო-სამეურნეო მიწების 1/4 პრივატიზებულია და კერძო საკუთრებას წარმოადგენს.

ქვემო ქართლში სასოფლო-სამეურნეო წამოების რამდენიმე ზონა გამოიყოფა:

- I – ვაკის (ზღვის დონიდან 260-500მ) – მაღლაგანვითარებული მებოსტნეობის, საადრეო მეკარტოფილეობის, მემარცვლეობის, მევენახეობისა და სარძეო-სახორცე მეცხოველეობის;
- II – წინა მთების (ზღვის დონიდან 500-1200მ) – გარდამავალი ზონა მრავლფეროვანი სოფლის მეურნეობით;
- III – ზეგნებისა და მთიანი (ზღვის დონიდან 1200-1800მ) – ზონა.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება (საქართველოსა და ქვემო ქართლის მაჩვენებლები) შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი 3.1.1).

როგორც ვხედავთ, ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის პროდუქცია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს (მიახლოები 15%) შეადგენს, აქედან ისეთი კულტურა, როგორცაა კარტოფილი – 43%, ბოსტნეული – 32,3%, ხილი – 3,2% და ა.შ. რეგიონი თავად აწარმოებს იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომლითაც „იკვებება“. ამას გარდა, ქვემო

ქართლის მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების 26,2%-ც სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდანაა შემოსული. ეს საქართველოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (შედარებისათვის იგი შეაგენს გურიაში – 21,9%-ს, შიდა ქართლში – 20,3%-ს, სამცხე-ჯავახეთში – 21,0%-ს) იმ რეგიონებთან შედარებითაც კი, რომლებიც ტრადიციულად მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კერებს წარმოადგენენ.*

ნიშანდობლივია, რომ ქვემო ქართლში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, გაიზარდა მარცვლეულისა და რძის წარმოება, ასევეა გაზრდილი კარტოფილის წარმოებაც. ეს ტენდენცია რეალურად ასახავს საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის თავისებურებებს: ადრინდელი “ძლიერი” რეგიონი დღეს “დასუსტდა” (სასქონლო პროდუქციის სპეციალიზაციის ადრინდელი მაღალი დონის მკვეთრად შემცირების გამო).

რეფორმამდელ პერიოდში 1 ჰა ვანახის ფართობი 110 ათას, ხოლო 1 ჰა ხეხილისა კი – 96 ათას მანეთს იძლეოდა შემოსავლის სახით (შედარებისათვის: 1 ჰა ხორბალს იგივე პერიოდში მხოლოდ 25ათასი “შემოჰქონდა”). დღეს რენტაბელური პროდუქცია შედარებით დაბალრენტაბელურმა ჩაანაცვლა,** ამით კი სასოფლო-სამეურნეო ქარმოების ფინანსური საფუძველი მოიშალა და ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი მარტივი კვლავწარმოების გარემოში აღმოჩნდა. ცხადია, შესაბამისად შეიცვალა მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქციის მაჩვენებელიც.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში მიწის 399.1ათ.ჰა-დან (ეს 13.2%-ია, საიდანაც: სახნავია – 135.3 ათ.ჰა (17.1%), მრავალწლიანი ნარგავების ქვეშ გამოყენებული – 13.1 ათ.ჰა (4.8%), სათიბებისათვის – 37.6 ათ.ჰა (26.4%), საძოვრებისათვის – 210.0 ათ.ჰა (11.7%)), კერძო საკუთრებაშია გადაცემული 67.5 ათ.ჰა (ესაა 8.9%, საიდანაც: სახნავია – 47.0 ათ.ჰა(10.8%), მრავალწლიანი ნარგავების ქვეშ – 10.5 ათ.ჰა(5.8%), სათიბები – 4.5 ათ.ჰა (4.5%), საძოვრები – 2.3 ათ. ჰა (2.3%)).***

რადიკალურადაა შეცვლილია დღეს მაცხოველეობის განვითარებაც. ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირუტყვის სულადობა. მაგალითად, მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვისა – 148 717 სულიდან (11.5%) 127 030 სულამდე (11.4%); ღორისა – 85 879 სულიდან (9.8%) 21 959 სულამდე (5.4%); ცხვრისა და თხის 281 364 სულიდან (17,4%) 137 247 სულამდე (21.7%);* ფრინველისა – 3 656 215 ფრთიდან

* საქართველოს რეგიონების სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა, სტატისტიკური კრებული., გვ. 117-138; საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, გვ.100-112

** საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული,თბილისი,2004წ., გვ.12.

*** საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემი 2004 წლის მდგომარეობით

(33.6%) 893 922 ფრთამდე (10.5%).

მას გარდა, ფაქტიურად უმოქმედოა აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური მექანიზმი, ხოლო მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები დაბალი კატეგორიის სავარგულებშია გადაყვანილი(სათიბი, საძოვარი). ამასთან, ინდივიდუალური მეურნეობების ჩამოყალიბების პროცესი ცალმხრივად წარიმართა, რის შედეგადაც დაქუცმაცებულია მიწები და მოშლილია ინფრასტრუქტურა. რეფორმის სპონტანურად ჩატარების გამო არ არ ჩამოყალიბებულა რეალური მეწარმე და სოფლის მეურნეობის სფეროს ცენტრალური რგოლის ფუნქცია საკომლო მეურნეობას დაეკისრა. ჭვრილი მეურნეობა კი,ცხადია, ხელით შრომაზე დაყრდნობისა და დიდი დანახარჯების გამო ვერ უზრუნველყოფს სასაქონლო პროდუქციის შექმნას.

cxrili 3.1.2. FAO-s mier mocemul kvebis saSualo normativebis Sesabamamisoba regionSi arsebuli saSualo wliuri moxmarebis donesTan *

	saS. wliuri moxmarebis normativi (kg. 1 sulze) ¹	qvemo qarTlSi warmoebuli saS. wliuri produqcia 1 sulze
puri da purproduqtebi	141,1	192,9
kartofili	47,6	348,1
bostneuli	55,2	246,0
xili, knekra, yurZeni	43,5	45,5 ²
xorci da xorcis produqtebi	19,8	24,5
rZe da rZis produqtebi	209,0	165,0
kvercxი (cali)	124,6	90,8

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონი საესეებით უზრუნველყოფს თავის თავს კვების ისეთი პროდუქტებით, როგორებიცაა: ხილი, ყურძენი, ხორცი და აწარმოებს მოთხოვნილებაზე მეტსაც. ხოლო ის მცირეოდენი შეუსაბამობა, რომელიც არსებობს კვერცხისა და რძის მოხმარების ნორმატივსა და ფაქტობრივ მონაცემებს შორის, ადვილი შესავსებია კარტოფილის, ბოსტნეულისა და პურპროდუქტების ნამეტი წარმოების რეალიზაციის შემდგომ მიღებული

¹ წყარო: საქართველოს რეგიონების სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა. სტატისტიკური კრებული. გვ. 117-138; საქართველოს სოფ. მეურნეობა, სტ. კრებული.

² კენკრის გარეშე

** თვით საქართველოს საერთო მაჩვენებლის მკვეთრმა დაცემამ განაპირობა პროცენტული მაჩვენებლის ზრდა ამ შემთხვევაში 1 618 104-დან 633 437-მდე

შემოსავლებით. რაც შეეხება თევზისა და თევზის პროდუქციის წამოებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვემო ქართლი ტრადიციული თევზსარეწი რეგიონი ნამდვილად არაა, მაგრამ ისეთი წყალსატევებისა და მდინარეების არსებობა, როგორებიცაა: მტკვარი, ხრამი, მაშავერა, ალგეთის წყალსატევი, კუმისისა და ჯანდარის ტბები და უამრავი მცირე მდინარე თუ სხვა – მოსახლეობის თევზის პროდუქციაზე მოთხოვნას მთლიანად თუ არა, უმეტესწილად მაინც აკმაყოფილებს. აგრამ ეს მხოლოდ რეგიონის მიმდინარე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კმარა და მის პერსპექტიულ მზარდ მოთხოვნილებებს ვერც რაოდენობითა და ვერც ხარისხით ჯერჯერობით ვერ პასუხობს.

რეგიონის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა თანამედროვე ეტაპზე იძლევა მისი პერსპექტიული განვითარების იმედს. რაც შეეხება მრეწველობას, აქ საქმე გაცილებით რთულადაა. რეგიონის მრეწველობა მოიცავს: სათბობ-ენერგეტიკას, მეტალურგიას, ქიმიურსა და ხე-ტყის წარმოებებს, საშენ მასალათა, მსუბუქსა და კვების პროდუქტების წარმოებებს.

ქვემო ქართლის რეგიონში საკმაოდ მძლავრი სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალია. აქ ბევრი ელექტროსადგურია განლაგებული: ხრამი I, ხრამი II, საცხენისი, დაშაში, მაშავერაჰესი, ინწობაჰესი, დმანისჰესი, თბილსრესი – სულ 8. იგი ყველაზე მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს საქართველოს რეგიონებს შორის, თუ არ ჩავთვლით აფხაზეთს. ეს მაჩვენებელი 2056,06 მლნ. კვტ. სთ-ის (აფხაზეთში – 3209,3 მლნ. კვტ. სთ).¹ 90-იან წლებში მაშავერაჰესმა და ინწობაჰესმა შეწყვიტეს მუშაობა, მაგრამ 1999 წლისათვის ისინი ისევ მწყობრში ჩადგნენ და დღესაც იმუშავებენ შესაბამისად 1,1 და 3,46 მლნ. კვტ.სთ. ექტროენერგიას. თუ გავითვალისწინებთ ელექტროენერგიის რეგიონული მოხმარების მაჩვენებელს – 676,6 მლნ. კვტ.სთ და შევადარებთ ქვემო ქართლის მიერ წარმოებულ ელექტროენერგიის მაჩვენებელს – 2056,06 მლნ.კვტ.სთ, – ნათელი ხდება, რომ რეგიონს შეუძლია მიაღწიოს 1 სულზე მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალოევროპულ სტანდარტებს, რამეთუ აწარმოებს 3-ჯერ მეტ ენერგიას, ვიდრე მოიხმარს. გარდა ამისა, შესაძლოა ტრანსფორმირებული ელექტროენერგიის პერსპექტიული იმპორტიც (იხ. ცხრილი.3.1.3.)

მეტალურგიული და ქიმიური წარმოების ფლაგმანები არა მარტო საქართველოში და ქვემო ქართლში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში – რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური კომბინატებია. თვითონ რუსთავი ქვემო ქართლის

¹ ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიის მასალების მიხედვით.

რეგიონში უმთავრესი ქალაქია, ამიტომაც მის ადგილსა და როლს რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკაში ცალკე უნდა შევეხეთ.

ცხრილი 3.1.3. qvemo qarTlis el.sadgurebis ganlageba da simZlavre

	დადგმული სიმძლავრე		გამომუშაება მლნ.კვტ.სთ.	
	1990წ	2004წ	1990წ	2004წ
ქვემო ქართლი სულ:	1778.47	2081.72	6090.71	2056.06
ხრამი I	112.8	113.4	198.2	217.3
ხრამი II	110.0	110.0	285.3	208.1
საცხენისი	14.0	14.0	27.06	14.2
ღაშბაში	1.26	1.26	2.06	1.30
მაშავერაჰესი	—	1.00	—	1.10
ინწობაჰესი	—	1.65	—	3.46
ღმანისჰესი	0.406	0.406	—	1.00
თბილსრესი	1540	1840	5578.10	1609.6

ქ. რუსთავში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების ზოგიერთი თავისებურება ის არის, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლები აქ უფრო ინტენსიურად დაქვეითდა, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში. რუსთავში, უფრო მეტად, ვიდრე საქართველოში, შემცირდა მოსახლეობა, შექმნილი დოვლათის მოცულობა, ინვესტიციები, ბიუჯეტის ხარჯები, მოსწავლეთა რაოდენობა, შრომის ნაყოფიერება და სხვ. ამასთან, 2002 წელს სამრეწველო პროდუქცია ქ. რუსთავში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით თითქმის 3,2-ჯერ მეტი იწარმოებოდა, ვიდრე საქართველოში (მაშინ როცა 1990 წელს ეს იყო 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე საქართველოში). გრაფიკზე ნათლად ჩანს ქ. რუსთავის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა.

გრაფიკის მიხედვით ნათლად ვხედავთ ქ. რუსთავის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების მაჩვენებელთა კატასტორფულ დაცემას (90-იანი

წლები), ასევე მისი აღმავლობის ნელ ტემპებს. ამ მხრივ რუსთავშიც იგივე მდომარეობაა, რაც ქვეყნის მასშტაბით. ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც ეკონომიკური კრიზისის გახანგრძლივება და მეტად არასახერხებელო სიტუაცია, რომელიც უადრესად უაყოფითად აისახება მოსახლეობის ცხოვრებაზე.

ქ. რუსთავს წარმყვანი ადგილი უჭირავს რეგიონის ეკონომიკაში ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, პროდუქციისა და მომსახურების გამოშვებით მას 42,3%, მრეწველობის პროდუქციის გამოშვებით – 37,7%, საცალო საქონელბრუნვით – 58,4%; ეკუთვნის მაშინ, როცა მოსახლეობის მიხედვით მისი წილი რეგიონში – 21,3%-ია. აქვე უნდა აღინიშნოს ქ. რუსთავის მშენებლობის პროდუქციის ხვედრითი წონა მხარის მშენებლობის პროდუქციაში შეადგენს – 13,4%-ს. ამის მიზეზებია მშენებლობის მცირე მაშტაბები და ინვესტიციების მეტად მცირე მოცულობები. მართალია, ბოლო ორი წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი 83,1%-მდე გაიზარდა, მაგრამ ეს უფრო მეტად სხვა დარგების დაქვეითებაზე მიუთითებს, ვიდრე მრეწველობის ზრდის მაღალ ტემპებზე. კვლავაც მცირეა მომსახურების დარგების წვლილი პროდუქციის შექმნაში. (იხ. ცხრილი 3.14)

ქალაქის ეკონომიკის ეს სტრუქტურული სურათი კიდევ უფრო ამბავრებს ჩამორჩენილ დარგებისადმი ყურადღების აუცილებლობას, რაც ნათლად ადასტურებს მკვეთრ დისპროპორციებს ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დარგების განვითარებაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს უახლოეს წარსულში ისეთი მაღალგანვითარებული დარგი, როგორცაა მშენებლობა. შექმნის დღიდან 1991 წლამდე რუსთავი სწორედ სწრაფი და დინამიუ-

ცხრილი 3.1.4. ქ. რუსთავისა და ქვემო ქართლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებელთა შედარება

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	ქ. რუსთავი	ქვემო ქართლი	ქ. რუსთავის მაჩვენებლები ქვემო ქართლის მიმართ (%)
mosaxleoba	ათას. კაცი	117,2	550,0	21,3
yvela dargis produqciis mTliani gamoSveba	ათას. მლნ. ლარი	119,0	281,3	42,3
igive 1 sul mosaxleze	ლარი	1015,0	591	198,6
mrewvelobis produqcia	ათასი ლარი	87104,0	230074,6	37,7
igive 1 sul mosaxleze	ლარი	743,2	418	177,9
dasaqmeba	კაცი	13752,0	24550	56,0
sacalo vaWroba (avt. da mot. garda) *	ათასი ლარი	31022,5	53123,4	58,4
igive 1 sul mosaxleze	ლარი	265,1	96,6	274,0
mSeneblobis produqcia	ათასი ლარი	1880	14036,4	13,4
igive 1 sul mosaxleze	ლარი	16,04		
sawarmoTa raodenoba		6721 (663**)	2263 (2243**)	29,7 (29,6**)
m.S. saxelmwifo		55 (54**)	124 (122**)	44,4 (44,3**)
arasaxelmwifo		617 (509**)	2139 (2121**)	28,8()

* - მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების

** - მ.შ. მოქმედი

წყარო: რეგიონულ პრობლემათა კვლევითი ინსტიტუტის პერსპექტიული განვითარების პროგრამა და სტატისტიკა (რუსთავი) ,2004

cxrili 3.1.5. qvemo qarTlSi Seqmnili damatebuli Rirebuleba dargobriv WriTlSi mimdinare fasebsa (mln. lari)
da procentul gamoxatulebaSi 2001-2005 ww periodSi *

dargebi	qvemo qarTlis regioni								saqarTvelos erTiani maCvnebeli				mxaris maCvnebeli saqarTvelosTan %-Si			
	2001		2002		2003		2004		2001	2002	2003	2004	2001	2002	2003	2004
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%								
soflis meurneoba, metyeveoba da TevzWera	164.7	28.9	187.6	27.5	198.8	24.0	202.7	22.06	1399	1434.6	1653	1622.1	11.99	13.07	12.05	12.5
Sinameurneobebis mier gamomuSavebuli produqcia	33.6	5.9	38.7	5.7	43.6	5.3	47.8	5.2	300.9	329.6	370	399.6	11.17	11.74	11.78	11.96
mrewveloba	82.7	14.5	104.5	15.3	144.8	17.5	114.6	12.5	810.2	988.4	1145.3	1297	10.21	10.57	12.64	8.8
mSenebloba	28.8	5.0	42.8	6.3	62.4	7.5	100.8	10.96	259.7	379.6	547.4	621.4	11.09	11.28	11.39	16.2
sabiTumo da sacalo vaWroba da teqnikuri remonti	91.7	16.1	116.6	17.1	135.5	16.4	155.9	16.96	871.1	966.3	1137.4	1319.0	10.53	12.07	11.91	11.81
transporti, sasawyobo meurneoba da kavSirgabmuloba	44.8	7.9	65.7	9.6	108.8	13.1	132.8	14.45	911.6	1057.4	1187.5	1357.7	6.18	7.74	10.32	9.8
saxelmwifo marTva da Tavdacva	8.9	1.6	16.3	2.4	22.7	2.7	31.4	3.4	245.1	295.4	307.6	573.8	3.63	6.21	7.38	5.47
ganaTleba	12.6	2.2	21.0	3.1	25.0	3.0	27.6	3.0	238.3	273.5	277.8	345.9	5.29	7.68	8.99	7.98
jandacva da socialuri momsaxureba	21.9	3.8	27.3	4	30.0	3.6	22.9	2.5	320.3	348.0	346.3	338.9	6.84	7.84	8.66	6.76
momsaxurebis sxva saxeebi	80.5	14.1	62.4	9.1	56.3	6.8	82.4	8.97	106+8.4	1129.2	1202.4	1259.9	7.53	5.53	4.68	6.5
sul damat.Rirebuleba	570.1	100	682.9	100	827.9	100	918.9	100	6238	6960.7	8041.9	9135.3	9.18	9.81	10.3	10.06

*wyaro: 1. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 1996-2004, თბილისი, 2004წ

cxrili 3.1.5. samSeneblo dargis ZiriTadi maCveneblebi qvemo qarTlis regionSi 20000-2004ww*

	saqarTvelo sul				qvemo qarTlis mxare				2004 w. mxaris maCveneblebi saqarTvelosTan %-Si
	2001	2002	2003	2004	2001	2002	2003	2004	
samSeneblo organizaciebis raodenoba m.S.: saxelmwifo arasaxelmwifo	628 110 518	635 93 542	648 91 557	684 87 597	49 7 41	51 5 46	55 7 48	61 8 53	8.9 9.2 8.88
samSeneblo organizaciebis mier Sesrulebuli saijaro samuSaoTa moculoba m.S.: saxelmwifo arasaxelmwifo	237143 34328 202815	322229 44308 277921	297890 41381 256509	383659 30872 352787	9265 1341 7924	12597 1750 10847	15277 2230 13047	16433 1282 15151	4.3 4.2 4.3
mSeneblobaze gacemuli nebarTvebi m.S. Senobebi: sacxovrebeli arasacxovrebeli	723 284 439	956 378 578	1154 529 625	1012 401 611	46 14 32	119 60 59	190 85 105	213 105 108	21.05 26.18 17.67
damTavrebuli obieqtების ZiriTadi maCveneblebi: raodenoba Rirebuleba (aTasi lari) farTobi (kv.m.)	401 1816.1 108447	475 75153.2 280341	515 68170.4 367599	325 37179 134139	11 11758 2799	25 1157.2 2292	54 4208.5 86894	32 1231.3 9990.0	9.8 3.3 7.4
individualური sacxovrebelი saxlebis moqmedebaSi gadacema: saerTo farTobi (kv.m.) binebis raodenoba (erTeuli)	139.3 693	203.4 896	189.1 1066	138.9 715	1.1 5	.6 1	1.0 4	.6 4	.4 .6

*wyaro: საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2005, თბილისი,2005; გვ.226-234

cxrili 3.1.6. transportisa da kavSirgabmulobis ZiriTadi maCveneblebi
qvemo qarTlis regionSi 2001-2005ww*

	saqarTvelo				qvemo qarTli				2004w 2001w-Tan SedarebiT %-Si	
	2001	2002	2003	2004	2001	2002	2003	2004	saqarTvelo	qvemo qarTli
tvirTis gadatana saerTo sargeblobis transportis mixedviT:	5077.3	5768.7	6194.7	5502					108.4	
sarkinigzo	4480.6	5074.5	5538.7	4855.8					108.4	
saavtomobilo	520	543	562	570					109.6	
sazRvao	74	148.3	91.5	73.1					98.7	
sahaero	2.7	2.9	2.7	3.7					137.04	
mgzavrTa gadayvana transportis calkeuli saxeobebis mixedviT:	364.5	373.8	377.6	381.5					104.7	
rkinigza	2.1	2.1	2.2	3.0					142.9	
avtobusi	240.5	249.5	257.0	260.0					108.1	
troleibusi	15.7	20.5	16.8	17.5					111.5	
sahaero	0.1	0.1	0.2	0.2					200.0	
saavtomobilo parki	319.6	323.6	325.0	328.0					102.6	
m.S.: satvirTo (pikapebis CaTvliT)	47.0	45.5	42.9	40.9					87.0	
avtobusi da mikroavtobusi	22.7	24.1	25.7	24.2					106.6	
specialuri	2.1	2.0	1.2	1.2					52.4	
msubuqi	247.8	252.0	255.2	259.3					104.6	
kavSirgabmulobis ZiriTadi maCveneblebi:										
satelefono sadgurebis raodenoba	409	405	396	389					95.1	
satelefono qselSi CarTuli abonentebi	582.3	584.0	588.3	596.0					102.3	
fiWuri kavSiris abonentebi	284.0	412.8	560.8	800.4					281.8	

*წყარო: ა) საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2005, თბილისი, 2005 წელი;
 ბ) 2004 წლის მანგებელი ამოღებულია; "საქართველოს ეროვნული ანგარიშები, 1996-2004"-დან, თბ. 2005;
 გ) ქვემო ქართლის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებიდან;
 დ) <http://www.statistics.ge>

cxrili3.1.7. qvemo qarTlis regionis mrewvelobisa da soflis meurneobis maCveneblebi 2000-2004ww *

	saqarTvelo					qvemo qarTli					mxaris maCveneblebi %-Si				
	2000	2001	2002	2003	2004	2000	2001	2002	2003	2004	2000	2001	2002	2003	2004
mrewvelobis ZiriTadi maCveneblebi:															
sawarmoTa raodenoba	3328	3233	3198	3049	3433	231	210	208	208	220	6.9	6.5	6.5	6.8	6.4
dasaqmebulTa saS. wliuri raoden	102.4	90.4	84.5	82.0	85.4	15.5	13.8	12.8	12.6	12.2	15.1	15.3	15.15	15.4	14.3
warmoebuli samrewvelo produqcia moqmed fasebSi(mln.lari)	1132.4	1154.8	1308.4	1549.9	1754.2	259	272	256.2	295.4	359.0	22.87	23.6	19.6	19.1	20.5
sof. meurneobis Zir. maCveneblebi:															
<u>memcenareobis produqcia(mln.lari).</u>	744.8	912.6	952.0	1131.6	1037.1										
marcvl. da park.-ni kulturebi(aT.t.)	420.5	713.6	672.2	754.1	779.3	36.1	92.0	95.2	103.3	85.9	8.6	12.9	14.2	13.7	11.0
kartofili(aT.t.)	302.0	422.2	415.3	425.2	419.5	126	144.5	141.9	121.6	151.0	42.0	34.2	34.2	28.6	35.9
bostneuli(aT.t.)	354.2	396.0	405.6	430.1	400.5	90.0	150.3	157.1	128.9	109.1	25.4	37.9	38.7	29.9	27.2
xili(aT.t.)	250.0	200.0	172.6	260.0	160.2	8.0	6.4	1.4	8.0	4.9	3.2	3.2	.8	3.1	3.1
yurZeni(aT.t.)	210.0	150.0	90.0	200	180	14.7	10.5	2.0	12.8	9.6	7.0	7.0	2.2	6.4	5.3
<u>mexoveleobis produqcia(mln.lari)</u>	792.8	889.7	975.6	1023.1	1057.1										
msxvilf.-rqosani pirutyvis suladoba															
furis suladoba (aT. sul)	1177.4	1180.2	1216	1242.6	1250.7	129.5	144.5	150.8	149.0	177.2	10.9	12.3	12.4	12.0	14.2
Roris suladoba (aT. sul)	646.3	678.3	704.8	728	735.6	81.1	86.6	95.7	95.8	113.8	12.5	12.8	13.6	13.2	15.5
cxvrisa da Txis suladoba (aT.suli)	443.4	445.3	446.1	473.8	483.9	21.3	24.4	23.7	24.9	25.7	4.8	5.5	5.3	5.3	5.3
xorcis warmoeba (aT.t.)	627.6	659.2	699.5	722.2	804.9	129.7	155.5	156.9	157.4	228.5	20.7	23.6	22.4	21.8	28.4
rZis warmoeba (aT.t.)	107.9	102.4	106.9	108.9	109.2	14.0	11.9	12.6	12.8	15.1	12.97	11.6	11.8	11.8	13.8
kvercxis warmoeba (aT.t.)	618.9	710.0	742.1	765.1	780.4	80.1	97.5	105.7	106.8	131.5	12.9	13.7	14.2	14.0	16.9
	361.4	395.4	408.8	458.2	496.6	44.1	53.2	55.7	67.3	133.7	12.2	13.5	13.6	14.7	26.9

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

*წყარო: “საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2005”-ს მონაცემების მიხედვით; თბ.,2005 წელი, გვ.203-219

რი აღმშენებლობის მაგალითს წარმოადგენდა – 1944 წლიდან მოყოლებული, რუსთავში საწარმოო გიგანტებთან ერთად ქალაქის ინფრასტრუქტურაც იქმნებოდა მთელი თავისი სირთულითა და მრავალფეროვნებით: საცხოვრებელი სახლები და მუნიციპალური მართვის შენობები, საავადმყოფოები და სკოლები, მაღაზიები და ბაზრები, გზები და კომუნიკაციები, ბანკები და სტადიონები, ა.შ. საინტერესოა, რომ ამ მშენებლობათა “ლომის წილს” თვით საწარმო-გიგანტები აფინანსებდნენ, ამიტომ ბუნებრივია, სტრუქტურული კრიზისი დაწყებისთანავე შეესო მშენებლობას და თითქმის გაანადგურა იგი. 1991-1998წწ პერიოდში მიმდინარეობდა მხოლოდ პრივატიზებული და კერძო ობიექტების მშენებლობა და რემონტი, ხოლო რაც ეხება ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას, იგი ამ პერიოდში ძალზე მცირე იყო. დღეს მდგომარეობა შემდეგია: სამშენებლო ორგანიზაციების რაოდენობა მატულობს (ძირითადად არასახელმწიფო ორგანიზაციების მატების ხარჯზე) და მათ მიერ შესრულებული სამუშაოთა რაოდენობა ქვეყნის მაჩვენებლის თითქმის 10%-ს შეადგენს, 2004 წელს დამთავრებული ობიექტების საერთო ღირებულება შეადგენს 9 990 ათას ლარს, რაც ქვეყნის ანალოგიური მაჩვენებლის 7.5%-ია. მართალია, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მოქმედებაში გადაცემა როგორც ფართით (138.9ათ.კვ.მ.), ისევე ბინების რაოდენობით (715), არადაამაკმაყოფილებელია (ცხრილი 3.1.5).

ქვემო ქართლის რეგიონის საწარმოო მაჩვენებლები, მათი განვითარება და სტრუქტურა ნათლად ჩანს რუსთავის მაგალითზე, ვინაიდან იგი ყოველთვის იყო, და ახლაც რჩება, რეგიონისა და ქვეყნის მრეწველობის ფლაგმანად. მაგრამ არის ბევრი სხვა სფერო, მატერიალური და არასაწარმოო დარგები, რომლებიც რეგიონის ეკონომიკაში არანაკლებ როლს ასრულებენ.

ეკონომიკური დაქვეითების შედეგად ქვემო ქართლში მკვეთრად დაეცა სოციალური ცხოვრების მაჩვენებლები, შეიზღუდა სოციალური სფეროს დარგების (არასაწარმოო ინფრასტრუქტურის) საქმიანობა. ძალზე მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის რიცხოვნობა სამუშაო ადგილების შემცირებისა და შემოსავლების უქონლობის გამო გამოწვეული ემიგრაციის შედეგად (ეს რეგიონისათვის ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მძიმე შედეგია).

ქვემო ქართლის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების მაჩვენებლები 90-იანი წლების პირველ ნახევარში მკვეთრად გაუარესდა. მოსახლეობის კლებას ემიგრაციის გამო ემატება რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი კლება (ანუ შობადობის შემცირება და სიკვდილიანობის ზრდა). ყოველ ათას კაცზე ქვემო

ქართლის დაბადებულთა რიცხოვნობა 7,8 შეადგენს (საქართველოში ეს მაჩვენებელია – 9,1; ზოგადად განვითარებულ ქვეყნებში – 15; განვითარებადებში კი – 30-დან 50-მდე). რაც შეეხება 1000 კაცზე გარდაცვლილთა რიცხოვნობას, იგი დღეს 6,4 და ეს ყველაზე კარგი მაჩვენებელია საქართველოს ყველა რეგიონთან, დიდი „შიდეულისა“ და საშუალოევროპულ მაჩვენებლებთან შედარებით (განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელია – 14-დან 27 კაცამდე, იაპონიაში – 8, გერმანიასა და ინგლისში – 14 და ა.შ.). საერთო ვარდნის ფონზე, ცხადია, ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების მიხედვით არა მარტო ქვემო ქართლის რეგიონის, არამედ მთელი საქართველოს მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს. საქართველოში ეს მაჩვენებელი უდრის მშპ მიმართ 2%-ს, მაშინ როცა აშშ-ში – 14,2%-ს, გერმანიაში – 10,4%-ს, შვეიცარიაში – 10%-ს, ნორვეგიაში – 8%-ს, ბანგლადეშში –

2,4%-ს, კენიაში – 2,5%-ს, გვატემალაში – 2,7%-ს, ეგვიპტეში – 3,75% და ა.შ., ხოლო ქვემო ქართლის ჯანდაცვაზე კი იმდენიც კი არ გამოიყოფა, რომ მოსახლეობის სრული ვაქცინაციისათვის მაინც იყოს საკმარისი. საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან არა თუ ჯანდაცვისათვის, არამედ ყველა დანარჩენი მიზნებისათვის

ერთობლივად გადმორიცხული ტრანსფერების ოდენობა საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე დაბალია – 1005000 ლარი (56,2%), მაშინ როდესაც თბილისის შესაბამისი მაჩვენებელი 98%, კახეთისა – 74%, შიდა ქართლისა – 73%, გურიისა – 79%, სამცხე-ჯავახეთისა – 82%, რაჭა-ლეჩხუმისა – 79,1% და ა.შ.²¹

მიუხედავად ცენტრალური ბიუჯეტიდან მწირი დაფინანსებისა და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების დაფინანსების მძიმე მდგომარეობისა (ერთ სულ მოსახლეზე ფაქტიურად გამოყოფილი თანხა ქვემო ქართლში შეადგენს 1 ლარს, მაშინ როცა რაჭა-ლეჩხუმში – 1,9; გურიაში – 1,5; აჭარაში – 8,6; თბილისში – 2,4; სამეგრელოში – 1,5 და ა.შ.²²), რეგიონის ჯანდაცვა კრიტიკულ ზღვარს მაინც არ გადასულა. ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლით, როგორცაა „საწოლების გამოყენება“, იგი პირველ ხუთეულშია საქართველოში

²¹ საქართველოს სტატისტიკური დეპარტამენტის მასალების მიხედვით.

²² საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტატისტიკური ცნობარი, თბილისი, 2004, გვ. 44.

(თბილისის, აჭარის, სამეგრელოსა და იმერეთის შემდეგ²³). ხოლო რაც შეეხება ერთ სულზე ექიმების რიცხოვნობის მაჩვენებელს, რომელიც ბოლო წლებში სტაბილურად იმატებს, იგი ვერ მიუახლოვდა 1990 წლის მაჩვენებელს (57,4). საშუალო სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის მაჩვენებელი კი რეგიონში ძალზე დაბალია (საქართველოს რეგიონებს შორის მინიმალური).

როგორც ანალიზიდან ჩანს, ჯანდაცვის სფეროსა და დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით, ქვემო ქართლი ჯერ კიდევ შორსაა განვითარებული ქვეყნების დონის მიღწევისაგან. გარდამავალ პერიოდში აუცილებლად უნდა გაძლიერდეს კერძო სექტორის როლიც, მაგრამ სოციალური განვითარების ეს სფერო მაინც სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა რჩებოდეს.

90-იან წლებში საქართველოს ახალ თვისებრიობაში – საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის სიძნელეებმა, ამ პერიოდში დაშვებულმა შეცდომებმა ძალზე ღრმა ნეგატიური დადი დაასვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსა და მათ შორის, ცხადია, განათლებასაც.

რეგიონში სკოლამდელი დაწესებულებებისა და მათში აღსაზრდელების რაოდენობა შესაბამისად 47% და 64%-ით შემცირდა (1990 წელთან შედარებით); ხოლო ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებისა და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა.

კი – 94,1% და 80,4%-ით.²⁴ მაგრამ რიცხოვნობის კატასტროფული დაცემის გარდა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ დარჩენილი შენობა-ნაგებობათა, ინვენტარისა და სხვ

უმეტესი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობა უკიდურესად არადაამაკმაყოფილებელია. იგი სრულიად ვერ პასუხობს ნორმატიულ მოთხოვნებს, ამიტომ აუარესებს აღსაზრდელების სასწავლო-აღმზრდელობითსა და საყოფაცხოვრებო პირობებს.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მოსახლეობის განათლების დონე უშუალო გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი განსაზღვრავს კიდევ მას. მაგრამ განათლების მაღალი დონე ქვემო ქართლში ეფექტიანად ვერ არის გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობას ფაქტობრივად განათლებისა და კვალიფიკაციის მაღალი დონე გააჩნია, მაღალია უმუშევრობის დონეც (52%). ეს, რაღა თქმა უნდა,

²³ საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოც. დაცვის სამინისტროს სტატისტიკური ცნობარი, თბილისი, 2004, გვ. 18.

¹

საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2005, თბ., 2005 წელი,

განპირობებულია სტრუქტურული ცვლილებებით მთელს ეკონომიკაში, რომელშიაც უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემად ჩამოყალიბდა. ჩვენი აზრით, აუცილებელია, დამუშავდეს მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც რეგიონებისა და დარგების მიხედვით იქნება განსაზღვრული ამ მხრივ განსახორციელებელი ღონისძიებებიც, მათი დაფინანსების წყაროც, პასუხისმგებელი შემსრულებლებიცა და შესრულების ვადებიც.

ეკონომიკურსა და სოციალურ სფეროებში ღრმა გარდაქმნები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი – საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებაა, დაკავშირებულია საკუთრებით ურთიერთობათა ტრანსფორმაციასთან, ე.ი. სახელმწიფო საკუთრების გაბატონებული მდგომარეობიდან კერძო საკუთრების დომინირებად მდგომარეობაზე გადასვლასთან. კერძო საკუთრების ხვედრითი წონა და როლი პროდუქციის წარმოებასა და დასაქმებაში მკვეთრად შეიცვალა. ქვემო ქართლის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 399200 ჰა-დან 67500 ჰა კერძო საკუთრებაშია გადაცემული, 210700 ჰა – იჯარითაა გაცემული, ხოლო გაუცემელია 121000 ჰა.

1995-1999 წწ განხორციელებული საწარმოთა პრივატიზაციის შედეგად დღეს ქვემო ქართლში სამრეწველო საწარმოთა რაოდენობა გაიზარდა 3-ჯერ (მაგალითისათვის: საქართველოში ეს მაჩვენებელი 54%-ის ტოლია). მაგრამ ვინაიდან პირობები ყველა რეგიონში განსხვავებულია, ამიტომ საწარმოთა პრივატიზაციის შედეგების უფრო ნათელ სურათს 1 სულზე წარმოებული პროდუქცია შეგვიქმნის: ქვემო ქართლში, რომლის საწარმოთა ხვედრითი წილი ქვეყნის საწარმოთა რაოდენობაში 6,2%- შეადგენდა, საქართველოში წარმოებული პროდუქციის 20,1% მოგვცა (კახეთში შესაბამისი მაჩვენებელი 1,7%-ია, სამცხე-ჯავახეთში –0,9%, გურიაში – 1,1% და ა.შ.)

სახელმწიფო სექტორზე უკეთესად, როგორც ჩანს, კერძომ იმუშავა: მან უკეთ გამოავლინა და გამოიყენა რეგიონში საწარმოთა დიდი კონცენტრაციის შედეგად შექმნილი მაღალი კვალიფიკაცია, მაღალი შრომითი პოტენციალი.

განსაკუთრებით ნათლად ჩანს პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობა ქ. რუსთავის საწარმოთა პრივატიზაციის მაგალითზე (ცხრილი 3.1.8). როგორც ვხედავთ, 1993-1995 წწ-ში პრივატიზაცია უფრო მზარდი ტემპით ჩატარდა, ხოლო 2000 წლისათვის კი პროცესი შენედა, რაც გამოწვეული იყო საპრივატიზაციო ობიექტების რაოდენობის შემცირებით. მაგრამ თვითონ პრივატიზაცია, პოზიტიურ თან ერთად ბევრი ნეგატიური შედეგის მომტანიც გახდა, რაც არა

**ცხრილი 3.1.8. ქვემო ქართლში 1993-2003წწ ჩატარებული პრივატიზაციის
შედეგები დარგების მიხედვით**

	1993 w.	1995 w.	2000 w.	2003 w.	sul 1993- 2003ww-Si
mrewveloba	1	5	1	–	9
mSenebloba	1	–	4	–	8
vaWroba	29	88	4	–	197
transporti	–	–	4	2	31
sxva dargebi	15	28	18	11	160
sul	46	121	31	13	405

ობიექტური, პრივატიზაციისათვის დამახასიათებელი თვისებებით, არამედ –სუბიექტური ფაქტორებით უფრო აიხსნება: მოუმზადებელი საკანონმდებლო ბაზა, კორუმპირებულთა ინტერესები, საპრივატიზაციო ობიექტების დაბალ ფასებში გაყიდვა (ნაწილობრივ – მოსახლეობის დანაზოგების სიმცირის გამო) პრივატიზაციის ზედმეტად დაჩქარებული ტემპი და ა.შ.

იგივე რუსთავეში 329 ობიექტის პრივატიზაციიდან შემოსული საერთო თანხა 1995-2002 წწ 1.428.950 დოლარს შეადგენს, ხოლო 1 ობიექტის რეალიზაციის ფასი საშუალოდ 4.343 დოლარი იყო. ეს, ცხადია, ძალზე პატარა თანხაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმოების კრედიტორული დავალიანებანი, ძირითადად 1995 წლის შემდეგაა წარმოქმნილი, ანუ ვალების გამო მათი საბაზრო ფასი არ შემცირებულა. ამასთან რეფორმისა და პრივატიზაციის შედეგად იგივე რუსთავეის სამრეწველო საწარმოებიდან ძალზე ბევრი უმოქმედოდაა დარჩენილი. მოქმენი კი – მინიმალური დატვირთვით მუშაობენ.

ეკონომიკის რეფორმირება გარდამავალ პერიოდში მეტად რთული პროცესია, რომელიც არა მარტო საწარმოო, არამედ არასაწარმოო დარგებსაც ეხება და ცვლის მათ თანაფარდობას. ცნობილია, რომ მსოფლიოში ე.წ. „მესამეული“ სფერო ანუ მომსახურების სფერო, დღეს „პირველადს“ ანუ საწარმოო სფეროს, უსწრებს თავისი მაჩვენებლებით. „მესამეული“ სფეროს როლის შეცვლა სახალხო მეურნეობაში ქვემო ქართლის ინფრასტრუქტურის

ჩამოყალიბების დღევანდელ მაჩვენებლებშიც ძალიან ნათლადაა გამოკვეთილი. ყველაზე დიდი რაოდენობით ვაჭრობის ობიექტებია პრივატიზებული (ობიექტების 48,6%), ტრანსპორტზე 7,7% მოდის, მშენებლობაზე – 3%, ხოლო მრეწველობაზე კი – მხოლოდ 2,2%.

ზოგადად კი, პრივატიზაციის შედეგები შემდეგია: 2002-2003 წლების მდგომარეობით საწარმოების 92,0% არასახელმწიფოა, ხოლო სახელმწიფო კი – მხოლოდ საწარმოთა 8%. არასახელმწიფო საწარმოების 91% მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმაა, მსხვილი საწარმოები – მხოლოდ 9%-ია.

პრივატიზაციის შედეგად ძირეულად შეიცვალა ისეთი დარგების ფუნქციონირება, როგორებიცაა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. დღეს სატრანსპორტო დარგის სტრუქტურული შედგენილობა მნიშვნელოვნად განსხვავდება რეფორმამდელისგან: ჩვეული საქალაქო თუ საქალაქთაშორისო მუნიციპალური ტრანსპორტი კერძომ ჩაანაცვლა, სარკინიგზო ტრანსპორტის რაოდენობამ იკლო გადაზიდვების კლების პროპორციულად, სატროლეიბუსო და საავტობუსო პარკები 1991 წლის მაჩვენებლის 5%-ს შეადგენს, სამაგიეროდ სამარშრუტო ტაქსების, მიკროავტობუსებისა და მსუბუქი სატვირთოების (პიკაპების) რიცხვმა თითქმის 3-ჯერ იმატა, მგზავრთა გადაყვანამ რეფორმამდელი მაჩვენებლის 71% შეადგინა.* სულ სხვა მდგომარეობაა კავშირგაბმულობის დარგში: სატელეფონო სადგურებმა 2000-2005წწ პერიოდში იმატა, ისინი ტექნიკურად და ტექნოლოგიურად მოდიფიცირდა, მატულობს სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების რიცხვი, მაგრამ სულ უფრო მატულობს ფიჭური კავშირის აბონენტთა (მატება თითქმის 300%-ს უდრის) და საერთაშორისო ქსელის (ინტერნეტი) მომხმარებელთა სიაც (ცხრილი 3.1.6).*

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ეკონომიკური გარდაქმნები რეგიონში ქაოსურად, წინასწარი პროგრამების გარეშე წარიმართა. სახელმწიფომ იხელმძღვანელა ლიბერალიზაციის დოქტრინით და იმედოვნებდა, რომ ბაზარი ყველაფერს თავისით მოაგვარებდა. ეს პრინციპი კი საკმაოდ მოძველებული აღმოჩნდა, იგი ახალგაზრდა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა მხოლოდ. როგორც ჩანს, საჭიროა დავეყრდნოთ პროგრამულ-მიზნობრივ მიდგომას. მაშინ ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები მიზანმიმართულად და სწრაფი ტემპით დაიწყებს გაუმჯობესებას.

ამ მხრივ გარკვეული ძვრები უკვე ახლაც შეიმჩნევა.

3.2. ქვემო ქართლის ეკონომიკის სტრუქტურული ძვრები გარდამავალ პერიოდში

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში აღმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის კურსის რეალიზაცია რთული სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციების პროცესების ერთობლიობად წარმოგვიდგება. მისი მიზანია ეკონომიკური ფუნქციონირების ეფექტიანობის გადიდება, ეკონომიკური სუბიექტების სამეწარმეო თავისუფლებისა და აქტიურობის უზრუნველყოფა, რამაც, საბოლოო ანგარიშით, უნდა მიგვიყვანოს ხალხის კეთილდღეობის გადიდებად და საზოგადოებაში „ახალ მდიდრებსა“ და „ახალ ღარიბებს“ შორის უზარმაზარი სხვაობების აღმოფხვრამდე.

ამ მიზნების განხორციელება დაკავშირებულია ღრმა გარდაქმნებთან ეკონომიკურსა და სოციალურ სფეროებში, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია საბაზრო სისტემის საფუძვლების ჩამოყალიბება – საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია, საბანკო-საფინანსო, საგადასახადი-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო სისტემის გარდაქმნა, ანტიინფლაციური და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელება, ახალი სტრუქტურული და საინოვაციო პოლიტიკა, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმირება, თვისებრივად ახლებურ საფუძველზე განხორციელებული სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება ახალ საკანონმდებლო საფუძველზე.

საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესი, ისევე როგორც მთლიანად ჩვენი ეკონომიკის რეფორმირების ღონისძიებებში, ქვემო ქართლშიც განმსაზღვრელ ადგილს იკავებს. იგი ძირითადად 1993 წელს დაიწყო და ემყარებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წელს მიღებულ კანონს „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმეფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის მიერ 1992 წელს შემუშავებულ და დამტკიცებულ „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამას“.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციამ ხელი შეუწყო თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას. გარდა იმისა, რომ მოხდა არსებულ საწარმოთა პრივატიზაცია, მათ ბაზაზე ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები – სააქციო საზოგადოებები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს), ინდივიდუალური და ჯგუფური მფლობელობის საწარმოები ჩამოყალიბდა.

გაფართოვდა მეწარმეობის სფეროც. კერძოდ, 1992-2003 წლებში მრეწველობაში ახლად შექმნა 82 საწარმო, მათ შორისაა ისეთი მსხვილი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმო, როგორცაა „ყაზბეგი“, სააქციო საზოგადოებისა და შპს სახით ჩამოყალიბდნენ ისეთი მსხვილი ობიექტები, როგორც „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“, „რუსთავცემენტი“, „აზოტი“, „კოდა“, „კასტელი“, „სს რელასი“, „კაზრეთი“, „ეპასი“, „კავკასიან პეტ კომპანი“ და სხვ.

რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მომენტი ის არის, რომ ქვემო ქართლში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, ძირითადად ამოქმედდა ფასწარმოქმნის საბაზრო მექანიზმი, რაც საგეგმო ფასების თავისუფალი ფასებით შეცვლამ და ფასების ლიბერალიზაციამ განაპირობა. ამასთან, სათანადო პოლიტიკის მეშვეობით, ძირითადად, მიღწეულია სამომხმარებლო პროდუქტებისა და წარმოების საშუალებათა ფასების სტაბილურობა.

საბანკო და ფულად-საკრედიტო სისტემის რეფორმის საფუძველზე, რომელიც ქვეყანაში განხორციელდა, რეგიონში ფუნქციონირება დაიწყო ისეთმა კომერციულმა ბანკებმა, როგორებიცაა: „თიბისი“, „გაერთიანებული ქართული ბანკი“, „სახალხო ბანკი“, „ინტელექტბანკი“, „პროკრედიტბანკი“, კომ. ბანკი „ქართუ“. ამის შედეგად საგრძნობლად (მაგრამ არასაკმარისად) მოწესრიგდა კრედიტის სფერო. მოსახლეობის დაკრედიტების საკმაოდ მოქნილმა სისტემამ ხელმისაწვდომი გახადა მოკლე- და საშუალოვადიანი სესხების როგორც საგირავნო, ისე უგირავნო ფორმები. ბანკი აწესრიგებს, ასევე ბიზნეს-სესხების გაცემასაც, რაც ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. არც ისე მაღალი ($\approx 16\%$ წლიური) საპროცენტო განაკვეთი, გასტუმრების შეღვათიანი ვადები (1 წლიდან 3-5 წლამდე) შესაძლებელს ხდის მცირე ბიზნესის არსებობასა და განვითარებას.

აღსანიშნავია, აგრეთვე, სიახლე ქართულ საკრედიტო ბაზარზე – სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულებების („ფინკა-საქართველო“, „კონსტანტა“ და სხვ.) წარმოქმნა და აქტიური ჩართვა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ბიზნესის დაკრედიტების საქმეში. ამის შედეგად მოხდა დიდი რაოდენობით ახალი საწარმოების შექმნა. მხოლოდ რუსთავში, ახალი საწარმოების რიცხვმა შეადგინა მრეწველობაში – 70, მშენებლობაში – 11, ვაჭრობაში – 360, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 34.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოთა უდიდესი ნაწილი მაინც მცირე ბიზნესს მიეკუთვნება, არის მსხვილი საწარმოებიც. მაგრამ ამ პროცესის

გაღრმავება ფერხდება არახელსაყრელი სამეწარმეო პირობებით: ინვესტიციების ნაკლებობით, ბაზარზე მოთხოვნის შეზღუდვით მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარის გამო, რეგიონული საგარეო-ეკონომიკური კავშირების სიმცირითა და ა.შ.

რეფორმების დაწყებისას დომინირებდა აზრი, რომ მოსახლეობაში თავისუფალი მეწარმეობის განვითარების შედეგად დაგროვილი თანხები ადგილობრივი ბიზნესის გაფართოვებას მოხმარდებოდა, ანუ ადგილობრივი ინვესტიციების წყაროდ იქცეოდა. მაგრამ ეს ასე არ მომხდარა: ადგილობრივი საწარმოების უმრავლესობა შესყიდულ იქნა „კაპიკებად“ (ალბათ მათი შემდგომი სარფიანი გაყიდვის, ან „ჯართად“ გატანის, ანდა საბიუჯეტო დოტაციებისა ან ინვესტიციების მოლოდინში) და ის მცირედი მოგება, რომელიც მათი არასრული დატვირთვის შედეგად იქმნება, ძირითადად საზღვარგარეთ გადის. ხოლო თვითონ საწარმოები მეტად მცირე მასშტაბითაა აღდგენილი, ძალზე ბევრი მათგანი კი დაშლილია ან ლიკვიდირებული. რეფორმების შემდგომი მონაცემები ზოგიერთი პრივატიზებული საწარმოს მაგალითზე შეიძლება ვიხილოთ:

ცხრილი 3.2.1. ძირითადი საწარმოების მაჩვენებლები რეფორმამდე და მის შემდეგ*

sawarmosa da produqciis dasaxeleba (zomis erT.)		produqciis gamoSvebis maqsimumi		momuSaveTa raodenobis maqsimumi	
		reformamde	reformis Semdeg	reformamde	reformis Semdeg
s.s."perliti"	პერლიტი (ათ. კვ.მ.)	100(1988)	144(1999)	250	65
s.s. "rusTavcementi"	ცემენტი (ათ.ტ.)	865(1988)	310(2004)	690	358
xis damamuSavebeli kombinati	კარისა და ფანჯრის ბლოკები (ათ.კვ.მ.)	103(1988)	22.4(2004)	339	40
s.s." xalibi"	თუჯის სხმულები (ათ.ტ)	33(1988)	4.1(2004)	1138	120
s.s."tami"	ამწვე მექანიზმები (კალი)	661(1988)	1.0(2004)	81	178

მაგრამ 2003 წლიდან საწარმოთა განვითარებაში მოხდა გარკვეული ძვრები. ჯერ ერთი, შემუშავებულ იქნა რეგიონის განვითარების პერსპექტიული გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ რეგიონის ეკონომიკის წამყვანი დარგი მრეწველობაა და მისი აღორძინების ტემპი წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად დაჩქარდება. განსაკუთრებითაა ხაზგასმული მსხვილი საწარმოების გამოცოცხლებისა და რესტრუქტურისაციის, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური

გადაიარაღების, მომუშავე საწარმოთა გაფართოებისა და სტაბილური საკმიანობისათვის პირობების შექმნის აუცილებელობა (ცხრილი 3.2.2.).

რეგიონში სკოლამდელი დაწესებულებებისა და მათში აღსაზრდელების რაოდენობა შესაბამისად 47% და 64%-ით შემცირდა (1990 წელთან შედარებით); ხოლო ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებისა და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა კი – 94,1% და 80,4%-ით.²⁵ მაგრამ რიცხოვნობის

cxrili 3.2.2. samewarneo saqmianoba qvemo qarTlis regionSi 2002-2005ww*

	qvemo qarTlis regioni			saqarTvelo			mxaris maCv.-li saqarTvelosTan %-Si		
	2002	2003	2004	2002	2003	2004	2002	2003	2004
gamokvleuli sawarmoebis raodenoba	2026	2085	2097	25709	26871	27338	7.9	7.8	7.7
brunvis moculoba, mln. lari	335.8	420.7	522.2	4595.6	5523.0	7248.4	7.3	7.6	7.2
gamoSvebuli produqciis moculoba	303.5	362.6	454.7	3058.1	3492.6	4374.8	9.9	10.4	10.4
damatebuli Rirebulebis moculoba	124.6	151.2	169.0	1375.1	1773.3	2238.6	9.1	8.5	7.5
Sualeduri moxmarebis moculoba	178.8	211.4	285.7	1682.9	1719.3	2136.2	10.6	12.3	13.4

კატასტროფული დაცემის გარდა მნიშვნელოვანია ისიც, რომ დარჩენილი შენობა-ნაგებობათარკვეულწილად, ეს პროცესი დაწყებულია. რეგიონის მსხვილი საწარმოები დღეს „დაგროვილი დავალიანებებისაგან სუფთავდებიან“, ანუ ხდება მათი ვალების რესტრუქტურზაცია. ცხადია, თუ ვალების რაოდენობა შემცირდა, ობიექტის შესყიდვის, ან მასში ინვესტიციების ჩადების მეტი მსურველიც გამოჩნდება, რაც გამოიწვევს დარგის გამოცოცხლებას მოსახლეობის დასაქმების საგრძნობ ზრდასა სამომხმარებლო ბაზარზე, გადახდისუნარიანი მოთხოვნის გაფართოებას.

უცხოური კაპიტალის გაზრდილი მოცულობით მოზიდვა, რაც დღეისათვის დაწყებულ პროცესად ინდა ჩაითვალოს, წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკის აღორძინების მნიშვნელოვან გარანტიას. უცხოური ინვესტიციები

* წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2005, თბილისი, 2005 წელი; გვ.177-179

²⁵ განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში, სტატისტიკური კრებული, თბ., 2003

განხორციელებულია დღეს ისეთ საწარმოებში, როგორებიცაა რმკ, „აზოტი“, „კასტელი“, „კავკასიან პეტ კომპანი“, „მადნეული“ და მრავალი სხვა. ვინაიდან

დღეს მთელს ქვეყანაში ხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სპეციალური, განსაკუთრებით ფინანსური და ორგანიზაციული ღონისძიებები, საკმარისი საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ქვემო ქართლის რეგიონში საექსპორტო პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდებაა მოსალოდნელი, რაც გამოიწვევს ქვეყანაში ვალუტის მოდინებასა და რეგიონის საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებას.

აუცილებელია, შევეხოთ ისეთ რეალობას, როგორიცაა ჩრდილოვანი სექტორი. ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შემცირებული გადასახადები და კორუფციასთან ძალზე ეფექტიანი ბრძოლა მნიშვნელოვნად შეამცირებს ეკონომიკის ამ სექტორს. „ჩრდილიდან მზეზე“ გამოვა ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ფუნქციონირების პარამეტრები, რაც საშუალებას მოგვცემს რეგიონის ეკონომიკისა და მისი ცალკეული დარგების ფუნქციონირების შედეგების (პროდუქცია და მომსახურება) სრულად წარმოდგენისათვის. ეს უთუოდ საჭირო ინფორმაციად შეიძლება ჩაითვალოს. ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩათვლით მთლიანი რეგიონული პროდუქტისა (მრპ) და ცალკეული დარგების პროდუქციის გაანგარიშებისას ნავარაუდევია დაუკვირვებელი სექტორის წილის საგრძნობი შემცირება. განვიხილოთ, მაგალითისათვის, ქ. რუსთავში პროდუქციისა და მომსახურების გამოშვების მთლიანი მოცულობა ეკონომიკის დაკვირვებადსა და დაუკვირვებად სექტორებში (გაანგარიშების სიზუსტის პრეტენზია ამ ცხრილის შემადგენლებს არ აქვთ). ქალაქში შექმნილი დოვლათი გაცილებით მეტია, ვიდრე აღრიცხული, რაც ერთის მხრივ, დადებითია (მეტი დოვლათის არსებობა), თუმცა ამ ნაწილის აღურიცხაობის ფაქტი არასასურველია და მისი ლეგალიზაციის პრობლემას უკავშირდება (იხ. ცხრილი 3.2.3., მონაცემები გაანგარიშებული გვაქვს სამ ვარიანტად: I – მინიმალური, ანუ ინერციული; II – მაქსიმალური, ანუ ოპტიმისტური და III – ოპტიმალური, რეალობათა გათვალისწინებით – ყველაზე სავარაუდო).*

ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი განსაკუთრებულად მაღალი იყო ისეთ დარგებში, როგორც რესტორნებსა და სასტუმროების ქსელი, ვაჭრობა, ტრანსპორტი; მაგალითად, 2003 წლის პურპროდუქტების დეკლარირებულმა წამოებამ 3180,2 ტ შეადგინა, ანუ ერთ მცხოვრებელზე 26 კგ., რაც დღეში 71 გრამს უდრის; საცალო საქონელბრუნვა – 31,0 მლნ. ლარს, ანუ ერთ

									saqarT.- Tan %-Si
sacalo vaWrobris qselis sawarmoebis brunvis mocoloba (mln/lari)	671.8	635.8	804.6	1071.0	70.6	27.9	36.6	42.4	3.96
restornebis (kvebis sawarmoebis) momsaxu- rebis mocoloba (aT.lari)	43823	28597*	33256*	40060*	2313	1090	1149	1155	2.88
agraruli bazrebisa da bazrobebis saqmianoba:									
-raodenoba	255	250	266	301	9	6	27	40	13.2
-saerTo farTobi	1336.6	1353.4	1414.6	1437.5	198.8	201.6	212.8	215.63	15.0
-sawyobebis raodenoba	735	549	1054	843	109	82	158	126	14.95
-sacalo movaWreTa raode- noba bazrobaze (aT.kaci/dR)	46.0	47.0	64.9	65.7	1.7	1.2	6.6	8.8	13.39
sastumromomsaxurebis mocoloba (aT.lari)	16271	19620	24921	30299	2	3	2	4	0.0001

მაგრამ ვინაიდან ყველა რეგიონს საკუთარი თავისებურება გააჩნია, უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლის ყველა სამრეწველო საწარმო ე.წ. „მსხვილ გადამხდელებს“ განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მიერ გადახდილი თანხები ცენტრალურ ბიუჯეტს ავსებს, და არა ადგილობრივსა და ტერიტორიულს. თუ ამას დავურთავთ იმ ფაქტსაც, რომ საქართველოს ბიუჯეტიდან დოტაციების, სუბსიდიებისა და სუბვენციების გაცემა უკიდურესად შეზღუდულია, მაშინ გაუგებარი ხდება, რამ უნდა შეადგინოს რეგიონის ერთიანი ფინანსური პოტენციალი.

რეგიონის ერთიანი ფინანსური პოტენციალის განხილვისას აუცილებელია, შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან შემადგენელს, როგორცაა საფონდო ბაზარი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში რეგიონის საფონდო ბაზრის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები ჩამოყალიბდა, როგორცაა:

- ~ რეგიონის საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები,
- ~ ბანკები,
- ~ სადაზღვევო კომპანიები,
- ~ საფინანსო დაწესებულებათა ქვედანაყოფები რეგიონში,

~ საფონდო-საბირჟო სფეროს მონაწილეები და ა.შ

ბანკების საქმიანობა, მათ მიერ შემოთავაზებული მომსახურების ასორტიმენტი ძალზე მრავალფეროვანი გახდა: ჩვეული ვალუტის გადახურდავების, სალომბარდო სესხების გაცემისა და ანგარიშებზე ფულის მიღება/გაცემის გარდა, ბანკები დღეს ახორციელებენ ფულის ელექტრონული ნაირსახეობის – საკრედიტო ბარათების გაცემა-უზრუნველყოფას, მიზნობრივი სესხების გაცემას, ითვისებენ კრედიტის ისეთ სახეობას, რომელიც აქტიურად ფუნქციონირებდა 1921 წლამდე და გასაბჭოების შემდეგ დავიწყებას მიეცა – ეს არის სალიზინგო ოპერაციები, რომელთა დროს ბანკის “პროფიტი” აშკარაა, ხოლო გადაუხდელობის პრობლემა უბრალოდ აღარ არსებობს – ასეთ შემთხვევაში ბანკი უბრალოდ „გამოიხმობს“ თავის საკუთრებას და საიჯარო გადასახადის საფუძველზე სხვას გადასცემს მას. გარდა ამისა, აღდგენილია სესხის იპოთეკური ნაირსახეობაც მისი ორივე სახით: ჩადებისა და გირავნობის საფუძველზე. ქვემო ქართლში ამ ოპერაციებს ახორციელებენ, ძირითადად, საქართველოს გაერთიანებული ბანკი, პროკრედიტ-ბანკი და თიბისი-ბანკი. უცილებელია აღინიშნოს, რომ რიგ ბანკებში ხორციელდება მომსახურების ახალი ნაირსახეობანი, კერძოდ კი ფაქტორინგული, სატრასტო და აქცეპტორული ოპერაციებიც. ძალზე მრავალფეროვანია სადაზღვევო კომპანიების მიერ შემოთავაზებული მომსახურებაც, რომელსაც რეგიონში, ძირითადად, „აღდაგი“, „იმედი L“ და BCI ახორციელებენ: ესაა აუცილებელი დაზღვევა საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთათვის, აუცილებელი დაზღვევა სამედიცინო სფეროს მუშაკთათვის შიდსით ინფიცირების შემთხვევაში, აუცილებელი დაზღვევა საჰაერო, სარკინიგზო და საავრომობილო ტრანსპორტის მგზავრთათვის, სამხედრო და სამხედროვალდებულ პირთათვის, სავალდებულო დაზღვევა განსაკუთრებით საშიში პირობების მქონე სამსახურში მომუშავეთათვის (სახანძრო რაზმები, მაშველები, ბანკის იკასატორები, საპიორები და ა.შ), მოსახლეობის აუცილებელი სამედიცინო დაზღვევა, დაზღვევის მრავალი ნებაყოფლობითი ფორმა და სხვ. სადაზღვევო ოპერაციების ასორტიმენტი ძალზე ფართოა და კიდევ უფრო გამრავალფეროვანდება, მაგრამ აღსანიშნავია დაზღვევის ისეთი უახლესი სახეობების არსებობა, როგორცაა კომერციული, საფინანსო-საკრედიტო რისკებისა ტექნიკური რისკების დაზღვევა. გასაგებია, რომ ამის შესაძლებლობა მხოლოდ მსხვილ, ფინანსურად მდგრად სადაზღვევო კომპანიებს გააჩნიათ. სწორედ ასეთი კომპანიაა „აღდაგი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს სფერო საკმაოდ აქტიურად ვითარდება,

გასაკეთებელი კიდევ საკმაოდ ბევრია, სრულიად არ ფუნქციონირებს სადაზღვევო ინტერესების გაერთიანების ფორმა – ურთიერთდაზღვევის საზოგადოებები. მიზეზი ერთია – ესაა სადაზღვევო კომპანიების არასაკმარისი რაოდენობა. სრულიად განუვითარებელია დაზღვევის არაკომერციული სექტორიც (ე.წ. „დამზღვევი პულები“), რომელიც, შეიძლება ახალი და ყველაზე ეფექტური ფორმა გახდეს მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად. ცხადია, ამას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება ესაჭიროება, ასე რომ სამუშაო ჯერაც უამრავია.

რაც შეეხება საფონდო-საბირჟო სფეროსა და მის მონაწილეებს ქვემო ქართლის რეგიონში. საბირჟო ურთიერთობების მონაწილეები, უდაოდ, არსებობენ – მოხდა საწარმოების გააქციონერება, ანუ სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა; მომზადდა საკანონმდებლო ბაზა – ყველა მონაწილისათვის განსაზღვრულია უფლებები და მოვალეობები, მაგრამ საფონდო ბირჟები თავის კლასიკური სახით ჯერაც ჩამოუყალიბებელია. აქციები, რომლებიც გამოუშვეს რუსთავის მეტ. კომბინატმა ან „აზოტმა“, „აღდაგმა“ ან „ყაზბეგმა“, „მადნეულმა“ და სხვამ, არ „მუშაობენ“, ისინი მხოლოდ ფორმალურად, საინვესტიციო ბანკის მეშვეობით გავრცელდა კერძო პირებზე და მათი ნამდვილი, „შრომითი“ ცხოვრება ჯერაც არ დაწყებულა, ანუ ბირჟებზე ისინი თავისუფლად არ მიმოიქცევიან. გარდა ამისა, ჯერაც არა გვეყავს კვალიფიცირებული ბროკერები და დილერები, რომელთა შუამავლობაც შესაძლებელს ხდის ბირჟის (იქნება ეს საფონდო თუ სანედლეულო-საასქონლო) ჩვეულებრივ ფუნქციონირებას. მაგრამ თვით ფაქტი, რომ გააქციონერება დაწყებულია, მეტად იმედისმომცემია, ვინაიდან აქციები, როგორც ცნობილია, აფართოებს და ამრავალფეროვნებს ფულად მასას. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების არსებობა, მათი თავისუფალი მიმოქცევა საშუალებას მისცემს რეგიონს (დამოუკიდებლად იმისგან, ფუნქციონირებს თუ არა იგივე სისტემა სხვა რეგიონებში ქვეყნის შიგნით) პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას ფულადი მიმოქცევისა და, შესაბამისად, ფულის მსყიდველუნარიანობის რეგულირების მიმართულებით. მაგალითად ტაივანიც გამოდგება, რომელიც, მიუხედავად ჩინეთის აშკარა წინააღმდეგობისა, აქტიურად აგრძელებდა საკუთარ, „არასოციალისტურ“ ეკონომიკურ განვითარებას და რომელიც დღეს ღირსეულ ადგილს იკავებს „აღმოსავლეთის დრაკონების“ რიცხვში, როგორც დიდი ქვეყნის ცალკე აღებული რეგიონი.

აღნიშნულ საკითხებში საკვანძო მომენტს წარმოადგენს საფინანსო დამოუკიდებლობის გარანტიებისა და საბიუჯეტო ფედერალიზმის უზრუნველყოფა, რომელიც აძლევს რეგიონს იმის საშუალებას, რომ დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები.

ვინაიდან სახელმწიფო ატარებს გამიზნულ რეგიონულ პოლიტიკას მოქალაქეთათვის სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად, არსებული განხვავებანი რეგიონთა შორის არ უნდა ქმნიდეს, თითქოს, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტანბილურობის საშიშროებას. მაგრამ რეალურად, ქვემო ქართლის რეგიონისათვის ბოლო წლებში ცენტრალური ბიუჯეტი მიერ გაცემული ტრანსფერები 1 მლნ. ლარს არ აღემატება საშუალოდ წელიწადში, მაშინ როცა ნებისმიერი სხვა მხარის, ან თუნდაც თბილისის მაჩვენებლები გაცილებით უფრო მაღალია (თბილისში – საშუალოდ წელიწადში 1 მლნ. ლარი, აფხაზეთში – 4 მლნ., აჭარაში – 4 მლნ., კახეთში – 2 მლნ., იმერეთში – 4,8 მლნ., გურიაში – 1,3 მლნ., რაჭა-ლეჩხუმში – 1,5 მლნ. და ა.შ.).

შესაძლოა, ტრანსფერების გადაცემის მინიმუმაცია ქვემო ქართლის რეგიონისათვის იმიტომაც მოხდა, რომ 1996 წლიდან ტერიტორიული ბიუჯეტი ყოველთვის პროფიციტულია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თითქმის ყველა სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრით რეგიონი, სხვებთან შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაშია, მაშინ დავინახავთ მისი დაფინანსების ზრდის აუცილებლობასაც. იმისათვის კი, რომ რეგიონულმა ბიუჯეტმა შეიძინოს უფრო მეტი საიმედოება, საჭიროა, მისთვის საკმარისი რაოდენობით გამოიყოს რეგულირებადი შემოსავლები, რისთვისაც საჭიროა განაწილების მეთოდის სრულყოფა და მკაფიო კრიტერიუმების არსებობა.

აღსანიშნავია, რომ სუბიექტების ბიუჯეტების ფინანსური გაჯანსაღებისათვის შექმნილია რეგიონული საფინანსო ინსტიტუტების განვითარების ფონდი, რომლის შევსების წყაროებია საერთაშორისო საფინანსო ორგანოების კრედიტები და მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა სახსრები. ქვემო ქართლს, როგორც დაბალდოტაციურ რეგიონს, ფინანსური დამოუკიდებლობის სწრაფი მიღწევის აშკარა შესაძლებლობა ეძლევა ამ ფონდის დახმარებით.

ამდენად, რეგიონის ერთიანი ფინანსური პოტენციალი, როგორც ვხედავთ, საკმაოდ იმედისმომცემია; მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუ რეგიონის ეკონომიკაში გაიზრდება არაემისიური წყაროებიდან შემოსული თანხებით (უცხოური კრედიტები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ა.შ.)

ფინანსირება, დაკრედიტების შეზღუდვა ინფლაციის დონეზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის დადგენით და ა.შ.

შევესეთ საკმაოდ მნიშვნელოვან თემას, ანტიინფლაციურ პოლიტიკას. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ფინანსური სტაბილიზაციისათვის მიღებული ზომები მიმართულია ინფლაციური პოტენციალის მოასთოკად.

90-იან წლებში ფასების ლიბერალიზაციამ ფასების შეუპოვარი ზრდა და მათი „გაყინულ“ ხელფასებთან მკვეთრი შეუსაბამობა გამოიწვია. ამ შეუსაბამობამვე შეაჩერა ინფლაციის ტემპიც (მიზეზი მარტივია – „გაგიჟებული“ ფასები აწყდებიან ბუნებრივ ბარიერს – გადახდისუნარიან (უუნარო) მოთხოვნას), თუმცა მისი დონე მაინც ძალზე მაღალი რჩებოდა. ქვემო ქართლის რეგიონი ამ მხრივაც ძალზე სპეციფიკური გამოდგა – როგორც ვიცით, იგი ინდუსტრიაზე ორიენტირებული მხარეა და აქ ძალზე ბევრი სამრეწველო გიგანტი ფუნქციონირებდა. ადმინისტრაციულ-ბრძანებითი სისტემის დაშლამ ეკონომიკური სტაბილურობის ბაზა (გველისხმობთ სახელმწიფო შეკვეთას, სახელმწიფო მომარაგებასა და გასაღებას) გამოაცალა რეგიონს, რომელიც ორგანულად იყო დაკავშირებული რუსეთთან, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან და სხვა რესპუბლიკებთან. მომარაგებასთან ერთად დაიკარგა ტრადიციული გასაღების ბაზრებიც. ყოველივე ამან საერთო მეურნეობის დაშლით გამოწვეული შოკი უფრო მტკივნეული, ხოლო საბაზრო მექანიზმის ამოქმედების დაწყება კი უფრო ხანგრძლივი გახდა. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაზე (და მით უმეტეს ისეთზე, რომელშიც ხელით შრომა ბატონობს) ორიენტირებული რეგიონისათვის საბაზრო სისტემაზე გადასვლა შედარებით ადვილია.

1995-1996 წწ განხორციელდა არც თუ წარუმატებელი მცდელობა, განხორციელებულიყო სტაბილიზაციის ისეთი ვარიანტი, რომელშიც სავალუტო კურსის ფიქსაცია ხელფასის რეგულირებასთან იყო შეხამებული. მაგრამ ვინაიდან ამის განსახორციელებლად თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის დიდი მარაგები იყო საჭირო (რათა სავალუტო ინტერვენციები განხორციელებულიყო), ეს ვარიანტი შეჩერდა, თუმცა კურსი საკმაოდ სტაბილურად ნარჩუნდებოდა. დღეს რეგიონში ინფლაციის რეგულირების მსოფლიო რეგიონული ზომები არ გაგვაჩნია. რეგიონმა მსოფლიო აქტიური მონაწილეობა შეუძლია მიიღოს სახელმწიფოს ანტიინფლაციურ პოლიტიკაში – გაზარდოს რეგიონული ბიუჯეტის პროფიციტი და შეამციროს ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტი, შეწყვიტოს თავის ტერიტორიაზე ისეთი კრედიტების გაცემა, რომლის საპროცენტო განაკვეთი ინფლაციის დონეზე მაღალია,

შეწევითს შედავათიანი კრედიტების გაცემა და ა.შ. ბოლო პერიოდში ანტიინფლაციური პოლიტიკის წარმატებული ჩატარების მაჩვენებლებია – სტაბილური ეროვნული ვალუტა, წარმოების ზრდა, მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდა და ა.შ.

ანტიინფლაციურთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანი გახდა რეგიონში გააზრებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ჩატარებაც. ცნობილია, რომ ისეთი გიგანტები, როგორებიცაა რმკ, „აზოტი“, „ყაზბეგი“, „კასტელი“, „რუსთავცემენტი“, „კაზრეთი“, „კოდა“ და ა.შ. საკმაოდ აქტუალურს ხდიდნენ ანტიმონოპოლიური კანონის სრულყოფის აუცილებლობას. ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, და მით უმეტეს, მისი ერთი რეგიონისათვის, ამდენი გიგანტის არსებობა, **ერთის მხრივ**, ძალზე დადებითია, ვინაიდან ისინი ზრდიან ინდუსტრიული და, ზოგადად, ეკონომიკური პოტენციალის მატების შესაძლებლობას. **მეორეს მხრივ** კი, მათი გაუკონტროლებლად დატოვებამ შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები. მას ადასტურებს, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ბევრი საამქროსა და კომუნიკაციების „ლომის წილის“ ჯართის სახით გატანა, ანდა ს.ს. „აზოტის“ ძვირფასი და უნიკალური პროდუქციის – ამონიუმის გვარჯილის, აზოტმუავის, ამიაკის, კოსმეტიკური საშუალებების – თვითღირებულებაზე დაბალ ფასებად გაყიდვა საზღვარგარეთ (!), კაზრეთის „მადნეულიდან“ ოქროს უპრეცედენტო გატანა, „საქგაზის“ ჯგუფის მიერ უამრავი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი („რუსთავგაზი“, „რუსთავცემენტი“, „მარნეულგაზი“, „თეთრიწყარო-გაზი“ და ა.შ., ა.შ.) ობიექტის შეძენა და ფასების გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი გაზრდა მოხმარებულ პროდუქციაზე, მრავალი სხვა ფაქტი. ამდენად, რეგიონის ანტიმონოპოლიური სამსახურის მუშაობა უადრესად მნიშვნელოვანი იყო და რჩება. ეკონომიკური ზრდის დაწყებასთან ერთად კი გაცილებით უფრო დიდ აქტუალობას შეიძენს, ვინაიდან ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მატულობს, როგორც ვიცით, ეკოლოგიური ბალანსის დარღვევისა და რესურსების არარაციონალური გამოყენების საშიშროება გიგანტი-მონოპოლისტების მხრიდან.

მონოპოლიების შეზღუდვა (ან ლიკვიდაცია) და სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, როგორც ცნობილია, სტიმულს აძლევდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დარეგულირების პოლიტიკას (ანუ ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის სხვა ფორმებს), რომელიც, თავის მხრივ, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიების წარმოშობასთან ერთად ზრიდდა რეგიონის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობას.

ქვემო ქართლის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისათვის სახელმწიფო ჩარევის გათვალისწინება არ დაგეგმირდება, ვინაიდან ოთხ განმსაზღვრელ დეტერმინანტში (მ. პორტერის „რომბი“) იგი არ შედის. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელებად საერთო-საფირმო, მონათესავე და საყრდენ დარგთაშორისი ურთიერთობები უფრო გვევლინებიან. ჩვენი აზრით, რეგიონული კონკურენტუნარიანობის განვითარებისათვის მხარეში ყველა წინაპირობა არსებობს. ეს ხელსაყრელი განლაგებაცაა (უშუალო სიახლოვე აზერბაიჯანთან და სომხეთთან, პირდაპირი კავშირი საზღვაო პორტებთან, ნებისმიერი სახის ტრანსპორტის არსებობა – საჰაერო, სარკინიგზო, საავტომობილო და ა.შ.), მზა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელი ფირმებიც, ფინანსური ინსტიტუტებიც, სამთავრობო ორგანიზაციებიც (რომლებიც სპეციალიზებულ სწავლებას ახორციელებენ) და მრავალი სხვა.* მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ მხოლოდ წარმატებული მაკროეკონომიკური რეფორმების ჩატარება აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი. მიტომ რეფორმის ჩატარებასთან ერთად, აუცილებელია, გამოიკვეთოს და ჩამოყალიბდეს რეგიონში არსებული ფირმებისათვის ხელსაყრელი კონკურენტული გარემოს შექმნის ღონისძიებები. თუკი ისეთ მძიმე პირობებში, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ხელის შეშლა, ჩარევა, „დრაკონული“ გადასახადები, რეკეტი, კორუფცია და ა.შ. ზოგიერთმა ფირმებმა არათუ გადარჩენა, არამედ მზარდი მოგებით მუშაობა შეძლეს, ეს იმას ნიშნავს, რომ, პორტერის თეორიის თანახმად, მათი კონკურენტუნარიანობა ეჭვგარეშეა. მით უმეტეს, თუ დავამატებთ, რომ მათ მიერ წარმოებული პროდუქცია საექსპორტოა, ამის საფუძველზე – შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ გააზრებული საგარეო-ეკონომიკური რეგიონული პოლიტიკის არსებობისას და რეფორმების ფორსირებული ტემპით ჩატარების პირობებში ქვემო ქართლის მხარე თავისუფლად მოაწესრიგებს შემოსავლების მატების, დასაქმებისა და სხვა მრავალ პრობლემას ეკონომიკურსა თუ სოციალურ სფეროში, ხოლო ამის საყრდენი და მამოძრავებელი ძალა კი სწორედ არსებული ფუნქციონირებადი საწარმოები და ფირმები გახდებიან.

როგორც დავინახეთ, რეგიონის საბაზრო სისტემაზე გადასვლისათვის საფუძველი ნამდვილად ჩაყრილია, ტრანსფორმირებულია საკუთრებრივი

ურთიერთობები, ჩამოყალიბებულია საბანკო-საფინანსო, საგადასახადო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო გარდაქმნილი სისტემები, ხორციელდება

*М.Портер, «Международная конкуренция», Москва, 1993, стр.16

ანტიინფლაციური და ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, თვისებრივად ახლებურ საფუძველზე ხორციელდება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომლისათვის საც შექმნილია ახალი საკანონმდებლო ბაზა.

ცხადია, უნაკლოდ არც ერთი რეფორმა არ განხორციელებულა და ჩვენიც შორსაა იდეალისაგან. მაგრამ რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურა თვისებრივად შეცვლილი და ახლა რეფორმების წარმატებული დასრულებისა და სტრუქტურული გარდაქმნების სრულყოფის გზათა ძიებაშია.

3.3. ქვემო ქართლის ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები და ბერკეტები

რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიული მიმართულებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას უნდა დავეყრდნოთ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ამოცანებს და გავითვალისწინოთ ქვემო ქართლის განვითარების სპეციფიკური პრობლემები, მათი გადაწყვეტის შესაძლებლობები, ამას გარდა მსოფლიო და საერთაშორისო მასშტაბის ტენდენციები (სქემა 3.3.1).


ქვემო ქართლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის ფორმირების ამგვარი სქემა იმას ნიშნავს, რომ მხარის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე ფუნქციონირება შეიძლება დაემყაროს ქვეყნის საერთო განვითარების ძირითად ფაქტორებს, იყოს წარმოდგენილი მისი შენაკადის სახით, ამავდროულად ითვალისწინებდეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და მათ გავლენას, რაც გარდაუვალია და აისახება მხარის ცხოვრების ყველა მხარეზე – დარგების ტექნოლოგიურ დონეზე, ეკონომიკურ ურთიერთობებზე, სოციალურ ცხოვრებაზე.

განვითარების სტრატეგიული კურსი ამოსავალია განვითარების პრიორიტეტების, საერთო კონცეფციათა შერჩევასა და რეალიზაციის წესის განსაზღვრისათვის.


მთლიანობაში ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური პროგრამის სტრუქტურა გამარტივებული სახით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ (იხ. სქემა 3.3.2): რეგიონის

ეკონომიკის აღორძინება, 90-იანი წლების სისტემური კრიზისის შედეგების დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების თანდათან გაუმჯობესება, საარსებო პირობების თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება (დსაქმების, შემოსავლებისა და სხვა მაჩვენებელთა მიხედვით), მხარის მდგრადი განვითარება, ინდუსტრიული ცენტრის ფუნქციის შენარჩუნება, ეკონომიკის თანამედროვე, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ დონეზე ფუნქციონირება, ეკონომიკური და სოციალური დარგების განვითარების შეწონასწორების უზრუნველყოფა ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა სრულყოფის, მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის, საზოგადოებრივი წესრიგის გაუმჯობესების, ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა (კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა, კრიმინოგენური ვითარება) შემცირებისა და თანდათან დაძლევის, ეკოლოგიური უსაფრთხოების პირობებში.

სქემა 3.3.1. ქვემო ქართლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის ფორმირება



სქემა 3.3.2. ქვემო ქართლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური პროგრამის გამართვითი სტრუქტურა



აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი კონცეპტუალური დებულებები ახლო პერსპექტივისათვის შემდეგში შეიძლება გამოიხატოს:

– აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება და ღონისძიებები რეგიონის ეკონომიკის პრობლემათა დაჩქარებული გადაწყვეტისათვის. რეგიონში არსებობს სათანადო რესურსები, რომელთა გამოყენებით ახლო მომავალში შეიძლება გადაილახოს სისტემური კრიზისის შედეგები და განხორციელდეს ეკონომიკის აღდგენა და განვითარება ახალი ეკონომიკური პირობების შესაბამისად, საბაზრო ურთიერთობათა გათვალისწინებით. ამისათვის უნდა მოხდეს ეკონომიკური რეფორმის დაჩქარება, საქმიანობის აქტივიზაცია, საწარმოო პოტენციალის არსებული ელემენტების ასამოქმედებლად და დამატებითი საჭირო რესურსების მოზიდვისათვის.

– რეგიონში უნდა შენარჩუნდეს ქ. რუსთავის, როგორც ინდუსტრიული ცენტრის ფუნქცია, ახალ ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ ურთიერთობათა და ორგანიზაციულ ბაზაზე, რომლის საფუძველზე შეიძლება აღორძინდეს ქალაქის ეკონომიკის სხვა დარგები და სოციალური ინფრასტრუქტურა. ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს მსხვილი ინდუსტრიული ობიექტების (ს.ს. „რმკ“, ს.ს. „აზოტის“ და ს.ს. „რუსთავცემენტის“) აღორძინება და განვითარება, ასევე მკვეთრად გააქტიურდეს საშუალო და მცირე საწარმოთა საქმიანობა და გადიდდეს მათი წვლილი ქალაქის სამრეწველო წარმოების განვითარებაში.

- ახლო პერიოდში საგულისხმო ნაბიჯები უნდა გადაიდგას ქვემო ქართლის ეკონომიკის დარგთა პროდუქციის და მომსახურების მთლიანი მოცულობის, დასაქმების, ფულადი შემოსავლებისა და სხვა მაჩვენებელთა ადრე მიღწეული დონის აღდგენისათვის. აუცილებელია, რომ ეს უახლოესი 5-6 წლის მანძილზე მაინც მოხდეს. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მხარის ეკონომიკა და სოციალური სფეროს სტრუქტურა მომავალში გარკვეულად გარდაიქმნება, მომსახურების სფერო უფრო მეტ ადგილს დაიკავებს, ვიდრე მას ადრე ეკავა.

- მთელი ქვეყნის ეკონომიკისათვის და რეგიონისთვისაც მიზანშეწონილია, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე ქ. რუსთავის ეკონომიკა გადაყვანილ იქნას ფუნქციონირების განსაკუთრებულ რეჟიმში, რაც შემდეგში შეიძლება გამოიხატოს: მსხვილ საწარმოებს, რომლებიც იძულებით, მათგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო აღმოჩნდნენ მიიმე მდგომარეობაში, მიეცეთ გარკვეული შეღავათები მუშაობისათვის – კერძოდ კი, ჩამოიწეროს ან გადავადდეს კრიზისული პერიოდის საბიუჯეტო დავალიანებები. ეს დავალიანებები მათ ხელს შეუშლით საქმიანობის წარმართვაში და გაფართოებაში, შეამცირებს, საბოლოო ჯამში, მათი მუშაობის შედეგებს, ასევე მთლიან შენატანებს სახელმწიფო და ქალაქის ბიუჯეტებში საშემოსავლო, მოგების, სოციალური და სხვა გადასახადების სახით. ამასთან, ამგვარი შეღავათების საკითხი უნდა იქნას განხილული კონკრეტულად და დიფერენცირებულად.

- რეგიონის საწარმოთა მხრივ მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა პროდუქციის გასაღების ბაზარზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით, პირველ რიგში, პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებით თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევათა გამოყენებით, მენეჯმენტისა და მარკეტინგული საქმიანობის სრულყოფით.

- გადაჭრით უნდა გამოეცხადოს ბრძოლა ყოველგვარ ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს, რათა შეიქმნას საქმიანობისა და ცხოვრების ჯანსაღი გარემო, რის გარეშეც შეუძლებელია რაიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემის გადაწყვეტა. მკვეთრად უნდა შემცირდეს სამართალდარღვევათა მასშტაბები, გაუმჯობესდეს ბიზნესის, საკუთრების და პიროვნების დაცულობა.

ვეყრდნობით რა განვითარების ზემოთ აღნიშნულ სტრატეგიასა და კონცეპტუალურ დებულებებს, აქ ვითვალისწინებთ ორ ამოსავალ პირობას: ჯერ ერთი, საბოლოო მიზნის თვალსაზრისით, განმსაზღვრელია სოციალური

შედგების მიღწევა, ხოლო ეკონომიკური შედეგები ითვლება მიზნის მიღწევის საშუალებად (რესურსებად), ასევე თვით ეკონომიკურ შედეგებს სჭირდებათ რესურსული უზრუნველყოფა ანუ მათი მიღების საშუალებათა არსებობა; მეორე, ეკონომიკური და სოციალური სფეროს განვითარებას უნდა ახასიათებდეს დაბალანსებულობა (პროპორციულობა), მისი ყველა ელემენტი მნიშვნელოვანია, მაგრამ კონკრეტული გარემოს და სპეციფიკურ მოვლენათა გამო, ცალკეულ მიმართულებას შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული ან პრიორიტეტული მნიშვნელობა. აღნიშნულ საფუძველზე თვით ეს პრიორიტეტები შინაარსის მიხედვით მიზნობრივი და რესურსული ხასიათისა იქნება. ამასთან, პრიორიტეტებს შორის, მათი განხორციელების შესაძლებლობათა შეზღუდვის გამო, შეიძლება ადგილი ექნეს დიფერენცირებას (რანჟირებას, რიგითობას).

საშუალოვადიანი პერიოდისთვის შეიძლება გამოეყოთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტების შემდეგი წრე:

ჯერ ერთი მოსახლეობის დასაქმება და შემოსავლების ზრდა, სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ცხოვრების დონის (ხარისხის) ამაღლება როგორც ფულადი შემოსავლების გადიდების, ასევე სოციალური გარანტიების გაფართოების საფუძველზე. ამაში იგულისხმება ადრე არსებული სამუშაო ადგილების აღდგენა მიზანშეწონილობის შემთხვევაში და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რეგიონიდან გასული შრომითი რესურსების დაბრუნება, რითაც შესაძლებელი გახდება რეგიონის ეკონომიკის განვითარება, დოვლათის წარმოების ზრდა.

მეორე, სამრეწველო წარმოების, როგორც რეგიონის ეკონომიკის ბირთვის, აღორძინება პირველ რიგში მსხვილი საწარმოების ამოქმედებით, ასევე მცირე და საშუალო სამრეწველო საწარმოების განვითარებით, ადგილობრივი რესურსების სრულად გამოყენების, აგრეთვე გარედან რესურსების მოზიდვის საფუძველზე, ამან უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის გაჯერებისათვის პროდუქციის წარმოების ტემპების დაჩქარება.

მესამე, რეგიონის ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელება ელექტროენერგიით მომარაგებაში შეფერხებაბის დაძლევის მიზნით ამ შეფერხებათა გამო ეკონომიკისა და მოსახლეობისათვის ზიანის თავიდან ასაცილებლად,

მეოთხე, საექსპორტო პროდუქციის წარმოების მკვეთრი გაფართოება, რისთვისაც მსხვილ სამრეწველო ობიექტებს სათანადო პოტენციული გააჩნიათ და

შესაძლებლობა არსებობს მათი კიდევ უფრო გადიდებისათვის სათანადო ინვესტიციებისა და ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებით, პროდუქციის კოკურენტუნარიანობის ამაღლებით. ეს უმთავრესად შეეხება მეტალურგიური და ქიმიური, აგრეთვე საშენი მასალების მრეწველობის პროდუქციას.

მესუთე, რეგიონის სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების გამოცოცხლება და მათი პრობლემების გადაწყვეტა, კერძოდ, ეს ეხება ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის ობიექტებს; მოსახლეობის დასვენების ობიექტების მუშაობის გაფართოება და გაუმჯობესება.

მეექვსე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქალაქო მეურნეობის დარგების გამოყვანა კრიზისიდან, როგორცაა წყლით მომარაგება და საგზაო მეურნეობა, რაც რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამ დარგებში არსებული მდგომარეობა დიდად აფერხებს ეკონომიკის განვითარებასაც და მოსახლეობის კეთილდღეობასაც.

მეშვიდე, ადგილობრივი და ტერიტორიული ბიუჯეტების მკვეთრი ზრდა, რაც რეალობას წარმოადგენს ორი წყაროს მეშვეობით: პირველი – ეკონომიკის დარგების განვითარების და, მეორე, ჩრდილოვანი ეკონომიკის რაც შეიძლება შემცირების გზით. საგნებით შესაძლებელია ქალაქის ბიუჯეტის მრავალჯერადი ზრდა, რის საფუძველზე ქალაქის რიგი მწვავე პრობლემებისა გადაწყდება.

მერვე, ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფა, რეფორმების გადრმაგება. უნდა დარეგულირდეს საკუთრებითი ურთიერთობები, გასწორდეს პრივეტიზაციის შეცდომები, გადწყდეს რიგ დარგებში საკუთრების განსაზღვრის პრობლემა. ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოებრივი (მუნიციპალური) ორგანოების ჩარევა (მხარდაჭერა) უნდა გახდეს მათი მუშაობის გაუმჯობესების ქმედითი ფაქტორი. ეკონომიკის, ქალაქისა და ქვეყნის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს საწარმთა ურთიერთობა ბიუჯეტთან, მათი დავალიანების საკითხი, რაშიც უნდა იქნას გათვალისწინებული სამეწარმეო კლიმატის გაჯანსაღების პრინციპი.

მეცხრე, ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს საერთო საზოგადოებრივი წესრიგი, კრიმინოგენური სიტუაცია, რის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის დარგში წარმატება და, რაც უმნიშვნელოვანესია, ადამიანთა კეთილდღეობის ზრდა.

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, მიზანშეწონილად მოგვანჩნია, რეგიონული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელება-კონტროლის პროცესში როგორც ადგილობრივი და ტერიტორიული, ისე ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა. ასეთი პროგრამა

რამდენიმე წლისათვის უნდა იყოს შედგენილი და ითვალისწინებდეს როგორც კონკრეტულ ღონისძიებებს, ისე მათ შემსრულებლებს, სავარაუდო შედეგებსა და, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში ვადებსა და პასუხისმგებლობასაც კი. ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური ღონისძიებების სქემა ქვემო ქართლის რეგიონში 2005-2010 წლებისათვის შემდგენილად გვესახება (ღონისძიებებისათვის მიცემული გვაქვს სქემატური სახე, იხილეთ ტაბულა 3.3.1. შემდეგ გვერდზე):

#	RonisZiebis Sinaarsi	savaraudo Semsrulebeli	mosalodneli Sedegi
1.	რამდენიმე წლით (3-5წ) ქვემო ქართლსა და მის უმსხვილეს ინდუსტრიულ ცენტრებში (ქ. რუსთავი, ქ. დმანისი, ქ. მარნეული და სხვ.) განსაკუთრებული ეკ.-რი მდგომარეობის გამოცხადება საწარმოებისათვის კრიზისიდან გამოსვლის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით.	ქვემო ქართლის ტერიტორიული სამსახურები, ქ. რუსთავის მერია (წინადადების მომზადება); ცენტრალური ხელისუფლება (გადაწყვეტილების მიღება, შემდგომი მონიტორინგი და კონტროლი)	1) საწარმოთა გააქტიურება და შემოსავლების ზრდა; 2) ბიუჯეტის შევსება.
2.	კომპლექსური პროგრამის შედგენა არსებული საქალაქო და სასოფლო პროგრამების საფუძველზე. ამ პროგრამის საფუძველზე ყოველწლიური ოპერატიული ღონისძიებების შემუშავება და მათი შესრულების ორგანიზაცია	1) ქვემო ქართლის რეგიონული სამსახურები; 2) ქალაქების მერიები და საკრებულოები.	კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებული ეკონომიკური და სოციალური სფეროების აღორძინების დაჩქარება
3	კომპლექსური პროგრამის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი და წინადადებების შემუშავება გარღვევების გამოსასწორებლად, ახალი რეზერვების გამოსავლენად	1) ქვემო ქართლის რეგიონული სამსახურები; 2) ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები	1) პროგრამის ღონისძიებათა რეალიზაცია; 2) მხარის რეგიონული პროდუქტისა და სხვა მანვენებელთა ზრდა
4	კონკრეტული წინადადებების წარდგენა გადასაწყვეტად ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების წინაშე ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე, რომლებზეც დამოკიდებულია ხელისშემშლელი ბარიერების მოხსნა, სარკინიგზო	1) მხარის რეგიონული სამსახურები; 2) ქ. რუსთავის მერია და საკრებულო.	1) მხარის რეგიონული სამსახურები; 2) ქ. რუსთავის მერია და საკრებულო.

	გადაზიდვების, პორტებზე დატვირთვა-გადმოტვირთვის ტარიფების შემცირების, საგადასახადო შეღავათების შესახებ და ა.შ.		
5	წინადადებათა წარდგენა ქვეყნის მთავრობაში სახელმწიფო შესყიდვების წესების სრულყოფის, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების გადიდების სტიმულირების გათვალისწინებით, საზღვარგარეთ იმ პროდუქციის შესყიდვის შეზღუდვის შესახებ, რომლებიც ადგილზე იწარმოება ან შეიძლება იწარმოოს და ეკონომიკურად არ იყოს წამგებიანი	1) მხარის რეგიონული სამსახურები; 2) ქ. რუსთავის მერია და საკრებულო.	ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე მოთხოვნის გადიდება და მისი წარმოების გაფართოება.
6	ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა, შეღავათების შემოღება (დაბალი ტარიფების დაწესება) მოსახლეობისათვის ღამის საათებსა და უქმე დღეებში.	1) სემეკი; 2) რელასი; 3) საქართველოს პარლამენტი	1) ცხოვრების პირობების გაუმჯობესება; 2) საწარმოთა მოგების მაქსიმიზაცია; 3) ელექტროენერჯის მასობრივი ეკონომიკის დანერგვა.
7	დანქარებული ამორტიზაცია; ნორმატივების შეცვლა და საამორტიზაციო ფონდების 5%-იანი მაჩვენებლის ძირითადი ფონდების გაზრდა საგადასახადო კოდექსის 55-ე მუხლში	საქართველოს პარლამენტი	1) საწარმოთა ტექნიკური ბაზის განვითარება და განმტკიცება; 2) პროდუქციის მომგებიანობის ზრდა.
8	საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე საბაჟო ტარიფების შემცირება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე.	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საბაჟო დეპარტამენტი	მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება
9	საკანონმდებლო გადაწყვეტილების მიღება გაკოტრების (ლიკვიდაციის) პროცესში მყოფი საწარმოების ქონების ნაწილის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის გადაცემის შესახებ მათი ამუშავებისა და გამოყენების მიზნით და საწარმოთა ვალდებულებების (დავალიანებების) დაფარვის პირობით.	1) საქართველოს პარლამენტი; 2) ქ. რუსთავის მერია და საკრებულო; 3) სამხარეო სამსახურები	1) სახელმწიფო საწარმოთა ქონების განიავების თავიდან აცილება და ეფექტიანი გამოყენება; 2) პროდუქციის წარმოების გადიდება;
10	ქ. რუსთავის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის მიზნით აქ მდებარე მსხვილი საწარმოების გაკოტრებისა და ლიკვიდაციის შედეგად წარმოშობილი თანხების ნაწილის ქალაქის	საქართველოს პარლამენტი	1) ქალაქის ეკონომიკური განვითარების ფინანსური წყაროების შევსება; 2) ქალაქის ეკონომიკური და

	ხელისუფლებისათვის გადაცემისათვის საკანონმდებლო ბაზის მომზადება აღნიშნულ საწარმოთა შექმნაში ქალაქის წვლილის გათვალისწინებით		სოციალური განვითარებისათვის მხარდაჭერა.
11	შავი და ფერადი ლითონების საზღაურგარეთ უკანონოდ გატანის აღკვეთა არა დეკლარირებულად, არამედ კანონის ძალით; საბაჟო გადასახადის დაწესება ჯართის გადატანაზე (ექსპორტზე); ჯართის ქვეყნის შიგნით გამოყენების სტიმულირება	1) საქართველოს პარლამენტი; 2) აღმასრულებელი ხელისუფლება.	1) შავი და ფერადი ლითონების მარაგების განიავეებისაგან დაცვა; 2) ქვეყნის საზიანო ქმედებების აღკვეთა; 3) ჯართის ადგილობრივი რესურსების შევსება.
12	საგზაო გადასახადით დაბეგრვის წესის გადასინჯვა იმ მიმართულებით, რომ იგი განისაზღვროს არა გამოშვებული, არამედ გადაზიდული პროდუქციის მოხედვით	1) საქართველოს პარლამენტი.	1)სამართლიანობის პრინციპის დაცვა დაბეგრვის დროს; 2) საწარმოთა გათავისუფლება ზედმეტი გადასახადისაგან; 3) მოგების მაქსიმიზაცია

ზემოთ ჩვენ აღნიშნეთ რუსთავის წამყვანი როლი რეგიონში. ბოლო წლების ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორებისა და რეზერვების ანალიზი გვარწმუნებს, რომ არსებული რესურსების (ძირითადი ფონდების მოცულობა, მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსები, მძლავრი ტექნიკური პოტენციალი და ა.შ.) გამოყენების გაუმჯობესებით ქალაქის ეკონომიკას შეუძლია ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა. თუ დროულად არ იქნა გატარებული ღონისძიებები აღნიშნული მიმართულებით, მაშინ არსებული მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება და მის გამოსწორებასაც მეტი დრო და ენერჯია დასჭირდება, განადგურდება ჯერ კიდევ შემორჩენილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ეკონომიკური ზრდის არსებულ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია უმოქმედო და ნაწილობრივ მომუშავე სიმძლავრეების დატვირთვა. ქ.რუსთავი საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა, როგორც ამიერკავკასიის მძლავრი ინდუსტრიული ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების შედეგად ინდუსტრიულმა გიგანტებმა (სს “რუსთავის მეტალურგიული კომბინატი”, სს “აზოტი”, სს “რუსთავცემენტი”) მნიშვნელოვანი ზიანი განიცადეს (დაკარგეს მნიშვნელოვანი საბრუნავი საშუალებები, წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ექსპორტ-იმპორტის

სტრუქტურა, გასაღები ბაზარი და ა.შ.) და იძულებით გაჩერდნენ, ქ.რუსთავის ეკონომიკური ზრდის საფუძველი მაინც მის სამრეწველო პოტენციალშია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქ.რუსთავის ეკონომიკურ პოტენციალს აღდგენა-განახლების უნარი არ დაუკარგავს, ჯერ კიდევ შესაძლებელია შედარებით მცირე დანახარჯებით იძულებით გაჩერებულ საწარმოთა ამოქმედება, მომუშავეთა საწარმოო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. ამისათვის კი საჭიროა საწარმოთა რესტრუქტურირაცია, მათი მუდმივი სტრუქტურული სრულყოფა ინოვაციების საფუძველზე კონკურენტუნარიანობის და რენტაბელობის უზრუნველყოფისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფინანსურ რესტრუქტურირაციას, რომელიც თავის თავში გულისხმობს რეკაპიტალიზაციისა და პრივატიზაციის პროცესებს, ფინანსური დავალიანების შემცირებას, პარტნიორთა ცვლას, ახალი აქციონერების მოზიდვას და საკუთარი კაპიტალის გადიდებას.

რესტრუქტურირაციის პროცესს პარალელურად უნდა მოხდეს წარმოების დივერსიფიკაცია (გაფართოება, პროდუქციის ნომენკლატურა), ტექნიკური გადაიარაღება, საჭიროების შემთხვევაში ტრადიციული პროდუქციის გამოშვებაზე უარის თქმა (თუ მასზე მოთხოვნა ეცემა) და სამაგიეროდ ისეთი ახალი პროდუქციის წარმოება, რომელიც ადვილად გაიკვლევს გზას ადგილობრივ ბაზარზე, ხოლო პერსპექტივაში შესაძლებელი იქნება მისი საზღვარგარეთ ექსპორტირებაც.

ეკონომიკური ზრდის არსებულ ფაქტორებს შორის ერთერთი მნიშვნელოვანია შრომითი პოტენციალი. მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, ქ.რუსთავში უმუშევრობის დონე კვლავ მაღალია, მაღალკვალიფიციური კადრების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დაუსაქმებელია (განსაკუთრებით ეს ითქმის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალიზე), ხოლო დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი პროფესიის მიხედვით არ მუშაობს.

ობტიმისტურად თუ შევაფასებთ, ქ. რუსთავში წარმოების განვითარებისა და საერთოდ ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საპროგნოზო პერიოდში დასაქმებულთა რიცხვის გადიდება საგნებით შესაძლებელია, პირველ რიგში მრეწველობაში. დასაქმების ზრდა ასევე მოსალოდნელია ტრანსპორტში, კავშირგაბმულობაში, სოციალური მომსახურების დარგებში და ა.შ.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, მეწარმეობის ხელშეწყობის, ადგილობრივი ფულადი რესურსების რაციონალურად გამოყენების, უმუშევართა

გადამზადების და კვალიფიკაციის ამადლების სისტემის მოწესრიგებისა და საერთოდ დასაქმების სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის შემთხვევაში, უახლოეს 3-4 წელიწადში შესაძლებელია უმუშევრობის 5-6 პროცენტული ერთეულით შემცირება. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდასთან ერთად, აუცილებელია დიდი ყურადღება დაეთმოს როგორც ქვეყნის შიგნით (ძირითადად ქ. თბილისში), ისე საზღვარგარეთ, შრომისუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების გადინების შემცირების საკითხს. შრომითი რესურსების გადინება არა თუ უნდა შემცირდეს, არამედ უკან უნდა იქნეს მოზიდული ის მაღალკვალიფიციურებული მუშაკები, რომელთაც ცნობილი მიზეზების გამო დატოვეს ქალაქი და შემოსავლის წყაროს სხვაგან ეძებენ.

უმუშევრობასთან ერთად, საკმაოდ აქტუალურია შრომის ნაყოფიერების პრობლემა, რადგან დასაქმებული მოსახლეობა, როგორც წესი, მინიმალური უკუგებით მუშაობს. შრომის ნაყოფიერება 2004 წელს შეადგენდა ეკონომიკაში მთლიანი გამოშვების მიხედვით 1775 ლარს, მრეწველობაში – 7115 ლარს, ვაჭრობაში საქონელბრუნვის მიხედვით – 5715 ლარს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს არსებული ძირითადი კაპიტალის ეფექტიან გამოყენებაზე, რადგანაც იგი შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად უნდა გახდეს ქრუსთავის ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი. კაპიტალუკუგების მკვეთრი ზრდა ამჟამინდელ დონესთან შედარებით 2-3-ჯერაღ კი შესაძლებელია არსებული საწარმოო ფონდების ამოქმედებით, რაც საშუალებას მოგვცემს უმუშევრობის 5-6%-მდე შემცირებისათვის, ქალაქის გადინებული მაღალკვალიფიციური კადრების უკან მოზიდვა, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაუტოლდება გასული საუკუნის 90-იანი წლების საწყისი პერიოდის დონეს (1990წ. 22696 ლარი მრეწველობაში და 6393 ლარი საშუალოდ ქალაქის ეკონომიკაში), მაშინ შესაძლებელი იქნება წელიწადში დამატებით 100-130 მლნ ლარის პროდუქციის წარმოება და მიღწეულ იქნა მთლიანი რეგიონული პროდუქტის ჩვენს მიერ ნავარაუდები როგორც ოპტიმალური, ასევე ოპტიმისტური დონე.

ქრუსთავის ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება გახდეს გარე სამყაროსთან, სხვა ქვეყნებთან მრავლმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების მოგვარება, განსაკუთრებით მეზობელ და მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან, იმ ხელსაყრელი ეკონომიკური კავშირების აღდგენა, რომლებიც არსებობდა.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს შიდა კერძო ინვესტიციებს ქალაქის ეკონომიკაში, რადგან ინვესტიციების დეფიციტი მნიშვნელოვნად აყოვნებს ეკონომიკის გამორცობის პროცესს. სტაბილური ინვესტიციური გარემო, კორუფციის მასშტაბების შემცირება და კანონების ცხოვრებაში გატარება უნდა გახდეს ქრუსთავში, ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში, ინვესტიციების ზრდის ძირითადი წინაპირობა.

საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობამ როგორც მთლიანად ქვეყანას, ისე ქვემო ქართლსა და რუსთავს შესაძლებელია მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი მისცეს, რომელიც უპირველეს ყოვლისა, გასაღების ბაზრის გაფართოებაში მდგომარეობს. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა არც თუ ისე დიდია. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე დაბალია, ნათელი გახდება, რომ გასაღების ბაზარი შეზღუდული ტევადობისაა. იგი შეიძლება გაფართოვდეს მრავალი საშუალებით, მაგრამ, თუ ეს მოხდება მხოლოდ ქვეყნის შიგნით, შედეგი საკმაოდ მოკრძალებული იქნება. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესები კი როგორც ქვეყანას, ასევე ქრუსთავს, აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოვოს პროდუქციის გასაღების ბაზარი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. ბაზრის გაფართოება კი თავის მხრივ გადამწყვეტ როლს ასრულებს წარმოების მოცულობის ზრდაში, საბაზრო ეკონომიკაში წარმოება შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს გასაღების ბაზარი. თუკი ქრუსთავში წარმოებული პროდუქციის ბაზარი გაფართოვდება საერთაშორისო მასშტაბამდე, ეს მოიზიდავს უცხოელ მეწარმეებსაც, რომლებიც ქალაქის ეკონომიკაში დააბანდებენ ინვესტიციებს და შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიას, გამოიყენებენ ადგილობრივ რესურსებს. წარმოებული პროდუქცია კი გატანილი იქნება რეგიონალურ და მსოფლიო ბაზრებზე, რაც მნიშვნელოვან შემოსავლებს მოუტანს ქალაქს, მთელ ქვეყანას.

დღევანდელ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოურ კრედიტებს, პირდაპირ ინვესტიციებს, სხვა სახის დახმარებებს, რომლებიც ეფექტიანად უნდა იქნეს გამოყენებული ქალაქის ინტერესების შესაბამისად. გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ მიზანშეწონილია უცხოური ფინანსური დახმარების რაც შეიძლება მეტი წილი მოხმარდეს საწრმოო მიზნებს, რამდენადაც ის მომავალში წარმოების აღორძინების, მოგების, თვით კრედიტების დაბრუნების საშუალებას შექმნის.

ყურადღება უნდა გამახვილდეს ეკონომიკის ეფექტიანად ორგანიზაციაზე, რამდენადაც იგი არის ეკონომიკური ზრდის მძლავრი ფაქტორი, მან დასავლეთ ევროპის მთელ რიგ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში განაპირობა ეკონომიკის აყვავება. ეფექტიან ორგანიზაციას თავისთავად მოსდევს ისეთი ინსტიტუციონალური და საკუთრებითი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც ქმნის ინდივიდუალური ეკონომიკური ძალისხმევის სტიმულირებას, ეკონომიკურ აქტივობას ყველა სფეროში.

ზემოაღნიშნულთან ერთად გადმწყვეტი ნაბიჯი უნდა გადაიდგას საერთოდ და, კერძოდ, ეკონომიკაში წესრიგის დამყარებისათვის, რაც ნიშანავს მუშაობის გაძლიერებას კორუფციის, კრიმინალური საქმიანობის აღმოფხვრის, ჩრდილოვანი არაკრიმინალური ეკონომიკის სრული ლეგალიზაციისათვის, აღრიცხვის მოწესრიგებისათვის, სრული ძალით უნდა ამოქმედდეს ქვეყანაში არსებული ყველა კანონი და გასწორდეს კანონმდებლობის ხარვეზები, რაც აუცილებელია ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებისათვის, ინვესტიციური გარემოს გაუმჯობესებისათვის.

ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტრუქტურული გარდაქმნების ქვაკუთხედს – საკუთრებით ურთიერთობებს, ვინაიდან ეკონომიკური სტრუქტურის ყველა ცნობილი და ძირითადი ელემენტი სწორედ პრივატულობის პირობებში მოქმედებს განსაკუთრებულად ეფექტიანად. განვიხილოთ პრივატიზაციის სრულყოფის ღონისძიებები რეგიონში:

ეკონომიკური რეფორმის აღებული კურსის განხორციელება უშუალოდაა დამოკიდებული სრულყოფილ საკუთრებით ურთიერთობათა ჩამოყალიბებაზე, საკუთრების ფორმათა სწორ თანაფარდობაზე. პრივატიზაციის პროცესის შედეგად ქვემო ქართლში უკვე განხორციელდა კერძო საკუთრების გადაქცევა საკუთრების წამყვან ფორმად ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში, თუმცა საკუთრების ტრანსფორმაციის დადებითი შედეგები ჯერ ნაკლებად ჩანს.

ამჯერად შევჩერდებით სახელწიფო ქონების პრივატიზაციის სრულყოფის ღონისძიებებზე ახლო მომავალში. პირველ რიგში უნდა ავლნიშნოთ, რომ საკუთრების ფორმის შეცვლა (პრივატიზაცია, განსახელმწიფოებრივება) არ შეიძლება თვითმიზანი იყოს. იგი უნდა ემსახურებოდეს ქონების და საერთო ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, პროდუქციისა და მომსახურების ზრდას. ასევე დაუშვებელია პრივატიზაციის პროცესის გამოყენება ადამიანთა პირადი ინტერესებისათვის და ქვეყნის საზიანოდ (რაც არც თუ იშვიათია პრაქტიკაში).

საკუთრების ფორმების ჩამოყალიბება სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საფუძველშემქმნელი პროცესია, რის გამო იგი უთუოდ უნდა მიმდინარეობდეს საერთო-საზოგადოებრივი და შესაბამისი სუბიექტების პირადი ინტერესების დაბალანსების პირობებში და საზიანო არ უნდა იყოს რომელიმე მხრისათვის.

პრივეტიზაციის პროცესის გაგრძელებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ წინა პერიოდის გამოცდილება, რათა არ დავუშვათ ადრინდელი შეცდომები. მკაცრად უნდა იყოს დაცული სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის სრულყოფას ცალკეულ რეგიონში ორი მხარე აქვს. ჯერ ერთი, ღონისძიებები და მოქმედებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მხრივ – საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, სავალდებულო ნორმატიული აქტების შემუშავება, ორგანიზაციული და მეთოდური საკითხების გადაწყვეტა და ა.შ.

მეორე, ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება განახორციელონ მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა და სახელმწიფო ქონების პრივეტიზაციაზე და მართვაზე პასუხისმგებლობის უწყების (ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო) რეგიონულმა ორგანომ. მაშასადამე, ადგილობრივ ორგანოთა ძალისხმევა ამ საკითხში ძირითიდად გამოიხატება სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და სამართლებრივი აქტების სწორად და ეფექტურად რეალიზებაში.

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ გაუმართლებელია ე.წ. “მასობრივი პრივატიზაციის” ლოზუნგით კურსის აღება “ყვალაფრის გაყიდვისა” და პრივატიზების პროცესის ზედმეტი ფორსირებისაკენ, რის შედეგადაც ადგილი აქვს შეცდომებს პრივატიზაციის ფორმების განსაზღვრაში, საპრივატიზაციო ობიექტის დადგენაში, ფასის განსაზღვრასი და ა.შ. საზიანოა ისეთი მდგომარეობა, როცა არავინ აგებს პასუხს არასწორად, ზოგჯერ სახელმწიფოსა და ხალხისათვის მეტად წამგებიანად განხორციელებული პრივატიზაციისათვის, რასაც მოჰყვება ხალხის ქონების განიაგება. საჭიროა ამგვარ სიტუაციაზე რეაგირების საშუალებას კანონი იძლეოდეს. ასევე პრივეტიზაციის შედეგად სახელმწიფოს შემოსავლების შემცირება კერძო საკუთრებაში გადასული ობიექტებიდან უნდა ფასდებოდეს უარყოფითად და უნდა იწვევდეს სათანადო

რეაგირებას სახელმწიფოს მხრივ, რამდენადაც ეს არის სახელმწიფო და ქალაქის ბიუჯეტების დანაკარგი.

ქვემო ქართლში სახელმწიფო ქონების პრივეტიზაციის პროცესის სრულყოფის ძირითადი ღონისძიებები გამსხვილებული სახით პროგრამულ ასპექტში წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

**saxelmw. qonebis privetizaciis procesis
srulyofis ZiriTadi RonisZiebebi**

№	RonisZiebis Sinaarsi	savaraudo Semsrulebeli	prognozirebadi Sedegi
(1)	(2)	(3)	(4)
1.	უკვე პრივატიზირებული ქონების მართვისა და განკარგვის შემოწმება, მისი ფუნქციონირების დადასტურება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ქონების ნაციონალიზაცია და რეპრივატიზაცია.	1) საქართველოს პარლამენტი; 2) სამხარეო შესაბამისი სამსახურები.	1) პრივატიზირებული ქონების უკეთესი მართვა და მისი ფუნქციონირების გაუმჯობესება; 2) უმოქმედო ობიექტების მწყობრში ჩადგომა; 3) ბიუჯეტის შევსება საპრივატიზაციო თანხებით;
2.	პრივეტიზაციის თანხების ადგილობრივსა და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის გადანაწილება ობიექტის ფუნქციონირებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით.	1) საქართველოს პარლამენტი; 2) ფინანსთა სამინისტრო; 3) ეკონომიკის სამინისტრო; 4) რეგიონული სამსახური.	რეგიონში საკუთარი საინვესტიციო თანხების ზრდა; მათი შემდგომში რეალურ ინვესტიციებად გადაქცევა.
3.	საპრივატიზაციო პროცესის გამჭვირვალობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; კანონის უზენაესობა პროცესის ყველა წევრისათვის.	1) ყველა სამსახური, რომელიც კავშირშია საპრივატიზაციო პროცესთან	1) ადგილობრივი მოსახლეობისა და უცხოელების მხრიდან ნდობის ზრდა; 2) საინვესტიციო თანხების მოდინება რეგიონის ეკ.-კაში.

რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურის რეფორმირების უმნიშვნელოვანესი პრობლემა რეგიონული საფინანსო ბაზრების ფორმირებაა, რომელიც ეკონომიკური რეფორმის შემადგენელი ნაწილია. საფინანსო ბაზარი ეროვნულ მეურნეობაში, მათ შორის რეგიონის ეკონომიკაში, ფულადი სახსრების მოძრაობის განსაკუთრებული ფორმაა, იგი ფუნქციონირებს როგორც **ფასიანი ქაღალდების სახით**, ისე **სასესხო კაპიტალის ბაზრის** სახით. რეგიონული ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონებში განფენილი საბანკო სისტემის, მათ შორის

ეროვნული ბანკის ოპტიმალურ ღონისძიებებს და ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციას. ამასთან საჭიროა, რომ ეროვნული ბანკი ფლობდეს ფულადი მასის რეგულირების შესაბამის ინსტრუმენტებს.

ქვემო ქართლის რეგიონში ფასიანი ქაღალდების ბაზარი უნდა წარმოადგენდეს როგორც ფულადი ბაზრის, ისე კაპიტალის ბაზრის სეგმენტს, რათა ფულადი რესურსები გადანაწილდეს სადაზღვევო ბაზრის მეშვეობით, იმოძრაოს პირდაპირმა საბანკო კრედიტებმა, საფირმო და შიდასაფირმო კრედიტებმა და ა.შ.

ქვემო ქართლის რეგიონის ფასიანი ქაღალდებისა და სასესხო კაპიტალის ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფ და დასახვეწი ღონისძიებებად მიგვაჩნია შემდეგ მოქმედებათა კომპლექსი:

–რეგიონში საფონდო ბირჟების განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ქვეყნების აპრობირებული მოდელები, რომლებიც ხელს შეუწყობენ და სტიმულს მისცემენ მხარის ფასიანი ქაღალდების და სასესხო კაპიტალის ბაზარზე საინვესტიციო, საკლირინგო, საანგარიშსწორებო და სხვა სახის საქმიანობის გაშლას;

–მხარეში რეგიონული ორგანიზებული ფასიანი ქაღალდებისა და სასესხო კაპიტალის ბაზრის შექმნას;

–იმ ნორმატიული ბაზისა და ორგანიზაციული მექანიზმების სრულყოფას, რომლებიც ხელს უწყობენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;

–ქვემო ქართლის რეგიონში არსებული ფასიანი ქაღალდების ჯერ ახლომდებარე ქვეყნების, ხოლო შემდეგ შორეული ქვეყნების საფონდო თუ არა, არასაფონდო (სადილერო) ბირჟებზე წარმოდგენა, მხარის გლობალიზაციის პროცესებში ჩართვა, რათა ეკონომიკურ სივრცეს ხელს არ უშლიდეს გეოგრაფიული ბარიერები;

–ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ინტერნეტის, ყველაზე ხელსაყრელი და მოსახერხებელი ინსტრუმენტის გამოყენება ფასიანი ქაღალდებისა და კრედიტების ბაზარზე (**SEAQ INTERNATIONAL** – ელექტრონული სავაჭრო სისტემა);

–უცხოური ფასიანი ქაღალდების შემოტანა რეგიონალ ბაზარზე (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული, თურქული, ევროპული, ირანული, და სხვ.) და მათი ასორტიმენტის შემდგომი გაფართოება. თანამედროვე პირობებში საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ინსტიტუტების განმტკიცების, რეგიონული საფონდო ბირჟების ეფექტიანობის ზრდის გარეშე შეუძლებელია

განვითარებული საწარმოო სტრუქტურების ეფექტიანი ფუნქციონირება. რეგიონული საფონდო ბაზარი არის ეკონომიური სისტემის დინამიური ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკურ სისტემაში რესურსების განაწილების ხარისხს.

მოსახლეობის დანახოგების ორგანიზაციის პროცესი მოითხოვს ბაზრის ახალი სექტორის შექმნას, რომელიც უშუალოდ მოსახლეობაზე იქნება ორიენტირებული. სწორედ აღნიშნული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაა შესაძლებელ რეგიონული საფონდო ცენტრების შექმნის გზით. ეს ცენტრები ხელს შეუწყობენ და გაუადვილებენ მოსახლეობას ცივილიზებული მონაწილეობის მიღებას რეგიონული საფონდო ბაზრის საქმიანობაში. ეს ცენტრები წარმოადგენენ საფონდო მომსახურების ბაზრებს, რომლებიც ნებისმიერ სუბიექტს შესთავაზებენ შემდეგ შესაძლებლობებს:

1. ინვესტორების საინფორმაციო საკონსულტაციო მომსახურებას;
2. ემიტენტების საკონსულტაციო მომსახურება;
3. ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა-დაბანდება;
4. საპაიო საინვესტიციო ფონდებში შენატანების განაწილება და გამოსყიდვის მომსახურება;
5. ინვესტიციების “პორტფელში” გადასვლის (ანუ ფასიან ქაღალდებში ჩადების), დივიდენდებზე კონტროლის, “პროქსი“-ზე* კონტროლისა და სხვა მომსახურების გაწევა.

როგორც დავინახეთ, ქვემო ქართლის ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფა მრავალი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს, რომელთაგან პრიორიტეტულად ზემოჩამოთვლილნი მიგვაჩნია, საინტერესოა ამ შემთხვევაში შემდეგი – რომელი აპრობირებული თუ ახალი ინსტრუმენტებისა თუ მექანიზმის გამოყენებითაა შესაძლებელი ყოველივე დასახულის მიღწევა?

ამოცანის გადაწყვეტას შეიძლება მივადწიოთ ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებათა რაოდენობრივი შეფასების ყველა შესაძლო პარამეტრის მხოლოდ კომპლექსური გამოყენებით, ვინაიდან ეს პარამეტრები ურთიერთშემავსებელნი არიან და არა ურთიერთგამომრიცხავნი.

შევაფასოთ ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება π -ენტროპიული მეთოდით, რომელიც გულისხმობს სტრუქტურის სირთულის განსაზღვრას და მასში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე შესაბამისი კოეფიციენტების მიხედვით რაოდენობრივად აფასებს სტრუქტურულ ცვლილებას

(ზოგადად, სტრუქტურის სირთულე $\pi(X)$ წარმოსდგება, როგორც მისი ცალკეული ელემენტების სირთულის ჯამი):

$$\pi(X) = -\sum_{i=1}^n X_i \log x_i, \quad (1)$$

სადაც $x - X$ ეკონომიკური სტრუქტურის i -ური ელემენტია.

π -ენტროპიის (1) ფორმულა ფლობს რიგ კარგად შესწავლილ თვისებებს, რომელთაგან ჩვენთვის საინტერესო შემდეგი:

1. $\pi(X)$ ფუნქცია წარმოადგენს ჩაზნექილს $0 \leq x_i \leq 1, i=1, \dots, n$ სიმრავლეზე და $\sum_{i=1}^n x_i = 1$; ფუნქცია თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს $x_i = \frac{1}{n} (i=1, 2, \dots, n)$ წერტილში როდესაც ეკონომიკურ სტრუქტურაში ყველა ელემენტების ხვედრითი წონები ერთმანეთის ტოლია. ჩვენს შემთხვევაში ამ მაქსიმალურ მნიშვნელობას

წარმოადგენს $\pi(X) = \log n$ (იგულისხმება, რომ $\log n = \log_2 n$), ვინაიდან რეგიონის სასტრუქტურაწარმომქმნელი ელემენტები ხვედრითი წონებით არ არიან ტოლფასნი; ანუ თუ $n = 10$, მაშინ ფუნქცია თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს $\pi(X) = \log 10$, ეს კი იგივეა, რაც:

$$\log_2 10 = \frac{\ln 10}{\ln 2} = \frac{2.3026}{0.6931} = 3.3$$

როგორც ვხედავთ, ეს გადახრა შორსაა მაქსიმალური გადახრის - $1/10$ - მნიშვნელობისაგან, რაც ძალზე იმედისმომცემი შედეგია დეპრესიული რეგიონისათვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოპტიმალური სტრუქტურის ძიების საშუალებას ეს მეთოდი არ იძლევა, არამედ მხოლოდ ზომავს შესადარ სტრუქტურებს შორის არსებულ ცვლილებებს.

2. π -ენტროპიის მეთოდი სტაბილურობის კოეფიციენტების გაანგარიშების საფუძველზე საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ რამდანად სწორი მიმართულებით ხორციელდებოდა ცვლილება წლების მანძილზე. სტრუქტურული დინამიკის ტენდენციის სტაბილურობის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც ფაქტიური ტრაექტორიების მქონე სტრუქტურულ ცვლილებათა ფარდობა:

$$\sigma(t, t+Q) = \frac{\Delta \pi(X_t, X_{t+Q})}{\Delta \pi(X_t, X_{t-Q})} \quad (2)$$

სადაც:

$X(t)$ და $X(t+Q)$ - დროის ფუნქციის სახით წარმოდგენილი ეკონომიკური სტრუქტურებია; მრიცხველი - წარმოადგენს $X(t)$ -დან $X(t+Q)$ -ზე

თანაბარზომიერი სტრუქტურულ ცვლილებებს ტრაექტორიით გადასვლისას $X(t)$ და $X(t+Q)$ -ს შორის სტრუქტურულ ცვლილებებს; მნიშვნელი კი გვიჩვენებს $X(t)$ და $X(t+Q)$ -ს შორის სტრუქტურულ ცვლილებებს $X(t)$ -დან $X(t+Q)$ -ზე ფაქტიური ტრაექტორიით გადასვლისას. რაც უფრო დიდია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით სტაბილურია ეკონომიკური სტრუქტურის დინამიკის ტენდენცია და შესაბამისად რაც დცირება მისი მნიშვნელობა, მით არსებითია ფაქტიური სტრუქტურის ცვლილებების გადახრა თანაბარზომიერი ტრაექტორიით მოძრავი ეკონომიკური სტრუქტურისაგან. მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაში, ეს კოეფიციენტი საშუალებას იძლევა, განისაზღვროს საანგარიშო პერიოდის დასაწყისში არსებული სტრუქტურიდან რამდენად მიზანმიმართული ცვლილებით მოხდა საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის ჩამოყალიბებულ სტრუქტურაზე გადასვლა, ანუ რამდენად სწორი იყო მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების მიმართულება. ჩვენს შემთხვევაში გასაანგარიშებელი იყო 10 ვარიანტი, რის შედეგადაც მივიღეთ კოეფიციენტის მნიშვნელობები (ცხრილი 3.1.5.-ის მიხედვით):

- სოფლის მეურნეობა: $\sigma(t, t+Q)=0.74; 1.5; 2.1$ – ზრდის დინამიკა სტაბილურია;
- შინამეურნეობები: $\sigma(t, t+Q)=0.98; 1.02; 1.06$ – ზრდის დინამიკა სტაბილურია;
- მრეწველობა: $\sigma(t, t+Q)=1.42; 0.77; 0.92$ – დინამიკა არასტაბილურია;
- მშენებლობა: $\sigma(t, t+Q)=1.2; 0.85; 0.72$ – სტაბილურია კლების დინამიკა;
- ვაჭრობა: $\sigma(t, t+Q)=0.88; 1.16; 1.43$ – ზრდის დინამიკა სტაბილურია;
- ტრანსპორტი: $\sigma(t, t+Q)=1.53; 0.74; 1.01$ – დინამიკა არასტაბილურია;
- მართვა: $\sigma(t, t+Q)=1.86; 2.16; 2.43$ – ზრდის დინამიკა სტაბილურია;
- განათლება: $\sigma(t, t+Q)=0.74; 1.55; 1.91$ – ზრდის დინამიკა სტაბილურია;
- ჯანდაცვა: $\sigma(t, t+Q)=1.5; 3; 4.1$ – ზრდის დინამიკა სტაბილურია;
- სხვა მომსახურება: $\sigma(t, t+Q)=1.34; 3.96; 1.54$ – დინამიკა არასტაბილურია.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის რიგ პუბლიკაციებში სტრუქტურულ ცვლილებათა გამზომად კუთხის კოსინუსი გამოიყენება, სახელწოდებით “მსგავსების კოეფიციენტი”, ან “კოეფიციენტ – კოსინუსი”.

$$\cos \alpha = \frac{(X^0, X^t)}{\|X^0\| \|X^t\|} . \quad (3)$$

სწორედ ამ მაჩვენებლის (X^0 და X^t ვექტორებს შორის კუთხის) გეომეტრიული ინტერპრეტაცია წარმოადგენს დისკუსიის საგანს. შესაძარ ეკონომიკურ სტრუქტურათა ვექტორებს შორის შექმნილი კუთხის შერჩევისას შეიძლება

გამოვეოთ სამი მიმართულება: პირველის თანახმად, ეკონომიკური სტრუქტურულ ცვლილებათა გაზომვისათვის ეკონომიკურ სტრუქტურათა ვექტორებს შორის კუთხის შეფასების საფუძველად აიღება ამ ვექტორებს შორის სიშორის მაჩვენებელი (ან ოქტაედრიული, ან ევკლიდური), მეორის თანახმად – ეკონომიკურ სტრუქტურათა ცვლილებები იზომება უშუალოდ შესადარ ეკონომიკურ სტრუქტურათა ვექტორებს შორის კუთხით, მესამის თანახმად კი – ეკონომიკური სტრუქტურული ცვლილებების შეფასება ხორციელდება ერთად აღებული, პირველი და მეორე მიმართულების მაჩვენებელთა კომპლექსის მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებათა მაჩვენებელი მარტივად გამოითვლებიან, შესადარ სტრუქტურათა ვექტორებს შორის კუთხე ხასიათდება შეუსაბამობის ხარვეზით როგორც ოქტაედრიული, ისე ევკლიდური სიშორის მაჩვენებლისათვის, ამიტომ X და X' n -განზომილებიანი ვექტორებია i -ური ელემენტებით, ე.ი. $(X^0, X^t) = \sum_{i=1}^n x_i^0 x_i^t - X^0 X^t$ ვექტორების სკალარული ნამრავლია, X შტრიხის ელემენტების ცვალებადობისადმი გაავადიფერენციალთ (3) ფორმულა:

$$\frac{\partial \cos \alpha}{\partial X_i^t} = \frac{1}{|X^0|} \times \frac{d}{dx_i^t} \times \frac{(X^0, X^t)}{|X^t|} \quad (4)$$

მის შემდგომ გარადაქმნას ექნება სახე:

$$\frac{\partial \alpha}{\partial X_i^t} = \frac{1}{|X^t| \sin \alpha} \times \left(\frac{x_i^t}{|X^t|} \cos \alpha - \frac{x_i^0}{|X^0|} \right) \quad (5)$$

აღფას მცირე მნიშვნელობისათვის $\sin \alpha = \alpha$, $\cos \alpha = 1$; მიახლოებების მნიშვნელობათა გათვალისწინებით (5) მიიღებს გაცილებით მარტივ სახეს:

$$\frac{\partial \alpha}{\partial X_i^t} \approx \frac{1}{\alpha |X^t|} \left(\frac{x_i^t}{|X^t|} - \frac{x_i^0}{|X^0|} \right) \quad \partial \alpha / \partial x_i^t \quad (6)$$

კერძო წარმოებულები იღებენ როგორც დადებით, ისე უარყოფით მნიშვნელობას. მისი დიდი მნიშვნელობანი ეთანადება X -ს ელემენტებს, რომელთა შედარებით მცირე გადიდებას მიყვევართ საგრძნობ სტრუქტურულ ცვლილებებთან.

$x_i^t / |X^t|$ თანაფარდობა არის იმ კუთხის კოსინუსი, რომელსაც X ვექტორი ქმნის i -ურ კოორდინატთა ღერძთან. მცირე კუთხისათვის ის ახლოსაა

ერთთან და მის 90 გრადუსამდე გაზრდისას უახლოვდება 0-ს. (6)-დან გამომდინარეობს, რომ სტრუქტურაწარმომქმნელი კომპონენტისათვის:

$$\frac{x_i^t}{|X^t|} > \frac{x_i^0}{|X^0|} \quad (7)$$

სტრუქტურაშემნარჩუნებლისათვის:

$$\frac{x_i^t}{|X^t|} < \frac{x_i^0}{|X^0|} \quad (8)$$

(7) და (8)-დან გამომდინარეობს, რომ კუთხე, რომელსაც შეადგენს X ვექტორი OX ღერძთან t მომენტში, სტრუქტურაგანმსაზღვრელი კომპონენტებისათვის, ნაკლებია ანალოგიურ კუთხეზე საბაზისო მომენტში და პირიქით – კუთხე, რომელსაც X ვექტორი სტრუქტურაშემნარჩუნებელ კომპონენტთან ღერძთან ქმნის, გამუდმებით იზრდება, რის შედეგადაც X ვექტორი შორდება შესაბამის კოორდინატთა ღერძს. გავიანგარიშოთ (7) და (8) ქვემო ქართლის სტრუქტურაწარმომქმნელი ელემენტებისათვის, რათა გავარკვიოთ, რომელი მათგანია სტრუქტურაწარმომქმნელი და რომელი – სტრუქტურაშემნარჩუნებელი (იხილეთ გრაფიკები №№1, 2, 3, 4, გვ.124; ვინაიდან დროითი შუალედი მცირეა, მივიღეთ ზემოთმოყვანილი დაშვება ალფა კუთხის მცირე მნიშვნელობებისათვის):

სოფლის მეურნეობა $\alpha_3 < \alpha_1$ – სტრუქტურაშემნარჩუნებელი;

შინამეურნეობები $\alpha_3 \approx \alpha_1$ – სტრუქტურაწარმომქმნელი;

მრეწველობა $\alpha_3 > \alpha_1$ – სტრუქტურაწარმომქმნელი;

მშენებლობა $\alpha_3 > \alpha_1$ – სტრუქტურაწარმომქმნელი;

ვაჭრობა $\alpha_3 \approx \alpha_1$ – სტრუქტურაშემნარჩუნებელი;

ტრანსპორტი $\alpha_3 > \alpha_1$ – სტრუქტურაწარმომქმნელი;

მართვა $\alpha_3 \approx \alpha_1$ – სტრუქტურაშემნარჩუნებელი;

განათლება $\alpha_3 > \alpha_1$ – სტრუქტურაწარმომქმნელი;

ჯანდაცვა $\alpha_3 > \alpha_1$ – სტრუქტურაწარმომქმნელი;

სხვა მომსახურება $\alpha_3 > \alpha_1$ – სტრუქტურაწარმომქმნელი.

პროფესორ გ. მანასიანის მიერ განსაზღვრულია სტრუქტურის ცალკეული ელემენტებისათვის სტრუქტურულ ცვლილებათა ელასტიურობა, როგორც:

$$\beta_i = \frac{\partial \alpha}{\partial x'_i} \div \frac{\alpha}{x'_i} = \frac{1}{|X'| \alpha \sin \alpha} \left(\frac{(x'_i)^2}{|X'|} \cos \alpha - \frac{x_i^0 x'_i}{|X^0|} \right) \quad (9)$$

სადაც ბეტა არის პროცენტი, რომლითაც იზრდება ალფა კუთხე X-ის ზრდისას. მის მიერვე ეკონომიკურ სტრუქტურულ ცვლილებათა კოეფიციენტი განისაზღვრა შემდეგი თანაფარდობით: $\frac{\varphi(x, Y)}{\phi}$, სადაც აღნიშნული კუთხე

იზომება შესადარ ეკონომიკურ სტრუქტურათა ვექტორებსა და იმ კოორდინატთა ღერძს შორის, რომელიც უზრუნველყოფს ამ კუთხის მინიმალურ მნიშვნელობას. ჩვენ ვერ გამოვიყენებთ ამ მიდგომას საკვლევი რეგიონის მიმართ, ვინაიდან, ჩვენი აზრით, მას ორი ხარვეზი გააჩნია:

1. $\frac{\varphi(x, Y)}{\phi}$ -ის მნიშვნელობა უშუალოდ და დამოკიდებული იმაზე, თუ X-სა და Y-ს შორის რომელია საბაზისო მნიშვნელობისა;
2. მეორე ხარვეზი კი ისაა, რომ გ.მინასიანს არ მოუცია შესაბამისობა კუთხის მნიშვნელობასა და სტრუქტურულ ცვლილებათა რაოდენობას შორის.

ღ. კაზინეცის მიერ შემოთავაზებული სტრუქტურული ძვრების მაჩვენებელთა სისტემა გამოიყენება დინამიკური მწკრივებისათვის. მისი მეშვეობით იზომება ეკონომიკურ მაჩვენებელთა ცვლილების ინტენსივობა და სიჩქარე დროში (აღსანიშნავია, რომ ავტორი არ გამიჯნავს ერთმანეთისაგან ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა ”სტრუქტურული ცვლილებები” და ”სტრუქტურული ძვრა”). მის მეთოდში მოცემულია მაჩვენებელთა ორი სისტემა: აბსოლუტური, რომლებიც გვიჩვენებენ შესადარი მთელისა და მისი ნაწილების ხვედრით წონებს შორის სხვაობას და შეფარდაბითნი, რომლებიც გვიჩვენებენ ამ ხვედრით წონების თანაფარდობას. ეს საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ შესასწავლი მთელის ნაწილთა ხვედრითი წონების თანაფარდობაზე, ხოლო შესასწავლი მთელის სტრუქტურაში ძვრების შესაფასებლად კი ღ. კაზინეცი გვთავაზობს სტრუქტურული ძვრების კრებისთა მაჩვენებელს. აბსოლუტური სტრუქტურული ძვრების წრფივი კოეფიციენტია:

$$\delta_{F_2-F_1} = \frac{\sum |F_2 - F_1|}{n} ,$$

სადაც $F_1 - F_2$ მიმდინარე პერიოდში საბაზისოსთან შედარებით მთელის ნაწილთა ხვედრითი წონების აბსოლუტური ნაზრდების აბსოლუტური მნიშვნელობებია. ვინაიდან ეს კოეფიციენტი ახასიათებს ხვედრითი წონების

გადახრათა საშუალო სიდიდეს (ე.ი. გვიხვენებს, საშუალოდ რამდენი პროცენტით გადაიხრება შესადარ ერთობლიობათა ნაწილების ხვედრითი წონები ერთმანეთისაგან), რაც დიდია მისი მნიშვნელობა, მით მატადაა გადახრილი ცალკეული ნაწილების ხვედრითი წონები დროის ორ შესადარ პერიოდში, Xოლო თუ ამავე პერიოდში სტრუქტურები ემთხვევა, მაშინ აბსოლუტური სტრუქტურული ძვრების წრფივი კოეფიციენტი 0-ის ტოლი ხდება.

აბსოლუტური სტრუქტურული ძვრების კვადრატული კოეფიციენტი წარმოადგენს ორ შესადარ პერიოდში ცალკეული ნაწილების ხვედრითი წონების აბსოლუტური გადახრების მარტივ საშუალო კვადრატულს:

$$\sigma_{F_2-F_1} = \sqrt{\frac{\sum (F_2 - F_1)^2}{n}}$$

ეს კოეფიციენტი საშუალებას გვაძლევს რაოდენობრივად შევაფასოთ, საშუალოდ რამდენი პროცენტით გადაიხრება ერთმანეთისაგან შესადარ ერთობლიობაში ცალკეული ნაწილების ხვედრითი წონები. სტრუქტურული ძვრების არარსებობის შემთხვევაში კვადრატული კოეფიციენტი 0-ის ტოლი ხდება.

მიგვაჩნია, რომ აბსოლუტური სტრუქტურული ძვრების წრფივი კოეფიციენტის გამოანგარიშების სიმარტივე მის ერთადერთ ღირსებას წარმოადგენს, ვინაიდან გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ იგი ნაკლებად “ფხიზლად” რეაგირებს სატრუქტურულ ძვრებზე.

შეფარდებითი სტრუქტურული ძვრების კრებსით მაჩვენებელს საფუძვლად უდევს განსახილველი მთელის ცალკეული ნაწილების ხვედრითი წონების ზრდის ტემპები, რომელთა ვარიაციის ხარისხიც წარმოადგენს მათ კრებსით განმაზოგადებელ მახასიათებელს. შეფარდებითი სტრუქტურული

ძვრების წრფივი კოეფიციენტი $\delta_{\frac{F_2}{F_1}} = \sum \left| \frac{F_2}{F_1} - 1 \right| F_1$ გვიჩვენებს ერთობლიობის

ცალკეული ნაწილების ხვედრითი წონების ცვლილების არა საშუალო სიჩქარეს, არამედ საშუალო ინტენსივობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს კოეფიციენტი იძლევა საშუალებას, დავადგინოთ საბაზისო პერიოდთან შედარებით (რომლის ხვედრითი წონები მიღებულია ჩაითვალოს 1-ის ტოლად), რამდენი პროცენტით შეიცვალა საშუალოდ მთელის ცალკეული ნაწილების ხვედრითი წონები (მარტივად – როგორია ხვედრითი წონების საშუალო შეფარდებითი ნაზრდი).

შეფარდებითი სტრუქტურული ძვრების კვადრატული კოეფიციენტი) –

$$\sigma_{\frac{F_2}{F_1}} = \sqrt{\sum \left| \frac{F_2}{F_1} - 1 \right|^2} \times F_1 \times 100 \quad \text{გვიჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენით გადაისრება}$$

მთელის ცალკეული ნაწილების ზრდის კოეფიციენტი მათი საშუალო მნიშვნელობიდან, რომელიც 1-ის ტოლია (მარტივად – როგორია ხვედრითი წონების გადახრების საშუალო სიდიდე). აბსოლუტური და შეფარდებითი სტრუქტურული ძვრების კოეფიციენტები იძლევა სტრუქტურული ძვრების კრების რაოდენობრივ დახასიათებას. მაგრამ მათი დახმარებით შეუძლებელია დადგინდეს სტრუქტურული ძვრების მიმდინარეობის მიმართულება, ანუ პასუხი გაეცეს კითხვას: გაუმჯობესდა თუ გაუარესდა შესასწავლი ერთობლიობის სტრუქტურა? განვიხილოთ ეს ქვემო ქართლის მაჩვენებელთა გამოყენებით:

შეფარდებითი სტრუქტურული ძვრების წრფივი კოეფიციენტი **ძვრის ზრდის მიხედვით დალაგებული**

სოფლის მეურნეობა: $\delta = \left \frac{24}{28.9} - 1 \right \times 28.9 = 4.9$	0.2 - ჯანდაცვა
შინამეურნეობები: $\delta = \left \frac{5.3}{5.9} - 1 \right \times 5.9 = 0.6$	0.29 - ვაჭრობა
მრეწველობა: $\delta = \left \frac{17.5}{14.5 - 1} \right \times 14.5 = 2.99$	0.6 - შინამეურნეობები
მშენებლობა: $\delta = \left \frac{7.5}{5.0} - 1 \right \times 5.0 = 2.5$	0.8 - განათლება
ვაჭრობა: $\delta = \left \frac{16.4}{16.1} - 1 \right \times 16.1 = 0.29$	1.1 - მართვა
ტრანსპორტი: $\delta = \left \frac{13.1}{7.9} - 1 \right \times 7.9 = 5.2$	2.5 - მშენებლობა
მართვა: $\delta = \left \frac{2.7}{1.6} - 1 \right \times 1.6 = 1.1$	2.99 - მრეწველობა
განათლება: $\delta = \left \frac{3.0}{2.2} - 1 \right \times 2.2 = 0.8$	4.9 - სოფლის მეურნეობა
ჯანდაცვა: $\delta = \left \frac{3.6}{3.8} - 1 \right \times 3.8 = 0.2$	5.2 - ტრანსპორტი:
სხვა მომსახურება: $\delta = \left \frac{6.8}{14.1} - 1 \right \times 14.1 = 7.3$	7.3 - სხვა მომსახურება

შეფარდებითი სტრუქტურული ძვრების წრფივი კოეფიციენტის ზრდის მიხედვით ასეთი სურათი მივიღეთ, მაგრამ უნდა დავაკვირდეთ, რომ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობის ზრდა არ მიუთითებს ართი ელემენტის პრიორიტეტულ ზრდაზე მეორე სთან შედარებით, გარდა ამისა, აქ ვერ დავინახავთ ცვლილების მიმართულებას. ასე, “სხვა მომსახურება” 2001-2004წწ პეროდში აბსოლუტური

მაჩვენებლით სტაბილურ კლებას გვიჩვენებდა, ამ მაჩვენებლით კი ფიქსირდება ძალზე დიდი ძვრა (7.3), რომელიც რეალობაში სტაბილურ კლებას აჩვენებს.

ანალოგიური გამოთვლები ჩავატარეთ შეფარდებითი სტრუქტურული ძვრების

კვადრატული კოეფიციენტისათვისაც:
$$\sigma_{\frac{F_2}{F_1}} = \sqrt{\sum \left| \frac{F_2}{F_1} - 1 \right|^2} \times F_1 \times 100 :$$

შეფარდებითი სტრუქტურული ძვრების კვადრატული კოეფიციენტი	ძვრის ზრდის მიხედვით დალაგებული
სოფლის მეურნეობა $\delta = 9.1$	0.75 - ვაჭრობა
შინამეურნეობები $\delta = 2.47$	1.02 - ჯანდაცვა
მრეწველობა $\delta = 7.86$	2.47 - შინამეურნეობები
მშენებლობა $\delta = 11.18$	5.39 - განათლება
ვაჭრობა $\delta = 0.75$	7.86 - მრეწველობა
ტრანსპორტი $\delta = 18.49$	8.7 - მართვა
მართვა $\delta = 8.7$	9.1 - სოფლის მეურნეობა
განათლება $\delta = 5.39$	11.18 - მშენებლობა
ჯანდაცვა $\delta = 1.02$	18.49 - ტრანსპორტი
სხვა მომსახურება $\delta = 19.43$	19.43 - სხვა მომსახურება

ამ კოეფიციენტის მიერ დახასიათებული ცვლილებებიც ნათლად გამოხატავენ შიდა დინამიკის ინტენსივობას ცვლილების მიმართულების მიუთითებლად. მაგალითად, ყველაზე ნაკლები ინტენსივობით აქ ვაჭრობა ხასიათდება, თუმცა აბსოლუტური მაჩვენებლებით ეს “თანაბარზომიერად” ცვლადი ელემენტია და სწორედ ამან განაპირობა კოეფიციენტის მცირე მნიშვნელობაც.

როგორც დავინახეთ, მიუხედავად 2001-2002 წწ აბსოლუტური მაჩვენებლების მკვეთრი გაუარესებისა წინა პერიოდებთან (90-იანი წლები) შედარებით, გარკვეული ძვრები, რომელიც ქვემო ქართლის მხარეს გააჩნია 2002-2004წწ განმავლობაში შეფარდებით მაჩვენებლებში უფრო ნათლად ვლინდება. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ანალიზის არსებული მეთოდოლოგია და ტექნიკა დასახვეწია და იგი უნდა გამოხატავდეს ეკონომიკის სტრუქტურული ძვრებისა და სტრუქტურაწარმომქმნელი ელემენტების არა მარტო მიმართულებას, ინტენსივობას ან გადახრას ცალ-ცალკე, არამედ, შეძლებისდაგვარად ამომწურავ ინფორმაციას უნდა იძლეოდეს სამივე, ან მეტი მიმართულები.

daskvnebi da winadadebebi

სტრუქტურული გარდაქმნის პირველ ფაზაზე, როგორც დავინახეთ, გარდაუვლად იქმნება ინვესტიციური რესურსების სიმცირე, ვინაიდან ფინანსური ბაზრის მოუმწიფებლობა, ეფექტიანი ინსტიტუციონალური ინვესტორების არარსებობა განაპირობებს კაპიტალის დაბალ ეფექტიანობასა და დაბალ მობილურობას; ყოველივე ეს კი ჯამში იძლევა არსებული საინვესტიციო რესურსების ეფექტიანობის დაქვეითებას. ამიტომაც სტრუქტურული მანვერი მოითხოვს პოტენციურ შესაძლებლობათა მკაცრ ლიმიტირებას, რესურსების შიდადარგობრივ და დარგთაშორის დონეზე ელასტიურ გადანაწილებას.

რეფორმის პროგრამის რეალიზაცია (როგორც სხვა პროგრამებისაც), მოითხოვს რიგი ღრმა ცვლილებების ეტაპობრივ განხორციელებას სახალხო მეურნეობაში, რომლებიც გათვლილია მრავალ წელზე. სახელმწიფო ოფიციალური დოკუმენტების რიგში ხაზგასმულია ეკონომიკის მიერ გადატანილი ვარდნის საერთო ხასიათის სტრუქტურულში გადაყვანის აუცილებლობა, როცა ობიექტურად არასაჭირო და არაქმედითუნარიანი საწარმოების შეკვეცის ან პროფილის შეცვლის ხარჯზე ნელდება ვარდნის სიჩქარე, სტაბილიზდება მოთხოვნით მოსარგებლე პროდუქციის გამოშვება, იქმნება პირობები საქმიანობის იმ პერსპექტიული სახეობების გამოცოცხლებისა და განვითარებისათვის, რომლებიც ქვეყნის რეალური ეკონომიკური პოტენციალის ფორმირებას ახდენენ. საქართველოს სამთავრობო პროგრამაში “ეკონომიკური რეფორმები და განვითარება” მითითებულია:

“თანამედროვე სიტუაცია ქართულ ეკონომიკაში და ეკონომიკური ზრდის ამოცანები რეფორმათა ახალ ეტაპზე კარნახობენ სტრუქტურული გარდაქმნის აუცილებლობას. მთავრობა აპირებს ამისათვის, პირველ რიგში, საინვესტიციო პოლიტიკის ინსტრუმენტების, სახელმწიფო შესყიდვების, რესპუბლიკური მიზნობრივი პროგრამების გამოყენებას; ყოველივე ამის განხორციელება მოხდება იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომელსაც წარმოშობს ფინანსური სტაბილიზაცია”.

საქართველოში და მის ცალკეულ რეგიონებში ობიექტურად არასაჭირო და არაეფექტიანი საწარმოების სრული ანდა ნაწილობრივი

გარდაქმნა დღევანდელი რეალობის მოთხოვნაა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი საწარმოების ნუსხა, რომლებიც სრულიად უნდა გაუქმდნენ, არც თუ ისე დიდია. პრაქტიკულად ყველა საწარმოსა თუ დარგს, რომელიც ფუნქციონირებს რეგიონში, აქვს სრული თუ ნაწილობრივი აღდგენის პერსპექტივა. საბჭოთა საქართველოსათვის დამახასიათებელმა “მძიმე” სტრუქტურამ, ე.ი. მისმა გადახრამ მძიმე მრეწველობისაკენ, ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკაში “დაგვიტოვა” შავი მეტალურგიის დიდი ხვედრითი წილი. გადამამუშავებელი წარმოება, განსაკუთრებით კი ფართო მოხმარების საქონლის წარმოება, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მძიმე ინდუსტრიულ დარგებს. არცთუ მაღალ დონეზე იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებაც. საბჭოური ინტეგრაცია ბევრად განსხვავდებოდა, ვთქვათ, ევროპული ინტეგრაციისაგან, რომელიც დღეს ინტეგრირების ეტალონად მიიჩნევა. საქართველოს მშპ 1/3 ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაედინებოდა,* შესაბამისად ამდენივე (ან ცოტა მეტი) შემოდით; ანუ საქართველოს ეკონომიკა იმ ერთი დიდი ქარხნის საამქროდ შეიძლებოდა წარმოგვედგინა, სადაც მომარაგება, გასაღება, წარმოება და სხვა – მთლიანად “ქარხნის” ხელმძღვანელობის პრეროგატივა იყო. ეს ეხებოდა ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროში, ამიტომ სსრ კავშირის დაშლამ “ჯაჭვეური რეაქციით” ეკონომიკის დაშლაც გამოიწვია. საქართველოს ეკონომიკისა და, შესაბამისად, რეგიონების (მაგალითად, ქვემო ქართლის) ეკონომიკის ვარდნა სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან დაშლის მომენტისათვის თითქმის ყველა ერთნაირ პირობებში იმყოფებოდა, ანუ სასტარტო პირობები მათ იდენტური ქონდათ, ამიტომაც სისტემური რეფორმის არჩევანზე ბევრად მოქმედებდა შიდა პოლიტიკური სიტუაცია და საგარეო ეკონომიკური ორიენტაცია. ასე მაგალითად, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მისწრაფება – შესულიყვნენ ევროპაში – იყო მძლავრი მოტივი, რომელმაც განაპირობა რადიკალური რეფორმების გზის არჩევა. ხოლო თურქმენეთი და უზბეკეთი კი აღმოსავლეთის მეზობლებთან სიახლოვისა და ავტორიტარული ელემენტების სიმძლავრის გამო შედარებით კონსერვატორული რეფორმების გზას ადგანან.

საქართველო, ამ მხრივ, შუალედურ პოზიციაზე აღმოჩნდა, სისტემური რეფორმა ჩვენთან კლასიკურად, ანუ ფასების ლიბერალიზაციით

* F.ekfnjd, “Vbhjdfz экономика”, Москва, Бек, 1999 год, стр.662.

დაიწყო; ამას მოყვა საბიუჯეტო და საგადასახადო სისტემათა და ფულად-საკრედიტო სისტემის ახალი რეფორმები, ახალი საბანკო სისტემის შექმნა და საგალუტო სისტემის რეფორმირების მცდელობა, საგარეო ვაჭრობის ფორმირებაში საბაზრო მექანიზმის დანერგვა და ა.შ.

საქართველოს “სასტარტო პირობების” განხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკონომიკური ვარდნა აქ 1990-1991 წლებში ძალზე დიდი იყო (მშპ 20%), გაჩერებულ საწარმოთა რაოდენობამ 80%-ს მიაღწია (შედარებისათვის: პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე დიდი ვარდნა უზბეკეთში დაფიქსირდა და შეადგენდა 10%-ს).*

ყველაზე მძიმე სიტუაცია შეიქმნა 1992–1994წწ. ცნობილ მოვლენებს თან ერთვოდა ჰიპერინფლაცია, რომელიც ცალკეულ თვეებში 20-30% აღწევდა.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველაზე ღრმა და ხანგრძლივი – ინვესტიციური კრიზისი იყო, ამ დროს საქართველო, კაპიტალდაბანდების მხრივ, პოსტსაბჭოურ სივრცეში მე-5 ადგილზეა (ბალტიისპირეთისა და სომხეთის მონაცემები ამ დროისათვის არ არსებობს); ყველა განხორციელებული ინვესტიციების “ლომის წილი” არასაწარმოო სფეროზე – მშენებლობაზე, მომსახურებაზე და მ.შ. საშუაშაველო მომსახურებაზე მოდის.**

ქვემო ქართლის მხარეში ყველაზე მეტად დაზარალდნენ ის დარგები, რომლებიც კაპიტალურ მოწყობილობებს უშვებდნენ, მაგრამ მსუბუქი, კვებისა და სამომხმარებლო საქონლის გამომშვებმა მრეწველობებმაც არანაკლები ზარალი განიცადეს. იმპორტულ საქონელთან კონკურენციამ, რომელიც უფრო ხარისხიანი იყო და უფრო ფართო ასორტიმენტით წარმოდგებოდა, წარუშლელი ზიანი მიაყენა მსუბუქი მრეწველობისა და ხანგრძლივი მოხმარების ისეთი საქონლის წარმოებას, როგორებიცაა ტელევიზორები, ვიდეო- და აუდიოაპარატურა. შედარებით ნაკლებად დაზარალდნენ ისეთი დარგები, როგორებიცაა ნედლეულ- და მასალამწარმოებლური და მომპოვებლური, ფერადი ლითონებისა და ქიმიური ნაწარმის მწარმოებელი და სხვა. საერთო კრიზისში სოფლის მეურნეობაც აღმოჩნდა ჩათრეული, ფერმერული წარმოების დანერგვა არც ისე იოლი გამოდგა. ყოფილი პოსტსაბჭოური რესპუბლიკებიდან წარმატებული ფერმერული მეურნეობები მხოლოდ სომხეთსა და ესტონეთშია. საქართველოში და განსაკუთრებით ისეთ ტრადიციულად

* “Межгосударственный статистический комитет СНГ“, статистич. ежегодник, Москва, 1998

** UN Statistical Yearbook, 2002, pp. 164, 167, 168, 327; UN Monthly Bulletin of Statistics; N.-Y., 2002; No. 4; November; p. 26-28 .

სამრეწველო განვითარების მქონე რეგიონში, როგორც იყო და არის ქვემო ქართლი, სამწუხაროდ, ფერმერობის განვითარებას ბევრი რამ უშლიდა ხელს. კერძოდ კი, ფასების დისპარიტეტი (ე.ი. ფასები საწვავზე, სასუქებზე, მანქანებზე და მათ მაკომპლექტებლებზე იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე) და ფინანსური სიძნელეები, რომელთაც თან ერთვოდა შიდა ბაზარზე საზღვარგარეთული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მკვეთრი კონკურენცია.

შედარებით ნაკლები იყო ვარდნა მომსახურების სფეროში (ვაჭრობა, საფინანსო დაწესებულებები, კავშირგაბმულობა და სხვ.), რამაც განაპირობა ამ სფეროს განსაკუთრებული ზრდა. შედეგად, უკვე 2000 წლისათვის რეგიონში მომსახურების სფეროზე მრავ 50% მოდის (მაშინ როცა, შედარებისათვის: საქართველოს სსრ-ში ეს მაჩვენებელი 1/3 შეადგენდა*). უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტენდენცია სრულიადაც არ არის ახალი: თუკი გავაანალიზებთ განვითარებული ქვეყნების მშპ სტრუქტურებს, დავინახავთ, რომ იგი აბსოლუტურად ყველასთვისაა სახასიათო; თუმცა უნდა დავაკვირდეთ იმასაც, რომ მშპ სტრუქტურის მომსახურების სფეროს სასარგებლოდ შეცვლა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის კრიზისის ხარჯზე არსად მომხდარა.

90-იანი წლების რადიკალურმა რეფორმებმა ქვემო ქართლის რეგიონში ნელ-ნელა საბაზრო ინსტიტუტების განვითარების ევოლუციური ფორმა მიიღეს. გარდამავალი პერიოდის მიმდინარეობისას მთავარი ადგილი დაიკავეს ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფოს როლის ცვლილებამ, პრივატიზაციამ, მსოფლიო სამეურნეო სისტემაში ინტეგრაციამ და სხვა. მაგრამ რეგიონის ახალი საბაზრო მექანიზმების ფორმირების პროცესმა იმდენად არ უნდა გაგვიტაცოს, რომ განვითარებული ქვეყნებისათვის განვლილ ეტაპად ქცეული განვითარების დონე ჩვენთვის ხვალისდელი დღის მიზნად ვაქციოთ. აქ ყურადღება უნდა მიექცეს მომავლის ეკონომიკისათვის დამახასიათებელ დღევანდელ ტენდენციებს. რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველება და პროგნოზი ის სფეროა, სადაც ძალზე ბევრი შეცდომის დაშვებაც არაა გამორიცხადი, მაგრამ რეგიონის პოსტინდუსტრიული ეკონომიკის მომავალი განვითარების ზოგიერთი შტრიხის გარჩევა დღესაც ხერხდება. ეს შტრიხები კი შემდეგნაირად გვესახება:

* UN Statistical Yearbook, 2003, pp. 164, 167, 168, 327; UN Monthly Bulletin of Statistics; N.-Y., 2003; No. 4; November; p. 26-28 .

წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურის შეცვლა (უპირატესად მომსახურების სფეროს ხარჯზე). ასე მაგალითად, რეგიონში მომსახურების წილი მრკ-ში ჭარბობს საქონლის წილს*, ხოლო სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურაში კი მომსახურების წილი დაახლოებით მშპ-ს 1/6 შეადგენს და ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას. იზრდება მომსახურების წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაშიც და იგი კერძოდ შეადგენს:

–ექსპორტში: 1999 წელს - 50.1%, 2001 წელს - 53.9%, 2004 წელს - 56.3%;

–იმპორტში: 1999 წელს - 39.8%, 2001 წელს - 56.5%, 2004 წელს – 56.5%. **

ერთდროულად ხდება ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილება არა მარტო მომსახურების სფეროს შიგნით, არამედ მატერიალური წარმოების სფეროშიც.

ეს, უპირველეს ყოვლისა, არის პირველადი და მეორეული სექტორების იმ დარგების ზრდა, რომლებსაც მეცნიერებატევადებს მიაკუთვნებენ.

განათლების დონის ზრდა – უპირატესად სკოლის შემდგომი განათლების ზრდის ხარჯზე. 90-იან წლებში 20-დან 25 წლამდე ახალგაზრდების წილმა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სკოლის შემდგომი განათლების სფეროში ქვემო ქართლის რეგიონში 41% შეადგინა (შედარებისათვის: იაპონიაში ეს მაჩვენებელია – 30%, გერმანიაში – 36%, საფრანგეთში – 39%, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში (რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის, ყაზახეთის საშუალო მაჩვენებლით) – 42-46%, აშშ-სა და კანადაში, შესაბამისად, 80% და 78%). ასეთი მაჩვენებლის მქონე რეგიონის მოსახლეობა, ცხადია, ძალზე მაღალგანათლებულია. მაგალითად, საქართველოში, მომუშავეთა 52%-ს აქვს უმაღლესი ან საშუალო-პროფესიული განათლება, ხოლო ქვემო ქართლში ეს მაჩვენებელი 58%-ია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში განათლების დონისა და კვალიფიციური კადრების რაოდენობის მატება ხელფასის მატების წინაპირობაა (მაგალითად, აშშ-ში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი ღებულობს 3-ჯერ მეტს, ვიდრე საშუალო განათლების მქონე მუშა***).

შრომისადმი ახლებური დამოკიდებულება. მაღალკვალიფიციური მომსახურეები სათვის დამახასიათებელია შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება და ადამიანური ურთიერთობებისადმი მაღალი მოთხოვნები. ეს ხშირად უფრო

* ეროვნული ანგარიშები 1996-2003, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი; 2004 ინტერნეტ-მონაცემები, სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

** საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალების მიხედვით.

***UN Monthly Bulletin of Statistics, N.-Y., 2003; No. 6; November, pp.30,32.

მნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალური სტიმულები. მით უმეტეს, რომ განვითარებულ ქვეყნებში კვალიფიციური კადრის ხელფასი რა ხანია, აკმაყოფილებს მათ ყოველდღიურ მოთხოვნებს (სრულფასოვანი კვება, ტრანსპორტი, სამედიცინო დაზღვევა, ბინა, დასვენება და ა.შ.). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი მიისწრაფიან არა მხოლოდ მაღალი ანაზღაურებისაკენ, არამედ საინტერესო და მიმზიდველი სამუშაოსაკენ, რომელსაც მოაქვს მორალური და პროფესიული დაკმაყოფილების გრძობა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაოზე შექმნილ დემოკრატიულსა და ჰუმანურ გარემოს. ეს ხშირად ემთხვევა მათი მეპატრონეების ინტერესებსაც, რომლებიც, ცდილობენ რა, შექმნან ღირსეული სამუშაო პირობები, მიიღვიან რაც შეიძლება მეტი “უკუგება” მიიღონ თავიანთ თანამშრომლებისაგან (ეს განსაკუთრებით სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და ლაბორატორიებს ეხება). შედეგად ხდება ისეთ შრომით დამოკიდებულებებზე გადასვლა, რომელთაც “შრომითი დემოკრატია” შეიძლება ვუწოდოთ. იგი ეყრდნობა კომპანიის თითოეული წევრის თანამონაწილეობას კაპიტალშიც, მოგებებშიც და მართვაშიც.

გარემოსადმი ყურადღების ზრდა კიდევ ერთი ტენდენციაა, ვინაიდან პოსტინდუსტრიული საზოგადოება მიიღვიის ისეთი ეკონომიკური ზრდისაკენ, რომლის დროსაც დასაყრდენს არა ბუნებრივი რესურსები, არამედ ცოდნა და შრომითი რესურსები წარმოადგენენ. ასეთი მიდგომა უნარჩუნებს ბუნებას შემდგომ თაობებს. როგორც წესი, ბუნებრივ პირობებზე ყველაზე მცირე გავლენას მატერიალური წარმოების მეცნიერებატეკვადი დარგები ახდენენ. ინდუსტრიულ ქვეყნებში (NIC ქვეყნები, ჩინეთი და სხვ.) სიტუაცია საპირისპიროა და შედეგად ეკოლოგიური მდგომარეობა უარესდება.

ეკონომიკის ჰუმანიზაცია (სოციალიზაცია). თანამედროვე საზოგადოებამ შექმნა უზარმაზარი საწარმოო სიმძლავრეები მატერიალურ სფეროში, ახლა კი იგივე საზოგადოება უზარმაზარ სახსრებს დებს უმთავრეს ეკონომიკურ რესურსებში – ცოდნასა და ადამიანში. ინვესტიციების ჩადების ძირითადი ობიექტი და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრუნვის საგანი სოციალურ-კულტურული სფერო ხდება. მაგალითად, საბჭოთა დროს ამ სფეროებში ყველა კაპიტალდაბანდებაების 30% მიემართებოდა, 60-იან წლებში – 1/3-ზე მეტი. 1991 წლიდან დღემდე, საქართველოში ამ ციფრმა – 40%-ს მიაღწია. მთავარი, როგორც ვხედავთ, ხდება ადამიანი, და არა ძირითადი ან საბრუნავი კაპიტალი.

საზოგადოების ინფორმაცია. თუკი შევთანხმდით, რომ ცოდნა (ანუ ინფორმაცია) სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, მაშინ ცხადი გახდება, რომ მის მოპოვებაზე და გამოყენებაზე გაწეული ხარჯებიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს მომავალში. მნიშვნელობასთან ერთად გაიზრდება ამ ხარჯების ეფექტიანობაც (მომგებიანობა), ვინაიდან ინფორმაციაზე მოთხოვნა დღითიდღე მატულობს და შედეგად, თანამედროვე ეკონომიკაში თანდათან იზრდება ცოდნის მწარმოებელთა (მეცნიერებაში და სამეცნიერო მომსახურების სფეროში დასაქმებულები), ცოდნის გამავრცელებელთა (საინფორმაციო ქსელები, სასწავლებლები, საინოვაციო ფორმები) და ცოდნის მომხმარებელთა რიცხვიც. კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების, ელექტრონიკის განვითარების წყალობით ინფორმაციის მოხმარება ძალზე გაადვილებულია, იგი რიგითი მომხმარებლისთვისაც ხდება ხელმისაწვდომი. საზოგადოება თანდათან ზეინფორმირებულ, კომპიუტერიზებულ საზოგადოებად იქცევა.

მცირე ბიზნესის რეანიმირება და რენესანსი. ძველი ცოდნის სწრაფი გაუფასურება და ახლის უფრო სწრაფი გავრცელება, მოსახლეობის შემოსავლების მატება, იწვევს ახლად შექმნილი პროდუქციის სულ უფრო ღრმა დიფერენციაციას. ინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მასიური პროდუქციის მოძალება სუსტდება, ვინაიდან ჩნდება მდიდარი და განათლებული კლიენტურა, რომლის ინდივიდუალური გემოვნებისადმი მისადაგებაც მცირე და საშუალო საწარმოს უკეთესად ძალუძს. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში შედარებით “სიცოცხლისუნარიანნი” სწორედ მცირე საწარმოები ხდებიან. ეს ეხება არა მარტო მომსახურების, არამედ მატერიალური წარმოების სფეროსაც. გარდა ამისა, იმ საზოგადოებაში, სადაც უმთავრესი რესურსები ცოდნა და შრომა იქნება (და არა მიწა და კაპიტალი), კვალიფიცირებულსა და მეწარმეობის ნიჭით დაჯილდოვებულ ხალხს მეტი შანსი ექნება წარმატების მისაღწევად. ნაწილობრივ ეს ეხება საშუალო ზომის საწარმოებსაც. მაგალითად, დასავლეთ ქვეყნებში (აშშ, კანადა, იტალია, ინგლისი*) მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა წილი მშპ-ში 50%-ზე მეტია, მაშინ როდესაც საქართველოში იგი მხოლოდ და მხოლოდ მშპ 10%-ზე ნაკლებს შეადგენს. მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან როლს

* IMF. World Economic Outlook, May 1998, Washington, 1999, pp.145-153. The World Bank, World Development Report, 1999, Washington, p.210

ასრულებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებშიც. მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს ე.წ. “არაორგანიზებული” საგარეო ვაჭრობა, რომელიც საქართველოს იმპორტში წელიწადში 100 მლნ. ლარზე მეტს შეადგენს და რომლის არსებობა და ფუნქციონირება ბევრადაა განპირობებული ინდივიდუალური და მცირე მეწარმეების ძალისხმევით.

გლობალიზაცია. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ზოგადად საკომუნიკაციო საშუალებების განვითარების დღევანდელი დონე ნებისმიერ ქვეყანას უფრო პოტენციურად ხელმისაწვდომს ხდის უცხოური საქონლისა, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორებისადმი (ეკონომიკური რესურსებისადმი). მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის პროდუქციის, სამუშაო ძალისა, ცოდნისა და მეწარმეობის მოძრაობისათვის მსოფლიოში მაინც არსებობს ბარიერები, მე-20-ე – მე-19-ე საუკუნეთა მიჯნაზე ისინი გაცილებით გამარტივებულია, ვიდრე, თუნდაც, მე-20-ე საუკუნის შუა წლებში. შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავება ზრდის თითქმის ყველა ქვეყნის მოთხოვნილებას პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტზე. შედეგად კომპანიების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მსოფლიო ერთიან ბაზრად იქცა. ბევრი ფირმისათვის საქონლისა თუ მომსახურების იმპორტ-ექსპორტი მათი საქმიანობის არა ეპიზოდურ, არამედ სისტემატურ ოპერაციად იქცა. ეროვნული ეკონომიკების ურთიერთგადახლართვა სწორედ რეგიონულ დონეზე ხდება.

მაგრამ, ჩვენი აზრით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში ქვემო ქართლის რეგიონის გლობალიზაციის პროცესებში უფრო ფართოდ ჩართვა უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. სწორია მოსაზრება იმის შესახებ, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია წარმოების ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს გლობალიზაციის პროცესებთან ადაპტირებას. სწორედ ასეთი ეკონომიკური სტრუქტურის შესაქმნელადაა საჭირო არსებულის დიფერენცირებული ანალიზი და მის საფუძველზე სამომავლო განვითარების ერთიანი პროგრამის შედგენა.

ამრიგად, რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის (რომელისათვისაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა, პირველ რიგში, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ასპექტებს აქვთ) შემდგომი ცვლილება ასე გვესახება:

ქვემო ქართლი ადაპტიური ტერიტორიაა, ე.ი. ისეთი ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს კლასიკურ ძველ სამრეწველო რაიონს, ანუ აგრარულ-ინდუსტრიულად შედარებით ზომიერად განვითარებულს*. ამიტომ აქ ჩვენ ვხედავთ განვითარებისათვის ორ შესაძლებლობას:

1. განვითარებაში ჩამორჩენა უნდა აღმოიფხვრას ახალი (ადგილობრივი თუ შესყიდული) ტექნოლოგიების დანერგვის გზით – ეს სახელმწიფოს მხრიდან შედარებით უფრო აქტიური ჩარევისა და რეგულირების შემთხვევაში;
2. ინდუსტრიალიზაციის დიფუზიის გარდაუვალი პროცესი თავისთავად აიძულებს რეგიონს, ინოვაციურ პროცესში მიიღოს მონაწილეობა – ეს თავისთავადაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ პროცესი, ჩაურევლობის შემთხვევაში, ხანგრძლივია, სპონტანური და სრულიად არაპროგნოზირებადი ეკონომიკის განვითარების მცირევადიანი პერიოდისათვის (5-10 წელი).

სწორედ ამიტომ, რეგიონის განვითარების პროცესის რაციონალური ორიენტაციისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ეკონომიკური პოლიტიკის მაკროპროგნოზირებას. ასეთი პროგრამის არსებობის შემთხვევაში ვერ ჩატარდება დარჩენილი სახალხო ქონების მტაცებლური პრივატიზაცია, ფასების გაუმართლებელი ლიბერალიზაცია, სახელმწიფო ვალდებულებების ზვავისებური ზრდა და სხვა. ასეთი ერთიანი პროგრამის არარსებობის შემთხვევაში კი, პირიქით, პროგნოზის როლი დაყვანილ იქნება ცალკეული ტექნიკური პარამეტრების გაანგარიშებამდე ბიუჯეტის შედგენისათვის ჩამოყალიბებული ტენდენციების პრიმიტიული ექსტრაპოლაციით.

მაგალითად, ქვემო ქართლის რეგიონში, როგორც დავინახეთ, ეკონომიკური განვითარება და ზრდა მისი ეკონომიკური სტრუქტურის წარმომქმნელ ფაქტორთა შორის ძალზე არათანაბარია. ამდენად, მხოლოდ სიახლეთა გენერაცია და გამოყენება წარმოადგენს შემდგომი ეკონომიკური ზრდის გასაღებს და ანტიკრიზისულ ღონისძიებათა აზრს. ამიტომ დეპრესიის პირობებში ექსტრაპოლაციის მეთოდების გამოყენება ჩამოყალიბებული ტენდენციების მიმართ უაზროა და კონტრპროდუქტიული. ჩვენი აზრით, რეგიონის განვითარების პროგრამაში ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის

* ე.კუკლინსკის მიაჩნია, რომ რეგიონები შეიძლება იყოს: ა) კრეაციული და ინოვაციური, ბ) ადაპტიური, გ) კონსერვატიული.

შემდეგ და მასთან შესაბამისობაში, უნდა გაიწეროს რეგიონის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების განვითარების გრძელვადიანი (2004-2010წლებისათვის) სცენარი*, რომელშიაც მივიღეთ შემდეგი დაშვებები:

- მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდა საშუალოდ 7%-ით (ოპტიმისტური სცენარით – 10%-ით, ხოლო პესიმისტური სცენარით – 3%-ით),
- ხელფასის ზრდა საშუალო-წლიური ზრდა 8-10%-ით,
- ფიზიკური კაპიტალის ამორტიზაციის დონის ზრდა 4.5%-მდე წელიწადში,
- აუცილებელ ინვესტიციათა დონე მხოლოდ ფიზიკური კაპიტალის ამორტიზაციის კომპენსაციისათვის მთლიანი რეგიონული პროდუქტის საშუალოდ 7-8% (ოპტიმისტური სცენარით – 13%, ხოლო პესიმისტური სცენარით – 4.5%),
- დამატებითი მუშა-ხელის ათვისება 600 ათასი კაცის რაოდენობით.**

ამავე პროგრამაში, ჩვენი აზრით, მითითებული უნდა იყოს, რომ ვინაიდან ძირითადი ფონდები ქონებაზე გადასახადის ძირითად ფუნქციას იძენენ, ამიტომაც ისინი რაციონალურად უნდა განვკარგოთ – ანუ დავამუშაოთ მათი ოპტიმიზაციის, მათში ინვესტირების გრძელვადიანი პროგრამები და არ ვაქციოთ ისინი ბიუჯეტის შევსების ერთჯერად წყაროდ დაჩქარებული და ზოგჯერ გაუმართლებელი პრივატიზაციის შედეგად.

ქვემო ქართლისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დადებითი სავაჭრო ბალანსის მისაღწევად ბუნებრივი რესურსების (ოქრო, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, ხე-ტყე და სხვა) გამოყენების მაგნე პრაქტიკის აღკვეთა; ამისათვის კი აუცილებელია ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯნვა ბუნებრივი რესურსების განკარგვის საკითხთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მეცნიერებისა და მისი მომსახურების სფერო, რომლის მდგომარეობა სულ უფრო რთულდება დაფინანსების მუდმივი შემცირებისა და სამეცნიერო დამუშავებებზე მოთხოვნების რადიკალური შემცირების პირობებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რეგიონის ძირითად ამოცანად უნდა იქცეს საკუთარი საწარმოო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციათა ბაზების კოოპერაციისა და ინოვაციური

* იგივე აზრი დომინირებს აკადემიკოს ს.ი. გლაზიევის სატატიაში, რომელიც ეხება მაკროეკონომიკური დინამიკის პროგნოზირების პრობლემებს («Российский экономический журнал», №3, 2003.)

** აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დაშვებები მიღებულია შიდა და გარე ბაზრების პესპექტიული მარკეტინგული გამოკვლევის მონაცემების გარეშე.

